

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა ქართული ფილოლოგია

ღვინეფაძე ელენე

ვახტან ჯავახიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითადი
მიმართულებანი

ნაშრომი შესრულებულია ქართული ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
ფილოლოგიის დოქტორი თამარ პაიჭაძე

თბილისი

2019

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია ვახტანგ ჯავახაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითადი მიმართულებანი. ავტორთან ინტერვიუს საფუძველზე, განსაზღვრულია ავტორის ლიტერატურული ორიენტაცია, გამოკვეთილია ძირითადი თემები და სტილი. მიმოხილულია პოეტის შემოქმედება, ფუნდამენტურად კი - რამდენიმე წიგნი. წარმოდგენილია ვახტანგ ჯავახაძე, როგორც ესეისტი, მწერალი და პოეტი. ნაჩვენებია ავტორის მსოფლმხედველობა, შემოქმედებითი მზაობა და აზრის გამოხატვის ინდივიდუალისტური მიგნებები. აქედან გამომდინარე, იგი აღქმულია, როგორც XX საუკუნის მე-2 ნახევრისა და მიმდინარე ქართული ლიტერატურული სივრცის ორგანული ნაწილი. უშუალოდ ავტორისეულ ტექსტებსა და ლიტერატურის კრიტიკოსების წერილებზე დაყრდნობით გამოტანილია დასკვნები ზოგ საკითხთან დაკავშირებით. მიჩნეულია, რომ იგი პროგრესირებადი ავტორია. გაშიფრულია კონკრეტული მიზეზები, რის გამოც მისი შემოქმედება დღემდე არ კარგავს აქტუალობას. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა ვახტანგ ჯავახაძის მხატვრული შემოქმედების სტილურ თავისებურებებში სიახლეების წარმოჩენას.

Annonation

The main directions of Vakhtang Javakhadze Literary heritage is discussed in the thesis directions. Author's literary orientation is defined based on an interview with the author, the main topics and styles are outlined. Poet's work is reviewed, fundamentally - several books. Vakhtang Javakhadze is represented as essayist, writer and poet. Author's world view, creativity readiness and individualistic findings of expressing opinions are shown. Therefore, he is perceived as an organic part of the second half of the XX century and current Georgian literary space. Based on the author's texts and letters of literature critics conclusions are made connected to some issues. It is considered that he is progressive author. Concrete reasons are deciphered why his creativity does not lose actuality. Thesis's main part is dedicated of showing innovations in stylistic peculiarities of Vakhtang Javakhadze creativity.

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი I	
ისტორიული დისკურსი (ცხოვრება და შემოქმედება)	7
§1.1. ბიოგრაფიული ესკიზებისთვის.....	7
§1.2. შემოქმედებითი ბიოგრაფია: კრებულები და გამოხმაურებები.....	11
თავი II	
ვახტანგ ჯავახაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა.....	23
§2.1. ესეისტური მემკვიდრეობა	23
§2.2. უცნობის ჟანრული ფორმატი	35
§2.3. კრებული „ვახტანგური“	43
§2.4. ელევგია:ყელსაბამი - ახალი სიტყვა ქართულ პოეზიაში	58
თავი III	
ვ. ჯავახაძის შემოქმედების მხატვრული თავისებურებანი	64
დასკვნა	93
გამოყენებული ლიტერატურა	95

შესავალი

ვახტანგ ჯავახიძე - ამ სახელისა და გვარის გაგონებისას მკითხველს ასოციაციური ახსენდება ქართულ ლიტერატურულ სივრცეში ფართოდ გახმაურებული წიგნი, „უცნობი“, რომლის მთავარი გმირი არის ყველასთვის ცნობილი ქართველი პოეტი, პოეტთა მეფის სახელის მატარებელი და უნიკალური მოვლენა ქართული პოეზიის ისტორიაში გალაკტიონ ტაბიძე. როგორც წიგნის სათაურიდანაც ჩანს, ამ ძალიან ცნობილი პოეტის შესახებ ვახტანგ ჯავახიძე ისეთ ფაქტებს ჰყვება, რომლებიც გალაკტიონ ტაბიძის პიროვნების მანამდე უცნობ მხარეებს ჰფენს ნათელს.

ვახტანგ ჯავახიძე საზოგადოებისთვის ფართოდ ცნობილი ავტორია. სადაო სულაც არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ის ქართველი ხალხისათვის უპირველეს ყოვლისა „უცნობის“ ავტორია, წიგნისა, რომელმაც აღაფრთოვანა მკითხველი. იმ დღიდან, როცა „უცნობი“ ცნობილი წიგნი გახდა, ვახტანგ ჯავახიძის სახელი და გვარი ჩაინერა ქართველი მკითხველის გონებაში და მას შემდეგ ასე გრძელდება. ამ წიგნისადმი ინტერესი ჯერაც არ განელეებულა, პირიქით, ეს ამოუცნობი და უნიკალური წიგნი დღემდე ანდამატივით იზიდავს ახალბედა თუ უკვე გამოცდილ მკითხველს.

თუმცა, გარდა იმისა, რომ ვახტანგ ჯავახიძე ავტორია გალაკტიონ ტაბიძეზე დაწერილი ბიოგრაფიულ-ესეისტური ნაშრომისა, რომელიც დღემდე ვერ გადაწყვეტილა, ბიოგრაფიული რომანია თუ მემუარული ლიტერატურა, ავტორია რამდენიმე საინტერესო და მიმზიდველი წიგნისაც, რომლებშიც ავტორი გვევლინება არა პროზაიკოსად, არამედ პოეტად. ვახტანგ ჯავახიძე, როგორც პოეტი, დღემდე არ კარგავს აქტუალობას. მისი პოეტური კრებულები იბეჭდება ფართო ტირაჟითა და მათ კითხულობს, როგორც ზრდასრული, ისე სრულიად ახალგაზრდა თაობა. ვახტანგ ჯავახიძე, როგორც პოეტი, შეიძლება ითქვას, რომ იმთავითვე პოპულარული იყო, თუმცა დღეს, მისი ცნობადობისა და შემოქმედების მიმართ სიმპათია საგრძნობლად მომატებულია, რაც მისი ბოლოდროინდელი ტექსტებითაც არის განპირობებული.

მას შემდეგ, რაც 2016 წელს გამოცემულ, მისი ლექსების ბოლო კრებულს, „ყელსაბამს“, გავყვანი, პოეტის შემოქმედებით კომპლექსურად დავინტერედი.

ვ.ჯავახაძის შემოქმედება, ჯერჯერობით, ლიტერატურათმცოდნეების მიერ სიღრმისეულად შეუსწავლელია, თუმცა ჩემთვის გადანყვეტილების მიღებაში, მეკვლია, მიმომეხილა მისი მხატვრული შემოქმედება და გამომეტანა რამდენიმე შესაძლო დასკვნა, ამას სულაც არ შეუძლია ხელი. საკითხის შესასწავლად გავეცანი ვ.ჯავახაძის ავტორობით გამოცემულ ყველა წიგნს, რაზეც კი ხელი მიმინვდა, პროზაულ თუ პოეტურ კრებულებს, მასზე დაწერილ ლიტერატურულ კრიტიკას, გავესაუბრე თავად ავტორს და ჩემ მიერ ქვემოთ მიმოხილული საკითხები, ამ მასალების სიღრმისეულად შესწავლის შედეგია.

ჩემი მიზანია, ვახტანგ ჯავახაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის ძირითადი მიმართულებების კვლევა, მიმოხილვა და მასში სიახლეების წარმოჩენა.

თავი I

ისტორიული დისკურსი (ცხოვრება და შემოქმედება)

§1.1. ბიოგრაფიული ესკიზებისთვის

ის თაობა, რომლის ნაწილიცაა ვახტანგ ჯავახიძე, სრულიად ახალ პოეტურ სამყაროს ქმნის. ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი, ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჭარკვიანი, ზაურ ბოლქვაძე, თამაზ ბიბილური, ფილიპე ბერიძე, რეზო ინანიშვილი და სხვ. ამ პოეტური ფიგურების გვერდით შეუდგა პოეტურ სარბიელს ვახტანგ ჯავახიძე. ზემოთჩამოთვლილი მწერლები და პოეტები იმ თაობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან, რომელთაც გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამ თაობის არჩევანი ეყრდნობა წინამორბედების გამოცდილებასაც, თუმცა თავიანთი თამამი სიტყვით, სრულიად ახალ ლიტერატურას ქმნიან. მეოცე საუკუნის ლიტერატურული პროცესები ნაირგვარობა ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ „ევროპეიზაციის“ სახელით მონათლა. *„კერძოდ, ევროპულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოდერნისტულ-ავანგარდისტული მიმდინარეობანი ბევრი მათგანისათვის იქცა შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და მწერლური ინდივიდუალობის გამოვლინების უმთავრეს ფორმად“*. [ა.ნიკოლეიშვილი 2005:44]

მიუხედავად მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის „ევროპული რადიუსით მომართვისა“, როგორც ამას ტიციან ტაბიძე უწოდებს, ევროპული ლიტერატურული სიახლეებით მოხიბლულ ქართველ მწერლებსა და პოეტებს არ ახასიათებთ ეროვნულ ფესვებსა და ტრადიციებს მონყვეტა. მეტწილად, იმდროინდელი ავტორების დაინტერესება ევროპული ლიტერატურული თავისებურებებით განპირობებული იყო იმით, რომ უმრავლეს მათგანს განათლება სწორედ ევროპაში ჰქონდა მღებელი, თუმცა , აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ჯგუფს ხარისხობრივად არ ჩამოვარდნია ის მწერლები და პოეტები, რომელთაც განათლება სამშობლოში მიიღეს, მათ შორისაა ვახტანგ ჯავახიძე.

1956 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ახალი ნაკადი განსაკუთრებულად იღბლიანი აღმოჩნდა. თანაკურსელები პოეტური თანამშრომლობით

ვითარდებოდნენ და იხვეწებოდნენ. მოდერნისტულ ნაკადში გახვეული მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის მწერლები, მათ შორის ვახტანგ ჯავახაძე, ქმნიან კიდევ ერთ, ახალ და ინდივიდუალისტური მუხტით სავსე ლიტერატურას. ანა კალანდაძე და ვახტანგ ჯავახაძე თანაარსებობდნენ ერთი ეპოქის ლიტერატურულ ბილიკზე, რასაც ხელი სულაც არ შეუშლია იმაში, რომ ისინი ახლო მეგობრები გამხდარიყვნენ, პირიქით. შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურა, ერთმა დიდმა სამეგობრო წრემ შექმნა. მათ შორის, რამდენიმე უკვე გარდაცვლილია.

ვახტანგ ჯავახაძის პოეტური თუ პროზაული შემოქმედება საკმაოდ დიდ სპექტრს წარმოადგენს. ჩემ მიერ ზემოთწარმოდგენილი ნაწარმოებების ზედაპირული მიმოხილვით, მინდოდა მკითხველისათვის წარმოდგენა შემექმნა ვახტანგ ჯავახაძის პროზისა და პოეზიის რაობაზე, მის საავტორო თავისებურებებზე.

ვახტანგ ჯავახაძე დაიბადა 1932 წელს, ქუთაისში. 1940 წელს მშობლებმა, შუშანა მარგალიტაძემ და რომანოზ ჯავახაძემ იგი შეიყვანეს ქუთაისის მეორე საშუალო სკოლის პირველ კლასში. 1944 წელს ვ.ჯავახაძემ სწავლა განაგრძო ქუთაისის ვაჟთა პირველ სკოლაში.

ვახტანგ ჯავახაძემ თავისი შემოქმედება ლექსების წერით დაიწყო. პირველი ლექსი ახალბედა პოეტს მეშვიდე კლასში დაუწერია. იმდროისათვის თბილისში გამოდიოდა გაზეთი „ნორჩი ლენინელი“, სადაც დაიბეჭდა მისი ლექსი.

1956 წელს ვახტანგ ჯავახაძემ ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, რომლის დასრულების შემდეგ მუშაობა დაიწყო გამომცემლობა „სახელგამში“ მხატვრული ლიტერატურის რედაქციის რედაქტორად. 1980 წლიდან კი გამომცემლობა „საქართველოს“ მთავარი რედაქტორია.

ვახტანგ ჯავახაძის ლექსებზე შექმნილია სიმღერებიც. კომპოზიტორმა სანდრო მირიანაშვილმა ლექსზე „გამონვდილ ხელებს შეიძლება დაუგდო ხურდა“ პირველი სიმღერა დაწერა. მის ლექსებზე ასევე დაწერეს სიმღერები კომპოზიტორებმა: იაკობ ბობოხიძემ და რობერტ ბარძიმაშვილმა.

პოეტის ჰობია მხატვართა ალბომების შეგროვება, რაც, გარდა პირადი ინტერვიუებისა, მის ერთ-ერთ წიგნში, „ლექსიდან ლექსამდე - წერილები“ იკვეთება.

ვახტანგ ჯავახიძე არის შოთა რუსთაველისა და გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი. მიღებული აქვს ლიტერატურული პრემია - გალა(2008) ნომინაციაში წლის საუკეთესო სამაგიდო წიგნისათვის „უცნობი“, ლიტერატურული პრემია „საბა“ ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის(2011), წიგნისათვის „ელეგია და სხვა“ 2017 წელს გადაეცა ლიტერატურული პრემიები „ლიტერა“ და „საბა“(ნომინაციაში წლის საუკეთესო პოეტური კრებული).[ვ.ჯავახიძე 24.ბიოგრაფიული ცნობები]

დამატებითი ბიოგრაფიული ცნობების მისაღებად რამდენიმე კითხვით ავტორს მივმართე:

„მე ერთტომეული გამოვეცი, 80 წლის როცა გავხდი და იქ დაუნერე ჩემი ანტიბიოგრაფია. მე დავიბადე ქუთაისში, 1932 წლის 29 ივლისს. ქუთაისის მეორე სკოლაში ვსწავლობდი, ამ დროს დაიწყო ომი, სკოლებში კი ჰოსპიტალები გახსნეს. მომიწია სხვა სკოლაში გადასვლა. ომის დროს, მამაჩემი დარჩა ქუთაისში და დედაჩემმა მე და ჩემი და წაგვიყვანა გურიაში, ჩოხატაურში. ერთი წელი იქ ვისწავლე, მესამე კლასში. რომ დავბრუნდი, სწავლა გავაგრძელე ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში. მოსწავლეობის პერიოდში თბილისის პიონერთა სასახლეში ვიყავი ორჯერ ჩამოსული. მომიწვიეს, როგორც ახალგაზრდა პოეტი და როგორც თემისდამწერი „აკაკი წერეთელი ქუთაისის გიმნაზიაში“ და ის თემა წავიკითხე. პიონერთა სასახლეში ვავიცანი ჯანსუღ ჩარკვიანი, გივი გვეგეჭკორი, ოთარ ჭილაძე და სხვები. 1951 წელს დავასრულე სწავლა . იმ დროს გაიხსნა ურნალისტიკის განწყობილება უნივერსიტეტში. შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს ურნალისტიკა იყო შემოქმედი ხალხისთვის,თითქოს იქ ლექსის წერას ასწავლიდნენ. ასეთი საოცარი წარმოდგენა იყო. ვინც კი ლექსებს ვწერდით, იმ თაობის ხალხი, ძალიან ბევრმა მოინდომა ამ მიმართლებით გავრძელება.ამიტომ, ვადაწყვეტეს რომ 25-ივე ადგილზე მიეღოთ ოქროსმედალოსნები. მე სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე და ,ამიტომ ,მეც ჩამრიცხეს. ამის მერე სოფელში წავედი, ვისვენებდი მშვიდად - მკონია, რომ ჩარიცხული ვარ. უცებ მოვიდა დედაჩემი დეპეშა, გამოძახებული ხარ უნივერსიტეტშიო. ჩემთან ერთად ორი ქუთაისელი გოგონა იყო ჩარიცხული და იმათ მითხრეს, ნიკო კეცხოველი იმ დროს თბილისში არ ყოფილა, ჩამოვიდა ახლა და თქვა, ეს როგორ

შეიძლებაო, 25-ვე მედალოსანიო. ყველა დაგვიბარაო, გამოგვცადესო, აარჩია 12- იო და შენ დაგავიანდაო. მე ამ დროს წამოვედი თბილისში, მივედი რექტორთან და ვუთხარი ჩემი მდგომარეობა. ერთი ფურცელი მომცა, მითხრა, დანერე თემა , რატომ მინდა გავხდე უურნალისტიო და თვითონ გავიდა. დავინწყე წერა. ვწერ, ვწერ, ვწერ და ნახევარს რომ გავსდი, კარი გაიღო და შემოვიდა ვილაც. დამადგა თავზე. ავიხედე ზევით და ეს ყოფილა ნიკო კეცხოველი. დავინახე დეპუტატის ნიშანი ჰქონდა. მან წაიკობა რაც დავწერე, ხელი დამადო მხრებზე და გავიდა. ჩავაბარე ის ნაწერი. მშვიდად არ მიძინია. მეორე დღეს ვნახე ჩემი ნაწერი და ეწერა- ჩაირიცხოს. ბატონმა ნიკომ შემომითვალა, სამიანი არ მიიღოს , თორე გავრიცხავო. მე ისე მოვიხდომე, ერთი ოთხიანიც კი არ მიმიღია. რომ დავამთავრე უნივერსიტეტი, გაზეთში დავიბეჭდე. ერთ მხარეს აკაკი შანიძის სურათი იყო, მეორე მხარეს ჩემი და ეწერა „46-ე ხუთიანი“. ასე დავამთავრე უნივერსიტეტი. უნივერსიტეტში იყო ერთი ასპირანტი ნოდარ ტაბიძე. ეს იყო ვალაკტიონის ძმა, რომელმაც შემდეგ გამაცნო ვალაკტიონი. მე უურნალისტიკის წრის ხელმძღვანელი ვიყავი და ყველა მონაცემი მექონდა , რათა სწავლა ასპირანტურაში გამეგრძელებია, მაშინ ძალიან მიდნოდა ეს. ვიროვი ჯიბლაძემ უარი თქვა, არ ცმალიაო. შემომთავაზეს რუსეთის ურნალისტიკის ისტორიაში თუ იმუშავებთო. კიდევ კარგი, არ დავთანხმდი და გადავრჩი. რომ წამოვედი, „სახელგამში“ მარჯანიშვილის 5 ნომერში, დირექტორი იყო ვიორგი მერკვილაძე, კვლევარი. ის მიცნობდა კარვად. გავიგე რომ რედაქტორის ადგილი განთავისუფლდა და 1951 წლიდან 53 წელი გავატარე იმ შენობაში. იქ შევადგინე იქ გავიცანი ვალაკტიონი და შევადგინე მისი რჩეული. იქ გავიცანი სხვა მწერლებიც, ჩემ მომავალი მეგობრები, ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე და სხვ. იოსებ გრიშაშვილის ტომეულების რედაქტორი ვიყავი, ვიორგი ლეონიძის ტომეულების რედაქტორი ვიყავი, ასევე, სიმონ ჩიქოვანის. რასაკვირველია, მაქვს მოგონებები მათზე, ზოგს ახლა ვადგენ. ასე მოვდივარ დღემდე. დღემდე ვმუშაობ ვალაკტიონის მუზეუმში, ახლაც შტატში ვარ. 10 წელია იქ ვარ.“

§1.2. შემოქმედებითი ბიოგრაფია: კრებულები და გამოხმაურებები

ვახტანგ ჯავახიძეს 15-ზე მეტი საავტორო წიგნი აქვს გამოცემული. ამ კრებულებიდან რამდენიმე განსაკუთრებით დიდი რეზონანსი გამოიწვია მკითხველში.

ვახტანგ ჯავახიძის მხატვრული შემოქმედება რამდენიმე უანრს მოიცავს: რომანი, ლექსი, ესე და მინიპოემა.

პირველი წიგნი „საყვარელი ქარები“ გამოიცა 1959 წელს. პოეტი მურმან ლებანიძე, ვახტანგ ჯავახიძის ახლო მეგობარი ყოფილა, წიგნის რედაქტორობაც მას აუღია საკუთარ თავზე. ვახტანგ ჯავახიძის პირველ კრებულში 51 ლექსია თავმოყრილი. 1966 წელს, როცა ვ.ჯავახიძემ რჩეული პოეზიის კრებული გამოსცა, თავისი პირველი წიგნიდან მხოლოდ 20 ლექსი შეიტანა: „*მაშასადამე, ნახევარზე მეტი არ მომეწონა. გამოდის, რომ ჩემი წიგნის ნახევარი არ მომწონს*“- [ს. ლიპარტია 18. ინტერვიუ: „ვ.ჯავახიძე: პირველი წიგნი პარპორტივითაა“]. ამ შემთხვევიდან გამომდინარე, თვითკრიტიკული ვახტანგ ჯავახიძე ახალბედა პოეტებს რჩევას აძლევს: „*სხვათა შორის , ასეთი რჩევა ახალგაზრდა პოეტებისა და მწერლებისათვის: როდესაც დაგიგროვდებათ ლექსები, თუნდაც 50, მოამზადეთ ეს წიგნი ტექნიკურად, დაალაგეთ, აწყვეთ, ოღონდ გამოცემის წინ თავი შეიკავეთ, არ დაბეჭდოთ. ამის შემდეგ, თუ კიდევ გააგრძელებთ ლექსის წერას და კვლავაც დაგიგროვდებათ 50 ლექსი, აი, ის ლექსები, ანუ მეორე წიგნი გამოეცით, როგორც პირველი კრებული. თუმცა, აქაც არის გამონაკლისები, მაგალითად, არიან პოეტები, რომელბიც თავიანთი საუკეთესო ლექსებით იწყებენ შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვას - ეს ჩემი რჩევა არ გამოდგებოდა მუხრან მაჭავარიანის შემთხვევაში... ანა კალანდაძემაც თავისი საუკეთესო ლექსებით დაიწყო... მაგრამ, ხომ არის პოეტების უმრავლესობა, რომელთათვისაც, ვფიქრობ, ჩემი რჩევა ანგარიშვასანევი და სასარგებლო უნდა იყოს.*“ [ს.ლიპარტია 18.ინტერვიუ: „ვ.ჯავახიძე:პირველი წიგნი პასპორტივითაა“]

მეორე კრებული, „ნაწვიმარი ქუჩები“, ვახტანგ ჯავახიძემ 1962 წელს გამოსცა. ამ წიგნში ძირითადად თავმოყრილია ლირიკული ლექსები. ამ პერიოდისთვის ვახტანგ ჯავახიძის პოეზიაში ნაკლებად შეიმჩნევა მოდერნისტული ტენდენციები. მისი ლირიზმი

თითქოს სტანდარტული სიმღერაა, ავტორის სუბიექტური შტრიხებით გამოხატული სახასიათო პოეზია.

1964 წელს გამოიცა ვახტანგ ჯავახაძის მომდევნო კრებული „ფერადი ჩრდილები“. ამ კრებულში თავმოყრილი თითქმის ყველა ლექსი უსათაუროა. ისინი გამოხატავენ პოეტის ლირიკულ გრძნობებს, ხოგი მათგანი მიძღვნაა, ზოგიც საკუთარ თავთან საუბარი.

11968 წელს გამოიცა შემდეგი კრებული „ათასი მზე“. მკითხველის მიერ დანახული შინაარსები თითქოს ერწყმიან და აგრძელებენ ერთმანეთს. ძირითადი ხაზი სიყვარულია. „ათასი მზე“ წარმოდგენილია, როგორც ,ლირიკული წერილების, ან დღიურის კრებული, რომელიც პატარ-პატარა ლექსებით გამოხატავს თავის თავს. კრებული მცირე ზომისაა და გაფორმებულია შავ-თეთრი ილუსტრაციებით, რომლებშიც , ძირითადად, მზე გამოისახება.

მას შემდეგ, ორ წელიწადში, 1970 წელს კი, გამოიცა მცირე ზომის კრებული „სამხრეთი“, სადაც ნელ-ნელა კიდევ უფრო გამოკვეთილია ვახტანგ ჯავახაძის ინდივიდუალისტური მეტყველება:

*„აქ პარალელურ სვეტებს და წვეთებს
ფეხქვეშ ეგება ქარი ტორტმანით,
აქ შეუმჩნეველად ერთმანეთს ჰკვეთენ
ვერტიკალი და ჰორიზონტალი.“*

1968-1970წ.

[ვ.ჯავახაძე 1970:6]

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ ჯავახაძის კრებულები აქტიურად იბეჭდება. „მეშვიდე“ – (თბილისი, მერანი 1974წ.), „მარტი, აპრილი, მაისი“ – (თბილისი, მერანი 1977წ.), „წეროების სამკუთხედი“ –(1978 წ.), „შედარება“ –(თბილისი, მერანი 1980 წ.), „და ასე შემდეგ“ – (1983წ.), „მომიკითხე ზღვა“ –9თბილისი, მერანი 1988 წ.) , „მე შენ გეტყვი“ –(1989წ.), „2002 სტრიქონი“ –(2002წ.).

„მარტი, აპრილი, მაისი“ - ეს კრებული უკვე გამორჩეულია სხვა კრებულებისგან. აქ ავტორს გალექსილი აქვს ავტოპორტრეტი . გარდა ამისა, ამ ფორმის საშუალებით დახატულია კიდევ პოეტის პირადი განცდა. ლექსი გულის ფორმისაა და ერთი თვალის

გადავლებაც საკმარისია, რომ ამ ლექსის სათაური და მისი ფიგურა მკითხველმა თანხვედრაში მოიყვანოს. სათაურისა და ფიგურის შინაარსი ბუნებრივად უკავშირდება ერთმანეთს. აქ ავტორი გადმოსცემს თავის დამოკიდებულებას,ზოგადად, ავტოპორტრეტისადმი. ფიქრობს, რომ ავტოპორტრეტს დიდი ძალა აქვს. აქვე, საკუთარი გალექსილი ავტოპორტრეტით საკმაოდ კმაყოფილია. (ვ.ჯავახაძე 1977).

2008 წელს გამოცემული წიგნი, „100 ლექსი“(ინტელექტი, 2008) დაირთავს არაორდინალურ წინასიტყვაობას „წინასიტყვაობის მაგიერ“, სადაც ვახტანგ ჯავახაძის შემოქმედებით თუ პიროვნულ ღირებულებებზე გულღიად საუბრობენ: „ იგი ჩემთვის ერთი იმათგანია, ვისაც ხშირად ვურეკავ, ვეკითხები, ვეთათბირები და რომლის რჩევასაც უყოყმანოდ ვიღებ და ვიზიარებ.“ - ანა კალანდაძე. [ვ.ჯავახაძე 2008:3]. „ასეთია, ძმაო, ვახტანგ, შენი პოეზია, - პოეზია აზრისა და განსჯისა, პოეზია ინტელექტითა და სიბრძნითა, სულგრძელობით აღბეჭდილი.“ - მურმან ლებანიძე. [ვ.ჯავახაძე 2008:3].

ამავე კრებულის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ ტარიელ ჭანტურიას, დავით წერედიანის, როსტომ ჩხეიძის, ემზარ კვიციანიშვილის, ლევან ბრეგაძის, მიხეილ ქვლივიძისა და დავით მჭედლოურის ნააზრევს ვახტანგ ჯავახაძის შემოქმედებაზე.

ტარიელ ჭანტურია ამბობს, რომ ვახტანგ ჯავახაძე უდაოდ „კაი პოეტია“ [ვ.ჯავახაძე 2008:5]. მისი აზრით, ირონიულ პარადოქსული ნაკადის თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო და ჯეროვნად შეუსწავლელი პოეტი ერთია ჩვენს ირგვლივ და ამ პეოტად იგი სწორედ ვახტანგ ჯავახაძეს ასახელებს. (ვ.ჯავახაძე 2008).

კლებულიდან კრებულამდე ნელ-ნელა თითქოს ფერისცვალება ხდება. მისი ყოველი ახალი წიგნი, ან მცირედით, ან ჯეროვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. სტილი და აზრთა შინაარსები სხვადასხვაგვარია. „100 ლექსიც“ არ არის გამონაკლისი. ამ კრებულმა ახალი მახასიათებლები შეიძინა:

„ფრთხილად! –

ბევრჯერ გაცრუებულ იმედს ვეჩურჩულები:

არენაზე გამოდიან ეგრეთწოდებულები.

*მოდის, შორით ესაღმება უფულოს და ფულიანს,
ვერ იცანით? - ესეც ჩვენი ევრეთნოდებულია”.*

1990

[ვ.ჯავახაძე 2008:29]

მეოცე საუკუნის მიწურულს დაწერილ ვახტანგ ჯავახაძის ლექსებთან დაკავშირებით დავით წერედიანი აღნიშნავს: „ მათ ხალისიან ,თითქმის უდარდელ ტონს მიღმა, სიტყვებისა და სტრიქონების თითქმის ჯამბაზურ ილეთებს მიღმა, როგორც მკაფიოდ ასახულიყო ჩვენი ყოფის აფსურდულობა, უმწეობა, ტრაგიზმი, თანაც, ერთი ლირიკული წამოკვანძვების გარეშე! და ყოველივე ეს რა დიდი პოეტური კულტურის დონეზე ხდებოდა”. [ვ.ჯავახაძე 2008:5]

ვერ ვიტყვი, რომ 1900-2010-იანი წლების პოეზიაში ვახტანგ ჯავახაძე ლირიკული ემოციებით აღარ გამოვლინდება, თუმცა მისი აშკარა, მკვეთრი ლირიზმი მეტ-ნაკლებად უკანა პლანზე კი ნამდვილად ინაცვლებს. ამ პერიოდიდან ვახტანგ ჯავახაძის პოეზიაში საგნები იწყებენ მეტყველებას და ავტორის ირონიულ და იუმორისტულ ტონს უკანა პლანზე გადაჰყავს აქამდე ჩვეული მკაფიო ლირიზმი. თუმცა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ავტორს საბოლოოდ და სრულიად ზურგი ექცოს ლირიკული ლექსისთვის. სულაც არა. აღსანიშნავია ისიც, რომ ადრეული პერიოდის ლექსები შემოქმედებითი ჩარჩოებით გამოირჩევა, განსხვავებით ბოლოდროინდელი პოეზიისა, სადაც ავტორი სრულიად თავისუფალ სიტყვას, თავისუფალ აზრს, თავისუფალ სტილს ირჩევს. „ ჩემი შემოქმედების პირველი ნახევრის, ადრეული ლექსები ნაკლებად მომწონს. არ მომწონს, გასაგებიცაა, იმიტომ , რომ თავში ცენზორი მეჭადა. სტილიც განსხვავებულია. შემდეგი პერიოდის ლექსები უფრო ლაღი და თავისუფალია. სტალინი რომ მოკვდა, მეგონა ქვეყანა დაიქცა, გესმის, როგორი მონამლულები ვიყავით?!. რა მოხდება, ქვეყანა როგორ უდნა იყოსო. სინამშვილეში, თურმე, ეშველა ქვეყანას.” (ინტერვიუდან)

თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკოსის, დავით მჭედლურისთვის ცხადია, რომ 21-ე საუკუნის დამდეგისათვის დროის განცდა ვახტანგ ჯავახაძის პოეზიას მეტ სიმძაფრეს შესძენდა. კრიტიკოსის აზრით, ვახტანგ ჯავახაძე ერთი იმათგანია, ვინც ძალიან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა XX საუკუნის მეორე ნახევრის მხატვრული აზროვნებისა

და პოეტური კულტურის შემდგომ განვითარებაში. (ვ.ჯავახაძე 2008) „100 ლექსის“ „წინასიტყვაობაში“ გამოთქმულ აზრებს შორის ჩემს ყურადღებას იქცევს ემზარ კვიტაიშვილის, ლევან ბრეგაძისა და მიხეილ ქვლივიძის შეფასებები. ისინი თანხმდებიან, რომ ვახტანგ ჯავახაძის პოეტური შესაძლებლობები საოცრად დიდია და რომ მისი ტალანტი ფენომენალურია. (ვ.ჯავახაძე 2008) „*კრებულიდან კრებულში თავისი გამორჩეული ნიჭის ახალ-ახალ წახნაგებს ავლენს.*“ - ე.კვიტაიშვილი. [ვ.ჯავახაძე 2008:7]

სწორედ საუკუნეთა მიჯნაზე გამოიყვანა ვახტანგ ჯავახაძის მომდევნო კრებული „2002 სტრიქონი“, რომელიც ასახავს კიდევ პოეტის შემოქმედებით აზროვნებაში მომხდარ გადანომვრას. აქ გადაფასებულია სულიერი და მატერიალური ღირებულებები. „2002 სტრიქონში“ თითქმის განახლებულია ვახტანგ ჯავახაძის პოეტური პალიტრა. აქ სიტყვა უფრო თამამი და მკაფიოა. ავტორის დამოკიდებულება საუკუნეთა მიჯნაზე ნათელია. მიუხედავად თავისუფლების შეგრძნების ცალსახა მატებისა, ვახტანგ ჯავახაძე საბოლოოდ ვერ გამომშვიდობებია გასულ საუკუნეს და არჩევანსაც მასზე აჩერებს:

თავისუფალი

„როგორც კი

სადმე წავაწყდები ვახუნებულ აფიშებს,

მაშინვე მეცხრამეტე საუკუნეში გადავაბიჯებ.

თუმცა თანამედროვენი არაფერს მერჩიან,

მე რატომღაც ყოველთვის მეცხრამეტე მერჩია.“

[ვ.ჯავახაძე 2002 :10]

2011 წელს ვახტანგ ჯავახაძის პროზაული კრებული გამოიყვანა - „ლექსიდან-ლექსამდე, ჩანაწერები“. ეს წიგნი აშკარად გამორჩეული ელემენტია ვახტანგ ჯავახაძის შემოქმედებაში, რადგან მოიცავს პოეტის ცხოვრებისა და ურთიერთობების მთელ პლანს. ჩანაწერები უნიკალურია იმ მხრივაც, რომ შეიცავს ქართული ლიტერატურის გამორჩეული ფიგურების ხასიათების და ღირებულებების ამსახველ ჩანაწერებს. ვახტანგ ჯავახაძის თანაკურსელები იმდროინდელი ქართული პოეზიის გამორჩეული ავტორები იყვნენ:

„ერთ ჯგუფში მოვიყარეთ თავი - ტარიელ ჭანტურია, ვივი გეგეჭკორი, ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ზურაბ ბოლქვაძე, თამაზ ბიბილოური, ფილიპე ბერიძე, რეზო ინანიშვილი ... შემთხვევითაც მოხდა და სწორადაც ახალი მდგომარეობა შეიქმნა - მეტი თავისუფლება აზროვნებაში.” - იხსენებს ვ.ჯავახაძე [ს.ლიპარტია. 18.ინტერვიუ: „ვ.ჯავახაძე:პირველი წიგნი პასპორტივითაა”]

„ლექსიდან ლექსამდე” არის წიგნი, სადაც ვახტანგ ჯავახაძე მოკლე ჩანაწერების სახით გადმოსცემს საინტერესო ისტორიებსა და გამოთქვამს პირად გამოკიდებულებას ზოგადსაკაცობრიო თემებზე. ალბათ საუკეთესოდ ამ წიგნიდან ჩანს პოეტის მსოფლმხედველობა, იდეოლოგიური მრწამსი და ინტერესების სფერო, ჰობი და პირადი დამოკიდებულება უამრავი საკითხის მიმართ. აქ შეხვდებით წერილებს სხვადასხვა თემაზე: სპორტი, პოლიტიკა, ისტორია, კულტურა, რელიგია და რაც მთავარია - „მწერალი+ნიჭი+ოფლი+ცოლი” - მწერლობა.[ვ.ჯავახაძე 2011:29] აქვე პოეტი საკუთარ თავს წარმოაჩენს, როგორც მუდმივად მაძიებელ პოეტს. ვახტანგ ჯავახაძის აზრით, ის არის მუდმივ ძიებაში, სიახლეებისკენ სწრაფვა მისი ცხოვრების წესია. ეძებს და პოულობს, და თუ ვერ პოულობს, მაინც ეძებს. (ვ.ჯავახაძე 2011)

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრებულია „ვახტანგური”, რომელიც ვ.ჯავახაძის ავტორობით 2012 წელს გამოიცა. ეს ერთტომეული აერთიანებს ძველ კრებულებში შემავალ და ახალ ლექსებს. „ვახტანგურის” წინასიტყვაობა იგივეა, რაც „100 ლექსისა”, ანუ „წინასიტყვაობის მაგიერ” ისევ თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკოსების მიერ დაწერილი წერილები გვხვდება, სადაც მათ მიერ ხაზია გასმული ვახტანგ ჯავახაძის პოეტურ თუ პიროვნულ ღირსებებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვათა შეფასებები, ძირითადად, მოიცავს ვახტანგ ჯავახაძის პიროვნების განსაზღვრებებს და აქცენტს აკეთებს მის ღირებულებებზე, თუმცა, აქ შეხვდებით ვ.ჯავახაძის ლიტერატურის კრიტიკასაც. „ვახტანგური” თითქოს ბევრი რამის გამოთლიანებაა, ერთ დიდ ლიტერატურულ პროდუქტად შეკვრაა, მკითხველისთვის სათქმელის ორგანიზებულად მიწოდებაა. ეს კრებული ვახტანგ ჯავახაძის, როგორც თანამედროვე ქართველი პოეტის სავიზიტო ბარათადაც შეიძლება ჩავთვალოთ. კრებული შედგება რამდენიმე ქვეკრებულისგან, განყოფილებისგან.

წიგნის ბოლოს შევხვდებით სრულიად ახალ პოეზიას -გრაფიკულ ლირიკას, რომლის ერთ-ერთ ფუძემდებლადაც (და, შეიძლება ითქვას, გამგრძელებლადაც) ქართულ ლიტერატურაში იწოდება სწორედ ვახტანგ ჯავახიძე. გრაფიკული ლირიკის აქ წარმოდგენილი ნამუშევრები სიახლეა ქართული პოეზიისათვის. ერთი შეხედვით რთულ ლაბირინთებში შეიძლება დაიკარგო, ზოგ შემთხვევაში დეტალების გარჩევა და აღქმა ჭირს, თუმცა დიდი დაკვირვებისა და შესწავლის შემდეგ ცხადი ხდება , რომ ფორმა და შინაარსი თანხვედრაშია, ეს ყველაფერი კი ღრმა აზრის მატარებელია. აქ ინდივიდუალისტურად არის წარმოჩენილი ზოგი ემოცია . კრებულში გრაფიკული ლექსი, როგორც ლექსწერის ერთ-ერთი მეთოდი, ვახტანგ ჯავახიძის მიერ ფართო სპექტრით არის წამოდგენილი. გრაფიკული ლირიკის დასაწყისში ვხვდებით ლექსს „პროლოგი” , რომლის ბოლო სტრიქონი ხსნის პოეტის ჩანაფიქრს:

*„მე ლექსებს არ ვწერ, -
მე ლექსებს ვხატავ.”*

[ვ.ჯავახიძე 2012:404]

კრებულში წარმოდგენილია გრაფიკული ლექსის 17 ნიმუში, პროლოგი და ეპილოგი.

*სამკუთხედი
„ყირაზე დვას სამკუთხედი
გრაფიკული ციკლიდან
თუ გულით გსურს,
ფეხზე დადგეს,
შეაბრუნე
წიგნი
და”*

[ვ.ჯავახიძე 2012:407]

გრაფიკული ლირიკის გაგრძელებაა „P.S. წიგნი წიგნში - 33 აცაბაცა”. ავტორმა ბერძნულ „პოლინდრომს”(უკუქცეულს) - ქართული „აცაბაცა” მიუსადაგა. „აირევი ივერია”(აკაკი წერეთელი) - ამ ფრაზაში ერთი შეხედვით განსაკუთრებული არაფერია,

თუმცა თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ერთნაირად იკითხება მარჯვნიდან და მარცხნიდან. „პოლინდრომი“ ბერძნული სიტყვაა და „უკან დაბრუნებულს“ „უკან მორბენალს“ ნიშნავს. პოლინდრომმა გალაკტიონიც დააინტერესა: „ აი, რა მზის სიზმარია, აირევი ივერია... აი დროშა აშორდია, აერების სიბერეა“.[ვ.ჯავახიძე 2012:424] პოლინდრომული ნიმუშები უახლეს პოეზიაშიც შეინიშნება : „აბელ , თოფი იფოთლება“ ; ოთარ ჭილაძე; „ორაზება აბეზარი“ – ტარიელ ჭანტურია [ვ.ჯავახიძე 2012:425]

გურამ ასათიანის თქმით „*პოეზია ვერ ძლებს უცნაურობების გარეშე*“. [ვ.ჯავახიძე 2012:425] ამ „უცნაურობით“ დაინტერესდა ვახტანგ ჯავახიძეც.

„*პალინდრომი მოულოდნელ ასოციაციებს იწვევს და ფანტაზიის საზღვრებს აფართოებს. მისი აზრობრივი სიზუსტე შეზღუდულია, მაგრამ გართობის ნიშნებს ამულავნებს და უცნაურ ლინგვისტურ კონსტრუქციებს გვთავაზობს. სიტყვის მეორე მნიშვნელობას აღმოგვაჩენინებს, ტექსტზე მეტად ქვეტექსტით გვაინტერესებს, ნეოლოგიზმების ფართო ასორტიმენტს წარმოგვიდგენს. ხშირად პოლინდრომი რიტმის ყალიბისკენ მიისწრაფვის, ვითომ დაუსრულებელი, ჩაფიქრებული ლექსის მელოდიურ ალიტერაციას შემოგვაპარებს ხოლმე და რითმის ჩანასახოვან ვარიანტს უახლოვდება, უარეს შემთხვევაში - ვერლიბრად მაინც გასაღდება. „გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო“ - ასეთი ირონიული გამოთქმა შეესაბამება პოლინდრომს. ნახატი პოლინდრომის იდეა ვიზუალური პოეზიის აღორძინებამ და კომპიუტერული „აზროვნების“ წარმატებამ დააჩქარა და მიკარნახა.“[ვ.ჯავახიძე 2012:425]*

ვახტანგ ჯავახიძის შთავონება გამონვეულია გიოომ აპოლინერისა და ანდრეი ვოზნესენსკის ცალკეული ფიგურული ექსპერიმენტებით. „*აპოლინერის კალიგრამები გამოირჩევა ტექნიკური ორიგინალობით, სადაც სიტყვები ქმნიან ერთგვარ სურათებს, პეიზაჟებს. ზოგან სიტყვები მუსიკალური ნიშნებით ან ნახატებითაცაა შეცვლილი.*“[ვ.ჯავახიძე 2012:425]. 2005 წელს, როცა ვახტანგ ჯავახიძემ პოლინდრომების წიგნი გამოსცა, მას და ტარიელ ჭანტურიას ავადმყოფი ჯანსუღ ჩარკვიანი მოინახულებიათ ორთაჭალის საავადმყოფოში. ჯანსუღისათვის ექიმებს კითხვა აუკრძალავს, ის კი ისე მოხიბლული ყოფილა ვახტანგ ჯავახიძის პოლინდრომებით, ექიმისთვის „*ჰჰ აცაბაცა*“

უჩუქებია და უთქვამს, რომ ეს წიგნი საგანგებოდ შენთვის დავბეჭდე, რომელსაც წაკითხვა არ სჭირდებაო. (ვ.ჯავახიძე 2011)

„ვახტანგური“ წარმოდგენილი პოლინდრომის ნიმუშები ჩარჩოშია ჩასმული და ასოებით სხვადასხვა ფიგურას ხატავს. ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ ეს ფიგურები ორნამენტებს მიახლოავსო. ზოგი მათგანი წახნაგოვანი, ზოგი წრიული, ზოგი ლაბირინთულია. შინაარსი ფიგურებისა ვახლავთ ზოგან ქრისტიანული ორნამენტისგან ნაკარნახევი, ზოგან სხვადასხვა კულტურის ნიშნების გავლენით წარმოდგენილი. პოლინდრომულ ლექსებს ბოლოში სათაურებად სრული ტექსტი აქვს მიწერილი. ეს, ალბათ, მკითხველის დაბნეულობისა და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნითაა გადაწყვეტილი. ვახტანგ ჯავახიძის მიერ წარმოდგენილ პოლინდრომის ნიმუშებში სიტყვების მარჯვნიდან მარცხნივ და პირიქით წაკითხვის შემთხვევაში, ზოგან, ერთი ასობგერით განსხვავებულ სიტყვებს მიიღებთ.

პოლინდრომში „ითამაშა შამათი“ სიტყვის შინაარსი და ფიგურული გამოსახულება ფაქტობრივ თანხვედრაშია, ორივე შემთხვევაში ჭადრაკის დაფასთან მივყავართ ლოგიკას. სიტყვების შემთხვევაში „შამათი“ გვაკავშირებს ჭადრაკის დაფასთან, ხოლო გრაფიკული გამოსახულების შემთხვევაში კუბური ნახატი, მსგავსია ჭადრაკის დაფისა.

ვახტანგ ჯავახიძის სხვა დანარჩენ კრებულებთან შედარებით, „ვახტანგური“ ყველაზე ვრცელია. 480 გვერდზე ავტორის რჩეული პოეზია და ექსპერიმენტული ნამუშევრებია წარმოდგენილი. თუ მკითხველს სურს, რომ ვახტანგ ჯავახიძის პოეტურ სამყაროს, მის თემატურ არჩევანსა და ფორმობრივ გადაწყვეტას მარტივად გაეცნოს, „ვახტანგური“ ამისთვის კარგი მიგნებაა. წიგნის სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ ეს კრებული მკვეთრი ინდივიდუალიზმის მქონე ავტორს წამოაჩენს.

„ვახტანგური“ დაირთავს ვახტანგ ჯავახიძის მიერ საკუთარი ცხოვრების ორიგინალურად მიმოხილვას, რომელიც ავტორის მიერ წოდებულია „ბოლოსიტყვაობის მაგიერ“. ეს „ავტობიოგრაფია“ მკვეთრად ავლენს ვახტანგ ჯავახიძის ორიგინალურ სტილს. ავტორი ბოლოსიტყვაობაში საუბარს „ვახტანგურზე“ იწყებს და მშობლიური ქალაქისადმი (ქუთაისი) უცვლელი დამოკიდებულების გამოხატვით ასრულებს. შიგადაშიგ გადმოცემულია კრებულების გამოცემის ისტორიები, მათი გაფორმების,

რედაქტორობისა და მკითხველის შეფასების ამბები. (ვ.ჯავახაძე 2012) 2011 წლეს გამოცემული რჩეული პოემის ბოლოსიტყვაობას ვახტანგ ჯავახაძე ასე ასრულებს: „ყოველდამ ჩამესმოდა რიონის ნანა. დაბადებითაც ქუთაისში დავიბადე - თითქმის ოთხმოცი წლის წინათ - 1932 წლის 29 ივლისს.“ [ვ.ჯავახაძე 2012:465]

ვახტანგ ჯავახაძის „უცნობი“ ექვსჯერ გამოიცა. 1988 წელს უცნობის პირველი გამოცემა 40 ათასი ეგზემპლარი დაიბეჭდა და უმალ გაიყიდა. „ამ რომანს მურმან ლებანიძემ „მოულოდნელი წიგნი“ ხოლო ტარიელ ჭანტურიამ - „უცნაური რომანი“ უწოდეს“.[ვ.ჯავახაძე 2012:463] პირველი ვარიანტი ვახტანგ ჯავახაძემ გალაკტიონის ნახატებით გააფორმა. გალაკტიონის ორასამდე ნახატითაა გაფორმებული უცნობის მეხუთე ვარიანტი. ეს ვარიანტი გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერაა დაბეჭდილი, 2013 წელს.

ვახტანგ ჯავახაძის მიერ გალაკტიონ ტაბიძემ დაწერილი წიგნი ეყრდნობა გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერებს:

„გალაკტიონი დახურული პიროვნება იყო. გულახდილი არავსთან ყოფილა, ამიტომაც უამრავი ლეგენდაა მასზე შექმნილი, მაგრამ რას აკეთებდა, რას ფიქრობდა, ამას სინამდვილეში ვერავინ იტყოდა, რადგან გალაკტიონს მეგობარის კი არ ჰყოლია, რომელიც მოკონებებს შეინახავდა მასზე. მაგრამ, საბედნიეროდ, თვითონ დატოვა უმდიდრესი არქივი. ესაა ყოველდღიური ჩანაწერები, ამბები. ჩვეულებრივი ამბები კი არა, სიმბრებიც კი აქვს ჩანერილი, ტელეფონზე საუბარიც და არა მხოლოდ საუბარი, აი, რაღაცას რომ ესაუბროს და რასაც უპასუხებდა, ისინიც კი წინასწარ ჩაუფიქრებია. ტროლეიბუსის ჩანაწერებიანი ბილეთიც შეუნახავს. პაპიროსის კოლოფის მუყაომაც მინაწერიც და ეს ძალიან მდიდარი არქივი იდო მუზეუმში.“ [ს.ლიპარტია 18. ინტერვიუ: „ვ.ჯავახაძე: პირველი წიგნი პასპორტივითაა“]

„მე ვიცნობდი გალაკტიონ ტაბიძეს.“ [ვ.ჯავახაძე 1988:5]- ამ ფრაზით იწყება უცნობის ყველა გამოცემა. ეს თითქოს ხსნის ავტორის დამოკიდებულებას საკითხის მიმართ. წიგნის პირველ აბზაცშივე იკვეთება ავტორის სუბიექტიზმი გალაკტიონის პიროვნების მიმართ. ვახტანგ ჯავახაძე ვერსად გაეყცა გალაკტიონის პიროვნების გენიალურობის ხმამაღლა აღიარებას:

„გალაკტიონმა ივარაუდა, რომ მისი ყველა დეტალი საინტერესო იქნებოდა და ერთ დროს გამოჩნდებოდა ჩემსავით მოცლილი ადამიანი, რომელსაც არ მოსწყინდებოდა და 35 წელიწადი დაჟდებოდა გალაკტიონის არქივთან.” [ს.ლიპარტია 18. ინტერვიუ: „ვ.ჯავახაძე: პირველი წიგნი პასპორტივითაა”] „უცნობი” გ.ტაბიძის სიცოცხლეში მომზადებული უკანასკნელი რჩეულის შემდგენელ-რედაქტორმა, ვ.ჯავახაძემ დაწერა. გარდა მდიდარი საარქივო მასალისა, ვახტანგ ჯავახაძე იყენებს გ.ტაბიძის ნახატებს, რომლებითაც წიგნია გამოფორმებული. „უცნობი” გადმოგვცემს გ.ტაბიძის ცხოვრების ბოლოდროინდელ ამბებს, მისი ცხოვრების ისეთ დეტალებს, რომელთა შესახებაც მკითხველმა „უცნობის” გამოცემამდე არაფერი იცოდა. ვახტანგ ჯავახაძე იცნობდა გ.ტაბიძეს და ეს ფაქტი, თავისთავად, უკვე სერიოზულ საფუძველს გვაძლევს, რომ ნაშრომი ორიგინალური და უნიკალურია. ავტორი შეგვახედებს გ.ტაბიძის შემოქმედებით ლაბორატორიაში. საინტერესო დეტალებით არის გადმოცემული გ.ტაბიძის ხასიათის ამსახველი ყოველდღიური ცხოვრების ეპიზოდები და წიგნში გ.ტაბიძე წარმოდგენილია, როგორც ავტორი, პოეტი და შემოქმედი.

„უცნობის” 2013 წლის გამოცემაში უფრო დიდი ადგილი ეთმობა გალაკტიონის ნახატებს. ვახტანგ ჯავახაძე გალაკტიონ ტაბიძეს გვაცნობს, როგორც მხატვარს. აქ წარმოდგენილია მისი 200-მდე ნახატი, რომელიც სქელტანიანი წიგნის თითქმის მეოთხედს იკავებს. მკითხველისათვის ეს არამც თუ ზედმეტია, პირიქით, ამ უნიკალური მასალის წიგნში შეტანით, აქცენტირებითა და მაღალი ხარისხით წარმოდგენით, ვახტანგ ჯავახაძემ თითქოს დახვეწა „უცნობის” აქამდე გამოცემული ვარიანტების, როგორც შინაარსი, ისე ვიზუალური ეფექტები. „უცნობის” 2013 წლის გამოცემა, აქამდე გამოცემულ წიგნებთან შედარებით ვრცელტანიანია. მისი გვერდების რაოდენობა 860 მდე აღწევს და წიგნის ამ ვარიანტს მცირედი ჩასწორებებით გვთავაზობს ავტორი.

2016 წელს კი გამოვიდა ვახტანგ ჯავახაძის პოეტური კრებული „ელეგია და სხვა”. წიგნი გამომცემლობა „ინტელექტის” მიერაა დაბეჭდილი და წარმოადგენს ვ.ჯავახაძის ბოლოდროინდელი პოეტური ნამუშევრების კრებულს. შეიძლება ითქვას, რომ წიგნი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში წარმოდგენილია „ელეგია ყელსაბამი”, ხოლო მეორე ნაწილი ეთმობა „სხვა” ლექსებს, როგორც ეს კრებულის სათაურშივე იკვეთება.

წიგნმა გამოცემისთანავე დიდი გამოხმაურება გამოიწვია თანამედროვე , და არა მხოლოდ თანამედროვე, მკითხველში. ვახტანგ ჯავახიძის პოეტურ შემოქმედებაშიცა და წერილებშიც მრავლად მოიძებნება ლექსი თუ მცირე ზომის ჩანაწერი, რაც მოწმობს იმას, რომ პოეტისათვის საკუთარი მეუღლე ერთ-ერთი ძირითადი შთაგონებაა. „ელეგია ყელსაბამის” შემთხვევაში ვახტანგ ჯავახიძე იწყებს მცირე ზომის ლექსის წერას და საბოლოო ჯამში გამოსდის მინიპოემა, რომელის გარდაცვლილი მეუღლის ხსოვნისადმია მიძღვნილი. *„ელეგიაზე ისე მოხდა, როგორც „უცნობის” შემთხვევაში. მე ცოლი გარდამეცვალა 3 წლის წინ და მინდოდა მისთვის ლექსი მიმეძღვნა. დაეინყე ამ ლექსის წერა, ჩვეულებრივი, დაახლოებით 20-30 სტრიქონი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვეღარ ვაფრერდი. ალბათ ტკივილის გრძნობა იყო ისე ძლიერი, ვავაგრძელე, მივყევი და 11 თვის განმავლობაში ვწერდი”*. [ვ.ჯავახიძე 18. „ინტერვიუ”] მინიპოემის ძირითადი მიმართულება საგნების მეტყველებაა. საგნების მეტყველება და საგნებით მეტყველება. წიგნს ახლავს რამდენიმე წერილი თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკოსებისა. მათ შორის ზვიად კვარაცხელია აღნიშნავს: *„ამ ლექსში ჩვენ ვხედავთ, როგორ გარდაიქმნება ყოფითობა პოეზიად”* [ლ.ბრეგაძე 19.სტატია: „ვ.ჯავახიძის დაობლებული საგნები”]

თავი II

ვახტანგ ჯავახაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა

§2.1. ესეისტური მემკვიდრეობა

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წიგნი ვახტანგ ჯავახაძის შემოქმედებაში არის „ლექსიდან - ლექსამდე - ჩანაწერები.“ იგი გამომცემლობა „ინტელექტმა“ 2011 წელს გამოსცა. რედაქტორი ზვიად კვარაცხელიაა. წიგნი წარმოადგენს ჩანაწერებისა და ესეების კრებულს, მოგონებებს, გონებამახვილურ გამონათქვამებს, ავტორის თვითკრიტიკას. მინუსი არის ის, რომ წიგნი სარჩევის გარეშეა წარმოდგენილი. წიგნის წაკითხვის პარალელურად დავადგინე, რომ მასში შესულია ავტორის 750-მდე ჩანაწერი. თითო გვერდზე საშუალოდ ორი-სამი ჩანაწერი. წიგნი იწყება წერილით „მოსალოდნელი შეხვედრა“, რომელიც მოგონებაა ვახტანგ ჯავახაძისა და გიორგი ლეონიძის შეხვედრისა. მოგონება ეხება ილია ჭავჭავაძის აღიარებას ვახტანგ ჯავახაძის, გიორგი ლეონიძისა და მიხეილ ჯავახიშვილის მიერ.

ერთ-ერთ წერილში ვახტანგ ჯავახაძე იხსენებს პერიოდს, როცა „წიგნის სასახლის“ სალაროსთან მდგარი რიგის მონაწილე იყო, ჰონორარის ასაღებად. ავტორის ცნობით ამ სალაროსთან საკუთარი დამსახურებული ჰორარარის მოლოდინში მდგარან: გალაკტიონ ტაბიძე და ნიკო ლორთქიფანიძე, ჰავლე ინგოროყვა და კონსტანტინე გამსახურია, შალვა ნუცუბიძე და იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე და კოლიკარპე კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ლადო ასათიანი. ვახტანგ ჯავახაძეს ამ სალაროსთან პირველად ჰონორარი მიაწოდეს, როგორც „მნათობში“ დაბეჭდილი საკუთარი ლექსის საზღაური, ხოლო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ნახევარი თვის პირველი ხელფასიც აქ დაუთვლია. ახლა უკვე, ამ სალაროს სარკმელი დიდი ხანია აღარ იღება. ვახტანგ ჯავახაძის თქმით, ამ სარკმელს სულ მალე რამდენიმე აგური და გაჯ-ცემენტის ნაზავი სამუდამოდ ამოქოლავს. წერილში „იმედის სალარო“, ვახტანგ ჯავახაძე მწუხარებას გამოთქვამს „წიგნის სასახლის“ სალაროს გაუქმების შესახებ და ვარაუდობს, რომ სულ მალე „წიგნის სასახლეც“ აუქციონზე გაიყიდება. აქ შეიძლება გაიხსნასო კაზინო, სასტუმრო, უკეთეს შემთხვევაში კი ბანკი. (ვ.ჯავახაძე 2011) - „საქართველოს აქვს და

ეწემა ბევრი ბანკი, ბევრი სასტუმრო, ბევრი კაზინო და აღარასოდეს ეწემა ერთადერთი „წიგნის სასახლე“.[ვ.ჯავახაძე 2001:7]

წერილებიდან ერთ-ერთი ყურადღებამისაქცევია „ლუარსაბ თათქარიძის საქართველო“. ალბათ, სათაურიდანაც მარტივია იმის გაგება, თუ რას უნდა ეხებოდეს ეს წერილი. ის, რომ სიტყვას „ჭამა“ ქართულ სინონიმთა ლექსიკონში 42 ერთეული შეესაბამება, ავტორის აზრით, მოწმობს იმას, რომ საქართველო არა მარტო რუსთაველისა და დავით აღმაშენებლის ქვეყანაა, არამედ, აგრეთვე, ლუარსაბ თათქარიძის ქვეყანაც. ამ აზრის განსამტკიცებლად ვახტანგ ჯავახაძე ერთ საინტერესო არგუმენტს გვიყვება. მაშინ, როდესაც ვახტანგ ჯავახაძემ 2007 წლის 10 ივლისს ონკოლოგიური საავადმყოფოსთან მდგომ სამარშუტო ტაქსის მძღოლს ჰკითხა, წიგნის სასახლისკენ ხომ არ მიდიოდა, იგი ვერ მიმხვდარა, თუ რომელ შენობაზე ეკითხებოდა. დამატებითი ინფორმაციის მიღებისთანავე აღუქვამს ტერიტორია და ჩაჰკითხვია: (ვ.ჯავახაძე 2011). „აა, რესტორანი რომაა - „შემოიხედე, გენაცვალეო? ... ესეც შენი ლუარსაბ თათქარიძის საქართველო და არა ილია ჭავჭავაძის საქართველო“ [ვ.ჯავახაძე 2011:7].

ცხადია, ისე, როგორც ყველა ქვეყანა, საქართველოც საკუთარი კულტურისგან შედგება. ქართველ ხალხსაც ურთიერთსაწინააღმდეგო გამოვლინებები ახასიათებს. ვ.ჯავახაძის მიერ მოყვანილი მაგალითი ცხადყოფს, რომ ქართველი ერი არ არის მხოლოდ დადებითი მხარეებისგან შემდგარი და უნდა შეგვეძლოს ამას თვალი გაუხსნოროთ. სისულელეა იმის გამუდმებით ძახება, რომ მსოფლიოში ყველაზე „მაგარი“ ერი ჩვენ ვართ.

ვახტანგ ჯავახაძე საკმაოდ თვითკრიტიკული პოეტია. არასოდეს არის კმაყოფილი თავისი ნამუშევრებით და მუდმივად სწავლობს, ვითარდება. მისი აზრით, ძალიან ბევრი უნდა იკითხოს ადამიანმა. ზოგიერთი პოეტი იმიტომაც კი უნდა წაიკითხოს, რომ იცოდეს, როგორ არ უნდა წეროს: „*დღემდის იმას ვსწავლობდი, როგორ არ უნდა ვწერო. ის როდისღა უნდა ვისწავლო, როგორ ვწერო? მოვასწრებ კი?*“ [ვ.ჯავახაძე 2011:7].

ლიტერატურის კრიტიკოსები აფასებენ ვახტანგ ჯავახაძის შემოქმედებას. გამოკვეთენ, ძირითადად, მის დადებით მხარეებს. საუბრობენ სტილზე, ღრმაფილოსოფიურ შრეებზე, ინდივიდუალიზმსა და სახასითო მხარეებზე, თუმცა

,საინტერესოა, თავად ვახტანგ ჯავახიძეს როგორ სურს , რომ წერდეს: „*მე მინდა ვწერო ისე, როგორც ხატავდა ვან გოგი.*” [ვ.ჯავახიძე 2011:9]. ეს ფრაზა წერილების კრებულში განცალკავებით წერია და არ მოყვება არანაირი ლოგიკური გაგრძელება. ესე იგი, ავტორის მიზანია, უშუალოდ ამ ფრაზიდან აღიქვას მკითხველმა მისი დამოკიდებულება, ავტორის მაღალი მოთხოვნები.

მაღალ მოთხოვნებს რაც შეეხება, ამის თქმის საშუალებას თავად ვახტანგ ჯავახიძის მიერ მოყვანილი მაგალითი მაძლევს. ვან გოგი პოსტიმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ნიდერლანდელი ფერმწერი და გრაფიკოსი თავისი მრავალპლანიანი შემოქმედებით ფართოდ ცნობილი მხატვარია. მისი ნამუშევრები მსოფლიომ აღიარა. როგორც ჩანს, ეს აღიარება გაიზიარა ვახტანგ ჯავახიძემაც. ყურადღებას იქცევს მისი დამოკიდებულება ვან გოგისადმი. პოეტის ცხოვრებაში ამ მხატვარს დიდი ადგილი უჭირავს. ვან გოგი, პირველ რიგში, ვახტანგ ჯავახიძის საყვარელი მხატვარია, ხოლო შემდეგ მისი სტანდარტი, როგორც უმაღლესი შესრულების ოსტატი, მეტრი ხელოვნებაში.

ვახტანგ ჯავახიძისათვის ხელოვნება ადამიანის გემოვნების მოდელირებას განსაზღვრავს. ამ წიგნში კი ბლომად შევხვდებით საუბრებს ხელოვნებაზე - მუსიკასა და მხატვრობაზე.

ვან გოგისადმი გამოვლენილი პატივისცემა, ინტერესი და სიყვარული წერილებში ფართო სპექტრით იხატება. ვან გოგისადმი ინტერესს უამრავი წერილი ეთმოვა კრებულიდან. თუმცა , ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მსოფლიო მხატვრებიდან მხოლოდ ვან გოგს აღაირებდეს და სხვა დანარჩენს არ სწყალობდეს: „*ხელოვნება არა მარტო ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს, არამედ აქტიურ ზეგავლენას ახდენს ჩვენი გემოვნების ჩამოყალიბებაზე: გრძელსახიან მანდილოსნებს ლამაზთა კატეგორიას არ ვაკუთვნიებდი ვიდრე ელ გრიეკოსა და მოდილიანის პორტრეტებს არ შევეჩვიე.*” [ვ.ჯავახიძე 2011:9].

ვფიქრობ, ვან გოგისადმი მიძღვნილი წერილებიდან გამოირჩეული, ყველაზე ღირებული და უდაოდ შთამბეჭდავია „*ვან გოგის რეკორდი*”. ამ წერილში მკაფიოდ ვლინდება ვახტანგ ჯავახიძის ძალიან დიდი დაინტერესება ვან გოგის შემოქმედებით. შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგ ჯავახიძემ დათვალა ვან გოგის ცხოვრების საშუალო

პერიოდი, რა დროის მანძილზეც ხატავდა მხატვარი. ეს წერილი წიგნის ერთ გვერდს შეადგენს და თითქმის ყველა ხაზი ფიცრს შეიცავს, ანუ თითქმის ყველა ხაზზე წერია ან წელიწადის ან ნახატის რაოდენობა: „ 1882-1886 წლებში დახატა 338 ტილო, 1887-1890 წლებში კი -541. მაშასადამე, ოთხ წელიწადში - 541, ესე იგი, წელიწადში - 137, ანუ თვეში 11-ზე მეტი, ყოველ 3 დღეში თითო ტილო. ”[ვ.ჯავახაძე 2011:50].

ვახტანგ ჯავახაძე ვან გოგის არა მხოლოდ შემოქმედებით იყო დაინტერესებული, არამედ პიროვნული თავისებურებებითა და პირადი ცხოვრებით. ცნობილია, რომ ვინსენტ ვან გოგი საკმაოდ უცნაური პიროვნება იყო. ვახტანგ ჯავახაძის მიერ მოთხრობილი ისტორია ამის ნათელი მაგალითია. წერილში „სიყვარულო, ძალსა შენსა“, ვახტანგ ჯავახაძე ვან გოგის სასიყვარულო ისტორიაზე საუბრობს. ვან გოგის საკუთარი ბიძაშვილი მოსწონებია. თურმე, ამის გამო ნათესავის ოჯახში სიარულს მოუხშირა. შეამჩნიეს და, ერთხელაც რომ მივიდა, დაუმალეს, სახლში არ არისო.(ვ.ჯავახაძე 2011): „საღამო იყო და მაგიდაზე ანთებული ლამპა იდგა. ვინსენტმა ხელი ლამპისკენ გაიშვირა და მშობლებს სთხოვა: აი, ხელს ლამპის შუშას დავაფარებ და რამდენხანსაც გავუძელებ, იმდენხანს მაინც მანახეთ და მაყურებინეთო. შეშინებულმა მასპინღებმა ლამპა მშორებით გადადგეს.” [ვ.ჯავახაძე 2011:51]

ვახტანგ ჯავახაძისათვის ვინსენტ ვან გოგი სრულყოფილი, იდეალური მხატვარია: „რატომღაც მგონია, რომ საფრანგეთში ბაფრანა არ ხარობს. წარმოუდგენელია, ბაფრანა ვან გოგს არ შეემჩნია.” [ვ.ჯავახაძე 2011:51] ვახტანგ ჯავახაძე თავის ესეებში, რომლებიც, ვან გოგს ეძღვნება, მრავალფეროვან თემატიკას შლის. „ვან გოგის რეკორდი“, „სიყვარულო ძალსა შენსა“, „ბაფრანა“, და „ცარიელი სკამი, ცარიელი სავარძელი” - ეს მცირედი ჩამონათვალია იმ ესეებისა, რომლებიც ვ.ჯავახაძემ ვან გოგს მიუძღვნა. თუმცა, საზღვარგარეთული ხელოვნებითა და კულტურით გატაცებულ ვახტანგ ჯავახაძეს სულაც არ დავინწყებია ქართული სული და , მიუხედავად იმისა, რომ იგი სხვა ქვეყნების ხელოვნებას ეტრფის, გაღმერთებით მაინც ქართულს აღმეთებს, სიტყვის დეფინიციისა და ხელოვნების მნიშვნელობის აღქმის გადმოსაცემად ისევ ქართულს უბრუნდება მცირე ზომის ესეში „რა არის ხელოვნება?": „წარმოიდგინეთ: არსუკიძის სვეტიცხოველი,სვეტიცხოვლის დიდ დარბაზში - ფიროსმანის „ირემი.” შორიდან ისმის

ფალიაშვილის „დაისის“ უვენტიურა. ღირიურობს ევგენი მიქელაძე. უშანგი ჩხეიძე კითხულობს ავთანდილის ანდერძს „ვეფხისტყაოსნიდან.“ ეჭვიანობს და ეჭვიანობს და ეჭვიანობს ოტელიო -ჭაბუკიანი და ვანო სარაჯიშვილი მღერის „თავო ჩემოს“... აი, ეს არის ხელოვნება, ქართული ხელოვნება !”

„ჩვენს შორის დარჩეს“, - ხშირად უთქვამს ჩემთვის ანა კალანდაძეს ისეთ რამეზე , რაც არავითარი აუცილებელი არ იყო, ჩვენს შორის დარჩენილიყო.” [ვ.ჯავახიძე 2011:19] - წიგნში „ლექსიდან - ლექსამდე - ჩანაწერები“ ვახტანგ ჯავახიძის უამრავი მოგონება ცნობილ ქართველ ქალ პოეტზე, ანა კალანდაძეზეა. როგორც ცნობილია, ანა კალანდაძე ვ.ჯავახიძის ახლო მეგობარი იყო. ჩანაწერებიდან ჩანს, რომ მეგობრები ხშირად იკრიბებოდნენ და საუბრობდნენ ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, ერთმანეთს გამოსადეგარ რჩევებს აძლევდნენ. იმას, რომ მათ ახლო მეგობრობა აკავშირებდათ, ვახტანგ ჯავახიძის ერთ-ერთი წერილის სათაურიც მოწმობს - „ანას დავურეკე”.

ანაზე მოსაუბრე წერილებიდან გამოირჩევა „ერთი მძიმე და ორი წერტილი”. ამ წერილში კარად ჩანს პოეტების კოლეგიალურობაზე დაფუძნებული მეგობრობა. როგორც ვიცით, ანა კალანდაძის პოეზიაში სამი წერტილის სიმრავლე შეინიშნება.

„მე ვადმოვკიდე
ჩემი ალაში. . .
მავრამ. . . საითღა,
საით დავიდგამს შენი კარავი?
ისევ მზაკვრულად
ბრწყინავს მუშთარი
და ალუ კამარი. . .
კვლავ განშორებას
თუ გვაუნყებენ
მიღმურს იქიდან?
მე ვადმოვკიდე
ზავის ალაში
ჩემი ციხიდან.”

„აღბათ, რომელიმე ლინგვისტი დაწერს ოდესმე - მრავალწერტილი ანას პოეზიაში” [ვ.ჯავახაძე 2011:17], ხოლო ანა კალანდაძის ბოლოდროინდელ ლექსებში გამოყენებულია პუნქტუაციის ორიგინალური სახე: სამი წერტილის ნაცვლად - ერთი მძიმე და ორი წერტილი. „*მე გავასწორებინე სამ წერტილად. არ ვიცი რამდენად სწორად მოვიქცევი*”. [ვ.ჯავახაძე 2011:17] წერილში „ხომ არაფერი შემეშალა” ვახტანგ ჯავახაძე ანა კალანდაძის მიერ „ლიტერატურულ საქართველოს” ფურცლებიდან სამოცი წლის იუბილეს მოსალოც სიტყვას იხსენებს. „*- იგი ჩემთვის ერთი იმათგანია, ვისაც ხშირად ვურეკავ, ვეკითხები, ვეთათბირები და რომლის რჩევასაც უყოყმანოდ ვიღებ და ვიზიარებ*”. ყოფილა პირიქითაც, როცა 1996 წლის 30 ივნისს, ვახტანგ ჯავახაძემ ანა კალანდაძეს მისი პირველი ტომის სასიგნალო ეგზემპლარი მიუტანა, სიურპრიზი გაუკეთა. მეორე ტომის ანაბეჭდებიც გადაუთვალისწინებიათ, შუეტანიან მცირე შესწორებები. აქა-იქ ანას რამდენიმე სტრიქონი ამოუღია. „*ანამ მითხრა: კიდევ მინდა ამოვიღო სამი სტრიქონი, მაგრამ არ მინდა შენ განახვო. ვუთხარი: მიუთითე, მე არ ჩავხედავ, ტექნიკური დირექტორი რომ გადაათვალისწინებს, ცარიელ ადგილებს შეავსებს-მეთქი. რა თქმა უნდა, აღარ მინახავს ამოღებული სტრიქონები. აღბათ ეს ის სტრიქონებია, რომელთა ამოღებასაც ადრე აპირებდა და მე არ დავეთანხმე*.” [ვ.ჯავახაძე 2011:22].

ვახტანგ ჯავახაძეს ანა კალანდაძეზე, როგორც პოეტსა და შემოქმედზე, დანერგული აქვს ერთი საინტერესო ესეც: „*მე ლამაზი მეგობარი მყავდა*”. ესეში გამოკვეთილია ანა კალანდაძის პოეტური სახე, მისი მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. აღნიშნულია, რომ ანა კალანდაძე, სწორედ მაშინ გამოვიდა ლიტერატურულ სარბიელზე, როცა საქართველოში ჯერ კიდევ პოეტთა მეფე დააბიჯებდა, თუმცა მიუხედავად ამისა, ვახტანგ ჯავახაძის აზრით, ანა კალანდაძემ თავისი პოეტური ოსტატობით და აუხსნელი ნიჭით მაინც მოახერხა საკუთარი თავის დამკვირება. წერილში ანა კალანდაძის ქართული ლირიკის პოლიფონიაში გამოჩენაა მოთხრობილი და გზა, რომელიც მან განვლო ბოლო დრომდე. საყურადღებოა ისიც, რომ წერილში ვახტანგ ჯავახაძის მიერ ხაზგასმულია სიმონ ჩიქოვანისა და მურმან ლებანიძის დამსახურება ანა კალანდაძის ლექსების გასაჯაროებაში.

წერილი, გარდა ანა კალანდაძის შემოქმედებითი ალლოს მიმოხილვისა, მოიცავს სიღრმისეულ განსაზღვრებებს, პოეტური ოსტატობის ნიუანსებს, რომელიც ახასიათებდა ანა კალანდაძეს და რომლის დამსახურებითაც იგი დღემდე არ კარგავს აქტუალობას. (ვ.ჯავახაძე 2011). „ანა კალანდაძემ იცის, რომ მკითხველს თავი უნდა მოანატრო, ლექსი და წიგნი უნდა მოანატრო“ [ვ.ჯავახაძე 2011:139].

კრებულიდან ერთ-ერთი წერილი თამაზ ბიბილურის გახსენებაა. ვახტანგ ჯავახაძე თამაზ ბიბლურს, როგორც განსხვავებულ მეგობარს, ისე იხსენებს. იგი მოკრძალებული ადამიანი ყოფილა, რომელმაც საკუთარი თავი გვიან გამოამჟღავნა, თუმცა მკითხველის წინაშე, როგორც დასრულებული ოსტატი, ისე წარსდგა. (ვ.ჯავახაძე 2011). „ჩვენი ქუჩები ერთმანეთს ერთვიან და სამოქალაქო ომის მძიმე დღეებში და საათებში, ჩვენ, მუქ ლურჯ ტელეგრეიკებში გამოწყობილები, ყაზბეგისა და საბურთალოს ქუჩების გზავსაყართან, უკვე მომრავლებულ რიგებშიც, ხშირად ვუზიარებდით ერთმანეთს იმ მოულოდნელ გულისტკივილს, რომელიც ჩვენდა გასაოცრად თავდატეხილმა დამოუკიდებლობამ გვარგუნა“ [ვ.ჯავახაძე 2011:130-131]

ერთ-ერთი წერილი ვახტანგ ჯავახაძისა, მის სიყრმის მეგობარს, გივი გეგეჭკორს ეძღვნება. ეს წერილი ძალზედ ინფორმაციულია და აკონკრეტებს ვახტანგ ჯავახაძისა და გივი გეგეჭკორის ახლო მეგობრობის ისტორიის დეტალებს. მათ ერთმანეთი პიონერთა სასახლეში გაიცნეს. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ, გაცნობისთანავე დაახოებულებმა, მაინც გააბეს უწყვეტი და ახლო მეგობრობა. ორივენი აქტიურად ჩაერთნენ სამწერლობო-საგამომცემლო საქმეში და თავიან ნაშრომებს აქვეყნებდნენ იმდროინდელ პრესაში. ვახტანგ ჯავახაძის გადმოცემით, გივი გეგეჭკორს საკმაოდ ტრაგიკული ცხოვრება ჰქონია. თურმე, მუდამ გულისტკივილით დადიოდა, გარეგნულად კი სიღინჯეს გადმოსცემდა. ხაზგასმულია გივი გეგეჭკორის ადამიანური ღირებულებები, კეთილშობილება და პატიოსნება, რომელსაც ყველაზე მეტად აფასებს ვ.ჯავახაძე. შეუვალი და მკაცრი მხოლოდ მაშინ ყოფილა, როცა საქმე საკუთარ შემოქმედებას შეეხებოდა. ყველაზე მეტს საკუთარ თავს სთხოვდა. სხვის პოეზიაშიც კი იშვიათად მოინონებდა რამეს. ვახტანგ ჯავახაძემ გივი გეგეჭკორის პოეზიას „მაღალი ინტელექტით აღბეჭდილი“ [ვ.ჯავახაძე 2011:131] უწოდა.

„მე ახლა გივის ერთი ლექსის სათაური მახსენდება - „გარდაცვლილთან მეგობრობა იოლია“. ჩემთვის იოლი ბედნიერება ცოცხალ გივი გვეგვეჯკორთან მეგობრობა იყო. ტკივილი გარდაცვლილ გივი გვეგვეჯკორთან მეგობრობა იქნება”. [ვ.ჯავახაძე 2011:131].

თამამი სიტყვით მიმართა საზოგადოებას ვახტანგ ჯავახაძემ ესეთი „დაგვიანებული რეპლიკა“, რომელშიც გამოხატულია საზოგადოების უარყოფითი ემოციების კრიტიკა მურმან ლებანიძის ლექსზედ „ვით დედა-მტკვარი“. ესეში ვახტანგ ჯავახაძე მურმან ლებანიძეს წარმოაჩენს, როგორც თამამ და ქვეყნის სიყვარულით გულანთებულ პოეტს, რომლის პოეზიის ღირსებები ხალხმა უკვე დიდი ხანია მიიღო და წესით, უკვე კარგადაც უნდა იცნობდეს ქართველი საზოგადოება მას. *„მოგესხნებათ: პოეზია მათემატიკა არ გახლავთ, სადაც ორჯერ ორი ყოველთვის ოთხია. მხატვრული ტექსტი არაერთგვაროვნად იკითხება და ხშირად სრულიად სანინალმდეგო დასკვნებამდე მიყვავრთ”* [ვ.ჯავახაძე 2011:136]. ვახტანგ ჯავახაძეს არაერთი წერილი აქვს მიძღვნილი მურმან ლებანიძისადმი, მათ შორის, მისი გარდაცვალების გამო მწუხარების გამოხატველი, „საქართველომ იცის“.

ყურადღებას იქცევს წერილი „ჩემი ბარათაშვილი“, სადაც ავტორი საკუთარ შთაბეჭდილებებსა და განცდებს გამოხატავს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ბარათაშვილის პორტრეტი არ არსებობს და რადგანაც ყველას თავისებურად წარმოუდგენია იგი, ყველას თავისი ბარათაშვილი ჰყავს. (ვ.ჯავახაძე 2011). *„მეც მაყვს ჩემი ბარათაშვილი”*[ვ.ჯავახაძე 2011:140] *„ამ მაღალი პოეზიის სრული შეცნობისათვის საკმაოდ მომზადებული გემოვნებაა საჭირო და აუცილებელი”*[ვ.ჯავახაძე 2011:141]

ამ წიგნის კითხვის დროს ჩემი ყურადღება მიიქცია ერთ-ერთმა წერილმა, ალბათ იმიტომ, რომ მსგავსი ისტორიების მკითხველისთვის გაზიარება სწორ და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად მიმაჩინა. ესაა წერილი „ჩემი ქართულის მასწავლებელი“, რომელშიც ვახტანგ ჯავახაძე გვიყვება თავისი ქართულის მასწავლებლის, ვანო ვარლამიშვილის შესახებ. პოეტზე უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია პედაგოგს. ის მისთვის მოტივაციაც კი ყოფილა. მისი რჩევები გზას უკვალავდა ვ.ჯავახაძეს, როგორც ბავშვობაში, ისე მას

შემდეგ. (ვ.ჯავახაძე 2011). სახობო, პატივისცემის და მაღლიერების გრძნობით დახუნძლულ წერილში, ვ.ჯავახაძე ბოლოს აჯამებს მთავარ სათქმელს: „ყოველი ადამიანის ცხოვრებაში, ოჯახის წევრებისა და ნათესავ-მეგობრების გვერდით, არსებობენ დაუვინყარი ადამიანები, რომლებიც მისი ბიოგრაფიის განუყრელ ნაწილს შეადგენენ. ასეთი პიროვნებაა ჩემთვის ბატონი ვანო”. [ვ.ჯავახაძე 2011:152]

გოგლა ლეონიძის მოგონებების მთელი ციკლი გვხვდება წიგნში. „რამდენიმე სურათი ანუ ეპოზოდი”. ამ სათაურის ქვეშ ვკითხულობთ რამდენიმე ისტორიას, რომელიც ასხავს გოგლა ლეონიძისა და ვახტანგ ჯავახაძის დამეგობრების ამბავს. ვახტანგ ჯავახაძე გოგლა ლეონიძის წიგნის რედაქტორი იყო, აქედან გამომდინარე მათ მჭიდრო ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ. წერილებიდან იგრძნობა გოგლა ლეონიძის დიდი პატივისცემა ვახტანგ ჯავახაძისადმი: „1963წლის 3 იანვარს პირველი ტომის ფორმაცზე ჩამინერა: -ჩემს რედაქტორ-მომავეს, ვახტანგ ჯავახაძეს, - პოეტს და პატარა ძმას, ვ. ლ ე ო ნ ი ძ ე”. [ვ.ჯავახაძე 2011:161]

აღბათ, სულაც არაა გასაკვირი, რომ წიგნში გალაკტიონ ტაბიძეზე დაწერილი წერილებს ბლომად ვხვდებით. აქ არ არის მხოლოდ საქებარი სიტყვები და წინადადებები გალაკტიონ ტაბიძისადმი. ავტორი გალაკტიონზე, მის ლექსებზე და პოეტის თვითმკვლელობის ადგილთან დაკავშირებით ბევრ საინტერესო ინფორმაციას გვანვდის. ეს არის ვრცელი დოკუმენტური მასალა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს გალაკტიონოლოგიის შემსწავლელთათვის.

წიგნში ქვეთავივით გამოიყოფა გალაკტიონის ციკლის წერილები, ზოგი შედარებით მცირე ზომისა, ზოგიც კიდევ ორ-სამ გვერდს აღწევს. „სიკვდილისათვის აჩქარებული”, „დაულეველი სადღეგრძელო”, „ასე შემდეგ და ასე შემდეგ”, „არგონავტების მოლოდინში”, „წავიდა თავის გალაკტიონთან”, „გალაკტიონის ფიჭვი”, „შეცდომა თუ დანაშაული”, „სიტყვა, წარმოთქმული გალაკტიონ ტაბიძის ობელისკის გახსნისას 2010 წლის 17 მარტს”, „თამაში”, „ნეტავ მალე დაამსხვრევდნ ბორკილს”, „ერთი ლექსის ორი თარიღი”, „გიჟის ხალათი გერჩიოს”, „სულ რამდენიმე ნაბიჯი და...”, „გალაკტიონის ირონიები”, „დიქტატორი”, „თითქოს ჩემი ტექსტი წაეკითხოს”, „უცნობები”, „ფერვალი”, „ღვინოშია ჭემმარიტება”, „ცოცხალი ვარ, ცოცხალი”, „ძირს გაუბედაობა!”, „მხოლოდ

იმიტომ „რომ მაღალია“, „ნუთუ?“, „პრემია“, „თითქოს გალაკტიონი მესაუბრებოდა“, „არტისტული ყვავილების ინტეგრალები“ და სხვ. ამ წერილებიდან ზოგი უშუალოდ გალაკტიონ ტაბიძეს ეხება.

წერილში „შეცდომა თუ დანაშაული“ ვახტანგ ჯავახიძე იმ საავადმყოფოს იხსენებს, რომლის ფანჯრიდანაც გალაკტიონ ტაბიძე 1959 წლის 17 მარტს გადმოხტა და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. 2010 წლის 17 მარტს, ვახტანგ ჯავახიძის დიდი ძალისხმევითა და თბილისის მერიის დახმარებით, საავადმყოფოს ეზოში გალაკტიონის ობელისკი გაიხსნა. ავტორი წერილებში დაწვრილებით ყვება ობელისკის გახსნის წინააღმდეგობებთან და, საბოლოოდ, მის გახსნასთან დაკავშირებულ ისტორიებს. *„ნიშნდობლივია ის ფაქტიც, რომ გალაკტიონის ობელისკი დგას ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე. ეს ობელისკი წინამურის გამოცხილია. ეს ორი ობელისკი გახლავს მკაცრი გაფრთხილება, რომელიც ყოველთვის უნდა ახსოვდეს და არასოდეს არ უნდა დაავიწყდეს ქართველ ხალხს“.* [ვ.ჯავახიძე 2011:171].

საყურადღებოა ესე „ვარიაციები და ვარაუდები გალაკტიონის ტექსტებისათვის“, სადაც ვახტანგ ჯავახიძე გალაკტიონ ტაბიძის ზოგიერი ლექსის დეტალებზე საუბრობს. საიდუმლო არ არის, რომ გალაკტიონ ტაბიძის ზოგიერთი ლექსი რამდენიმე ვარიაციითაა დაბეჭდილი. ამის განმაპირობებელი, ვიცით, რომ რამდენიმე მიზეზია. ერთ-ერთ მიზეზად კი ვახტანგ ჯავახიძე თავად გალაკტიონ ტაბიძის ხელნაწერის სირთულეს ასახელებს, რომელიც გადამწერებს უხერხულ სიტუაციაში აყენებს, აბნევს და აიძულებს იყვნენ სუბიექტურები ზოგიერ ფრაზასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ცნობილი ლექსი გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებიდან არის „უკანასკნელი მატარებელი“, რომელიც მეუღლეს, ოლია ოკუჯავას 1937 წელს მიუძღვნა, როცა იგი შორეულ ციმბირში სამუდამო გადასახლებით გადაასახლეს. *„შავი ხელნაწერი იმდენად ნასწორები და დაუხვეწავია, რომ მრავალნაირი ამოკითხვისა და ინტერპრეტაციის საშუალებსა და უფლებას იძლევა“.* [ვ.ჯავახიძე 2011:216]

ვ.ჯავახიძის ვარიანტით ამ ლექსის ერთი სტროფი ასეთია:

„ცხოვრების ეტლის სადარებელი,

საცაა გავა მატარებელი,

მიემგზავრება დიდი იმედი -
სიცოცხლის ჩემის გამდარებელი”

[ვ.ჯავახაძე 2011:217]

„გალაკტიონს ექვსტროფიანი ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მეექვსე იმდენად არასრული ჩანს, რომე ერცერთი ვერ მიუახლოვდა. არადა, დაუხვეწავი პუბლიკაცია დაუსრულებელიცაა. შეგვიძლია პირველ ტაეჟს ერთადერთი სარიტმო სიტყვა დავესესხოთ და „დავასრულოთ“:

ასე წავიდა [სადარებელი]
უკანასკნელი მატარებელი,
აქ კი ობოლი დარჩა პოეტი -
გულში წამების მატარებელი”

[ვ.ჯავახაძე 2011:217]

წიგნი „ლექსიდან-ლექსამდე ” სრულდება წერილით „თენგიზ აბულაძის უცნობი”. წერილში საუბარია ცნობილი ქართველი რეჟისორის, თენგიზ აბულაძისა და ვ.ჯავახაძის საქმიანი ურთოერთობები „უცნობთან” დაკავშირებით.

თენგიზ აბულაძეს მოუწადინებია გალაკტიონ ტაბიძეზე ფილმის გადაღება და ამისთვის ვახტანგ ჯავახაძის „უცნობი” შეურჩევია. როგორც წერილიდან ირკვევა, თენგიზ აბულაძე აღფრთოვანებული ყოფილა ვახტანგ ჯავახაძის მწერლური ოსტატობით. „ეს წიგნი გალაკტიონის დანერგული უფროა-მეთქი , - გულწრფელი მოკრძალებით დავირცხვინე. - არა! ამ წიგნს თქვენს მეთი ვერავინ დანერდაო. -არ დამეთანხმა ჩემი სტუმარი” [ვ.ჯავახაძე 2011:257]. პირველი საუბრის შემდეგ ვახტანგ ჯავახაძემ თენგიზ აბულაძეს „უცნობი” აჩუქა. 1992 წლის 30 მაისს თენგიზ აბულაძე ვახტანგ ჯავახაძეს ისევ ეწვია გამომცემლობაში. ბევრი ისაუბრეს. თენგიზს ძალიან მოსწონდა სათაური. ფილმისთვისაც სწორედ „უცნობის” დარქმევა უნდოდა. „1994 წლის 1 იანვარს დამირეკა და ახალი წელი მომილოცა: დღედაღამ გალაკტიონზე ვფიქრობ და მალე უნდა შევუდგეთ საქმესო. სამწუხაროდ, ორი თვის შემდეგ თენგიზ აბულაძე გარდაიცვალა” [ვ.ჯავახაძე 2011:257]

ვახტანგ ჯავახიძის მიერ გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითა და ცხოვრებით მხოლოდ თენგიზ აბულაძე არ დაინტერესებულა. ზაზა ხალვაში და რეზო ესაძეც გეგმავდა ფილმების გადაღებას გალაკტიონ ტაბიძეზე ვახტანგ ჯავახიძის წიგნებისა და სცენარის მიხედვით, თუმცა „*ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს*“ [ვ.ჯავახიძე 2011:258] შესაძლოა პოეტი ახლაც ელოდება შედეგს, რომელიც, ჩემი აზრით, აუცილებელიც კია.

§2.2. უცნობის უანრული ფორმატი

როგორც პირველ თავში აღვნიშნე, ვახტანგ ჯავახაძის „უცნობი“ ექვსჯერ გამოიცა. „აპოლოგია გალაკტიონ ტაბიძის“ პირველად 1988 წელს დაიბეჭდა და გამოცემისთანავე გახდა ბესტსელერი. ფაქტობრივი წიგნისა და იმის გათვალისწინებით, რომ „ამ რომანს მურმან ლებანიძემ „მოულოდნელი წიგნი“ ხოლო ტარიელ ჭანტურიამ - „უცნაური რომანი“ უწოდეს“ [ვ.ჯავახაძე 2012:463], საქმე გვაქვს არაორდინალურ ლიტერატურულ ნიმუშთან. 1996 წელს გამოცემულ „უცნობს“ არ დაერთვის არც ერთი ნახატი, იგი ილუსტრაციების გარეშე არის წარმოდგენილი, მხოლოდ ტექსტი. მეხუთე ვარიანტი გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერაა დაბეჭდილი 2013 წელს. ეს ვარიანტი ყველაზე დიდტანიანი წიგნია, მას დართული აქვს გალაკტიონ ტაბიძის 200-მდე ნახატი.

„უცნობის“ პირველ გამოცემა გამოირჩევა ყდის ორიგინალურობით. გარეკანი შავ და ლურჯ ფერებში არის გადანყვეტილი და წიგნის სათაური და ავტორი ჩასმულია გალაკტიონ ტაბიძის ხელწერის ფონზე. გალაკტიონის ეს ხელწერა ბუნდოვნად იკითხება, თუმცა, როგორც იკვეთება, არის პირადი დღიურიდან. გარეკანის უკან მკაფიოდ ჩანს დღიურის ერთი დღის ჩანაწერის დათარიღება - 10 იანვარი. ძირითად ნაწილამდე წარმოდგენილია საინფორმაციო ტექსტი, რომ ეს წიგნი გალაკტიონ ტაბიძის სიცოცხლეში მომზადებული უკანასკნელი რჩეულის შემდგენელ-რედაქტორმა დაწერა. აქ გალაკტიონი წარმოდგენილია, როგორც ავტორი, პიროვნება, შემოქმედი. ასაჯაროებს პოეტის სიცოცხლის ბოლო წლების საინტერესო ეპიზოდებს, დღიურებსა და ჩანაწერებს. წიგნის დაწერისათვის გამოყენებულია მდიდარი საარქივო და დოკუმენტური მასალა, აგრევე, ვახტანგ ჯავახაძე ამ წიგნისათვის იყენებს სხვადასხვა პირთა გამოქვეყნებულ თუ გამოუქვეყნებელ მოგონებებს, ზეპირ გადმოცემებს, პირად შთაბეჭდილებებს. როგორც აღინიშნა, წიგნს ერთვის საილუსტრაციო მასალა, მკითხველისათვის მანამდე უცნობი ნახატები გალაკტიონისა, თავისებურად ავსებს და ამდიდრებს პოეტური ცხოვრების ლირიკულ ქრონიკას, რომელის მხატვრული გაფორმებისათვისაც გალაკტიონის გრაფიკა და კალიგრაფია გამოიყენეს. (ვ.ჯავახაძე 1988)

პირველ გამოცემაში ეპიზოდები დასათაურებული არ არის, მხოლოდ მონიშნულია. 1996 წლის „უცნობის“ გამოცემაში კი ვახტანგ ჯავახიძე უკვე სათაურებს გვთავაზობს. შესავლის სახით მოცემული ორგვერდიანი ჩანაწერი იწყება ფრაზით : „*მე ვიცნობდი გალაკტიონ ტაბიძეს...*” [ვ.ჯავახიძე 1988:5] ძირითადად ტექსტში გამოცემიდან გამოცემამდე არსებითი ცვლილებები არ შეინიშნება, თუმცა, ზოგ ადგილად , მეხუთე გამოცემაში, ავტორის მიერ ჩამატებულია ფრაზები. მაგალითად: პირველ გამოცემაში პირველი ეპიზოდი სრულდება შემდეგნაირად: „*ერთ მშვენიერ დღეს კი ამ ტაძარში აღმოვჩნდი და ეკლესიაში პირველად შესული ბიჭვით დავიბედი. როდესაც დავმშვიდდი და თვალი კედლებსა და თალებს შევაჩვიე, გავოცდი: კვლავ ტაძრის წინ ვიდექი, ტაძარში ტაძარი დამხვდა. და ეს ტაძარი მეტი იდუმალებით იყო მოცული, რადგან არც კარი გააჩნდა, არც სარკმელი და შიგ ფეხი არავის დაედგა...*” [ვ.ჯავახიძე 1988:7], ხოლო მეხუთე გამოცემაში ამ დასასრულს ემატება შემდეგი ტექსტი: „ - *მე აღვაგე ტაძარი, ტაძარი ჩემის ტანჯვა-წამების, რომელშიც შესვლა არ შეუძლია, ჩემს ვარდა, არავის.*” [ვ.ჯავახიძე 2013:7]. მსგავსი ცვლილებები აქა-იქ გვხვდება. ალბათ, ამ მეთოდს ავტორი ვერსიების დახვეწის და განვითარების მიზნით მიმართავს, რის საშუალებასაც გალაკტიონის დიდი არქივი აძლევს, თუმცა ეს ყველაფერი ისეთი სიფრთხილით არის გაკეთებული, წიგნს სტილის ერთიან აღქმადობაში მკითხველს სულაც არ უშლის ხელს. ვახტანგ ჯავახიძის მიერ „უცნობის“ ბოლო გამოცემაში წამოდგენილი ცვლილებები ტექსტთან ორგანულია და არ არის გამაღიზიანებელი, ტექსტს არ ეკარგება პირველადი სახე.

„უცნობი“ ქართველ პოეტთა მეფედ წოდებულ გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე დანერვილი წიგნია და მას არ აქვს ანალოგი. იგი ერთადერთი წიგნია, სადაც გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სახელოსნო გამდის სააშკარაოზე. წიგნში მოთხრობილია გალაკტიონის იდეაზე, გამოცემა ლექსებისა და პოემების სრული კრებული ერთ წიგნად. წიგნი მოთხრობაა იმისა, თუ როგორ ათანხმებდნენ ვახტანგ ჯავახიძე, გალაკტიონ ტაბიძის რჩეულის რედაქტორი და თავად ავტორი, გალაკტიონ ტაბიძე წიგნის დეტალებს. თუმცა ეს უფრო თამამი ნათქვამია, რადგან გალაკტიონი საერთოდ არ ინტერესდებოდა, თუ რას გადაწყვეტდა რედაქტორი. იგი მეტად ჩქარობდა კრებულის

გამოცემისათვის. აჩქარებდა რედაქტორსაც: „სულმოუთქმელად გველოდება გალაკტიონი, წიგნიც ეჩქარება და ჰონორარიც” [ვ.ჯავახიძე 2013:23].

წიგნში ხაზგასმულია გალაკტიონ ტაბიძის სოციალურ-ეკონომიკური სიღუბეცხირე. აქ ვხვდებით უნიკალურ მასალას. ეს თავი, „შიშხილის დღიურები” არის კრებული განცხადებებისა, რომელსაც გალაკტიონ ტაბიძე მუდამ ინახავდა ასლების სახით. აქაა ვახტანგ ჯავახიძის მიერ თავმოყრილი და წარმოდგენილი გალაკტიონ ტაბიძის 50-ზე მეტი განცხადება და სხვა საინტერესო რეპლიკები სოციალური ფონის გამო: „ვინაიდან არა მაქვს შესაძლებლობა სხვაგან შევიძინო ჩემთვის საჭირო ტანსაცმელი, გთხოვთ, გასცეთ განკარგულება და მომცენ: პალტო, კოსტიუმი და ფეხსაცმელები” [ვ.ჯავახიძე 2013:242]; „ვინაიდან დედა ძლიერ ავადა მყავს და მატერიალურ გაჭირვებას განვიცდი, გთხოვთ, ნება დამართოთ ავილო ნოემბრის თვის პენსია” [ვ.ჯავახიძე 2013:242]; „ვინაიდან მეტად ცუდ მატერიალურ მდგომარეობაში ვარ, არა მაქვს ტანისამოსი, არც ფეხსაცმელები, გთხოვთ, გამომიყვანოთ ამ მდგომარეობიდან: მე მაქვს ხუთი თუმნის (50 მ.) ობლიგაციები. გთხოვთ, ნებართვას მისი გადახურდავებისა” [ვ.ჯავახიძე 2013:243] ; „სეკავშირს. გთხოვთ, შეიძინოთ ჩემი წიგნი „პაციფიზმი”, 900 ცალი. ვინაიდან ფული ძლიერ მესაჭიროება, წიგნს მე დავითმობთ იაფ ფასად. წიგნი ღირს 60კ. - მე დავითმობთ 35-30 კაპიკად” [ვ.ჯავახიძე 2013:245]; „1942 წლის 1 სექტემბრის დღიურს ასე იწყებს: - გუშინწინ რადიოთი გადმოცემული იქნა ჩემი სამი ლექსი: 1. „კავკასიის ჯარს”, 2. „ელგუჯას დაბრუნება”, 3. კვლავინდებურად”. ამ ლექსებით გასტუმრებულია დავალიანება რადიოში - და კიდევ დამრჩა რალაც”. [ვ.ჯავახიძე 2013:247] „თხოვნა და პირობა ლექსადაც აუნყვია:

„ვიცნობთ ჩვენ ერთმანეთს

ცარიელი მჭადით,

გთხოვთ ორი თვის ვადით

ათი ათას მანეთს.

გაძლევთ (უნდა ითქვას)

პატიოსან სიტყვას,

რომ მაისის დამლევს

ვიხდნი დანავალევს”

აქ არ არის მხოლოდ განცხადებები. ვხვდებით გზავნილებს ვალების შესახებ, რომლებიც ეკისრება გალაკტიონ ტაბიძეს: „*თქვენ არ გაქვთ სანევრო გამოსაღები 1940 წლისა. გევალებათ ა.წ. 20 ნოემბრამდე შემოიტანოთ ლიტფონდის სალაროში 25 მანეთი სანევრო. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგეხსნებათ ყოველივე დახმარება, როგორც ლიტფონდის ნევრობიდან მექანიკურად გამორიცხულს*“ [ვ.ჯავახაძე 2013:251] „*თქვენზე ირიცხება ვალი 279.37 კაპ. - საგურამოს სახლში მიღებული საგზურის ვადაზე გვეით 5 დღით დარჩენისა მეუღლით. გევალებათ დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს 14 დეკემბრისა, შემოიტანოთ ლიტფონდის სალაროში აღნიშნული თანხა*“. [ვ.ჯავახაძე 2013:251]

წიგნს ლაიტმოტივად გასდევს გალაკტიონ ტაბიძის რჩეული კრებულის გამოცემასთან დაკავშირებული სამუშაოები. როგორც ტექსტიდან ვიგებთ, გალაკტიონ ტაბიძე წიგნის გამოცემას იმდენად ჩქარობდა, თითქმის არ ინტერესდებოდა დეტალებით, რომელი ლექსები შევიდოდა კრებულში და რომელი არა. მას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა, გამოსულიყო მისი რჩეული ლექსებისა და პოემების ერთი დიდი კრებული და ამ ერთ წიგნში შესულიყო, ჩატეულიყო მანამდე გამოსული მრავალი ტომის ღირებული ნაწარმოებები. ვახტანგ ჯავახაძისათვის, როგორც რედაქტორისთვის, საკმაოდ რთული საქმე აღმოჩნდა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება. იგი ცდილობდა ყველა დეტალი შეეთანხმებინა გ.ტაბიძესთან, თუმცა იგი არ ინტერესდებოდა დეტალებით. უბრალოდ წიგნის გამოცემას ჩქარობდა. „*ვნერვიულობდი, მოეწონება, არ მოეწონება, როგორ იქნება, ჩამწორილი მეონდა შეკითხვები თარიღებთან დაკავშირებით, ზოგიერთ ტექსტთან. ეს დიდი წიგნია და დიდი წიგნი რომ კარგი აღსაქმელი იყოს, მოდი თემატურად დავალგოთ, ქორონოლოგიურად და რამდენიმე განწყობილებას ვავაკეთოთ - მეთქი. კარგიაო მითხრა. თქვენი სტრიქონები დავარქვათ-მეთქი წიგნს. პირველ განყოფილებას დავარქვათ „ელოდნენ რევოლუციას“-მეთქი. ეს რომ ვთხარო, ადგა, ჩამოამრთვა ხელი, მომილცავს ძამიკოო და დაჯდა. მეორეზე ვუთხარო „ახალი ქვეყანა შენდება“, კიდევ ადგა, ჩამოამრთვა, დაჯდა. ექვსი განყოფილება იყო და ექვსჯერ ჩამომამრთვა ხელი. მე დავიბენი, მეთქი მოეწონა, არ მოეწონა. მერე შევატყვევ , ძალიან კმაყოფილი იყო . „ძამიკო, მადლობელი ვარ, შენ რომ ჩემი წიგნი შეადგინეო. არ*

ანტერესებდა წიგნში რა შევითანე. აზრი არ ჰქონდა. არ აინტერესებდა და მორჩა. ეჩქარებოდა, რომ წიგნი მალე დამესრულებინა, მე რომ ხელს მოვანერდი, ჰონორარსაც მიიღებდა და წიგნიც დაჩქარდებოდა. თითქოს რაც არ უნდა შეადგინო, ჩემი წიგნი მაინც კაი წიგნი იქნებაო, ამ პოზიციებიდან თქვამდა.” - ისინებს ინტერვიუს დროს ვ.ჯავახაძე.

თავში „ვარიაციები და ვარაუდები” გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ვარიანტებს შორის სხვაობების მიმოხილვაა. „ლექსის დაკარგვაზე ხშირად წუხდა, სტრიქონის დაკარგვაზე - არასოდეს” [ვ.ჯავახაძე 2013:767] ვ.ჯავახაძე არც გალაკტიონის ინტეგრალებს ტოვებს ყურადღების მიღმა.

„უცნობი” გალაკტიონის სიკვდილის შემდეგ დაწერილი წიგნია და „შესაბამისად, გალაკტიონის თვითმკვლელობის ფაქტის არის მასში განხილული და შეფასებული ავტორის მიერ: „თვითმკვლელობა გახლდათ გაბედული და რაინდული ნახტომი, რომლითაც გალაკტიონ ტაბიძემ საკუთარი მარტოობა დაავიროვინა. - სიკვდილშიც ვვაჭობაო! - აღიარა პასტერნაკის ერთმა ქართველმა მეგობარმა პოეტმა. ვეთანხმები!” [ვ.ჯავახაძე 2013:239]

წიგნს ბოლოს რამდენიმე წერილი ახლავს ვახტანგ ჯავახაძისა. ამ წერილებიდან ზოგიერთს ვხვდებით, ასევე წიგნში, „ლექსიდან ლექსამდე”. წერილები ძირითადად გალაკტიონის თვითმკვლელობაზე საუბრობენ და იმ ობელისკზე, ჯავახაძის პროსპექტზე რომ აღმართეს ვახტანგ ჯავახაძის მეოხებით.

როგორც ჩანს, ვ.ჯავახაძისათვის, ისევე, როგორც უმრავლესობისთვის, გ.ტაბიძე ქართული ლექსის საზომია. სწორედ გახლეჩილ ეპოქას ეხება ვ.ჯავახაძე „უცნობის” დართულ ბოლო წერილში „გალაკტიონის შემდეგ”. ვახტანგ ჯავახაძის შეფასებით, XX საუკუნის პოეზია გაყოფილია ორ მკაფიო ბანაკად: გალაკტიონი და სხვა დანარჩენი. გალაკტიონის შემდეგ ქართული პოეზია წავიდა და მიდის გალაკტიონის გზით. სხვა გზას იგი ვერ ხედავს. (ვ.ჯავახაძე 2013) მიუხედავად იმისა, რომ ვახტანგ ჯავახაძე ქართული ლექსის საზომად და უმაღლეს ეპოქად გალაკტიონის პოეზიას მიიჩნევს, არ უარყოფს და არ აუფერულებს ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთლის პოეტურ გზას. ვ.ჯავახაძის აზრით, გალაკტიონის გავლენით შემდგარი ახალი პოეზია ბუნებრივი მოვლენაა და ეს ასეც უნდა იყოს. „ვისაც გალაკტიონის სხივი არ გაჰყარებია, ღირსებულიც არაფერი შეუქმნია”

[ვ.ჯავახაძე 2013:853] „გალაკტიონის შემდეგ გამომუდავნეული და დამკვიდრებული სიახლეებიც გალაკტიონის სახელს უკავშირდება (ლირიკული პოემა, ვერლიბრი, თეთრი ლექსი, ირონიული ლირიკა...). გვლავაც დაუკავშირდება“.[ვ.ჯავახაძე 2013:854] თუკი ფიზიკოსების მიერ პოპულარობის საზომად დამკვიდრებულ „ციტირების ინდექსს“ განვიხილავთ, ვ.ჯავახაძის აზრით დღეს გალაკტიონის ციტირების ინდექსს ვერცერთი ქართველი ლირიკოსი ვერ გაუწევს კონკურენციას. [ვ.ჯავახაძე 2013]

ვახტანგ ჯავახაძის მიერ აღიარებულ გალაკტიონ ტაბიძეზე დაწერილი აპოლოგია „უცნობი“ ასე სრულდება: „*მან გვასწავლა, როგორ უნდა დავარღვიოთ პოეზიის კანონები - პოეზიის სასარგებლოდ! ალბათ - ცხოვრების კანონებიც! ბევრი საიდუმლო ამოგვიხსნა. კითხვის ნიშნებიც ბლომად დაგვითვია. მისი მკითხველები ჯერ არ დაბადებულან*“ [ვ.ჯავახაძე 2013:854]

წიგნის ბოლო გამოცემას, განსხვავებით სხვა დანარჩენი გამოცემებისგან, ბოლოს ერთვის „POST SCRIPTUM“ , სხვა ტიპის მინანქრებს სხვა კრებულებშიც ვხვდებით. ბოლოსიტყვაობაში ავტორი ღმერთს მადლობას უხდის იმისთვის, რომ „უცნობის“ მეხუთე გამოცემას მოესწრო და ფიქრობს, რომ ეს უკანასკნელია, (თუმცა მეექვსე ვარიანტი უკვე გამოსულია). აქ ვახტანგ ჯავახაძე კიდევ ერთხელ თამამად აცხადებს, რომ დღემდე არ მოხერხებია გალაკტიონ ტაბიძეზე მუშაობა. ბოლოსიტყვაობაში წერია მიზეზი იმისა, რატომაც აკრძალეს და ჩამოიღეს საბჭოედი მანქანიდან „უცნობის“ პირველი ვარიანტი 1985 წელს, ამის მიზეზად განიხილება გალაკტიონ ტაბიძის თვითმკვლელობის მკვლელობად გამოცხადების მცდელობა. „უცნობზე“ ოცდაათწლიანი მუშაობის პერიოდში ვახტანგ ჯავახაძე ახალ-ახალი ვარაუდებითა და ეპიზოდებით ავსებს წიგნს. როგორც ჩანს, არქივში მუშაობა ავტორს ამას იძულებით აკეთებინებს და ეს გასაგებიცაა. ამით ის ცდილობს შეავსოს დიდი უცნობის მიერ დატოვებული კითხვის ნიშნების რიცხვი და კიდევ რამდენიმე ნაბიჯით მიუახლოვდეს გალაკტიონის საიდუმლოს. ვახტანგ ჯავახაძემ მისი ცხოვრების დიდი ნაწილი გალაკტიონის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევას მიუძღვნა. აქვე ვხვდებით შეფასებებს, რომლებიც ცნობილი ავტორებისა და ლიტერატურის კრიტიკოსების მიერაა გამოთქმული:

- 1) „უცნობი“ გაბრაზებული კაცი მიერ დანერგილი წიგნია, ოცდაათი წლის შემდეგაც კი გაბრაზებული კაცის მიერ დანერგილი „მწარე წიგნი“ [ვ.ჯავახაძე 2013:856] - ბაჩანა ბრეგვაძე;
- 2) „მოულოდნელი წიგნი“ [ვ.ჯავახაძე 2013:856] - მურმან ლეხანიძე;
- 3) „უცნაური რომანი“ - ვახტანგ ჯავახაძემ გენიალური ქართველი პოეტი ხელიდან გამოსტაცა ჯალათ დროსა და მედროვეებს და შექმნა აპოლოგიის თანამედროვე კლასიკური ნიმუში” [ვ.ჯავახაძე 2013:856] - ტარიელ ჭანტურია;
- 4) „ვახტანგ ჯავახაძის „უცნობმა“ წმინდა ტაძარში შეგვიყვანა“ [ვ.ჯავახაძე 2013:856] - გურამ დოჩანაშვილი;
- 5) „ვახტანგ ჯავახაძემ შექმნა ქართული ბიოგრაფიული რომანის მშენებელი - წიგნი გალაკტიონ ტაბიძის გენიის ანატომიაზე“ [ვ.ჯავახაძე 2013:856] - ბესიკ ხარანაული;
- 6) „ალბათ, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში იშვიათი და უნიკალური მოვლენაა, როცა უმფროსი თაობის პოეტს, რომელსაც თავისი „ავტონომია“ აქვს პოეზიის დიდ იმპერიაში, ცხოვრების მიზნად დაესახოს დროისა და ეპოქის უდიდესი შემოქმედის საზოგადოებისათვის უცნობი ცხოვრების წარმოჩენა, არქივების მტვერში რომ იყო გაუჩინარებული, და თუ არა ეგოდენ თავდადებული მკვლევარი, გალაკტიონის ნამდვილი სახე კვლავ მიუწვდომელი და უცნობი დარჩებოდა“ [ვ.ჯავახაძე 2013:856] - დავით მჭედლოური;
- 7) „უცნობის“ გარეშე გალაკტიონის შემდგომი კვლევა სრული აღარ იქნება“ [ვ.ჯავახაძე 2013:856] - კობა იმედაშვილი;
- 8) „უცნობის მსგავსი წიგნი საუკუნეში ერთხელ იწერება“ [ვ.ჯავახაძე 2013:856] - მიხეილ ქვლივიძე;
- 9) „თქვენ თითონ თუ იცით, რა გენიალური წიგნი დანერგეთ?“ [ვ.ჯავახაძე 2013:856] - თენგიზ აბულაძე

უცნობის მეხუთე გამოცემა გალაკტიონის არქივში მუშაობის კიდევ უფრო დიდ გამოცდილებას გულისხმობს. არსებითი ცვლილებები ტექსტობრივ მხარეში არც აქ არის, დამატებულია გალაკტიონის ნახატები. ამ ვერსიაში თავს იყრის გალაკტიონის 240 ნახატი.

ვ.ჯავახიძე იმ თაობისა ნაწილია, რომლის აზროვნების მიმართულება ექცევა პოსტმოდერნის ეპოქაში. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურა მოდერნისტულ სპექტს გადაათამაშებს და ნელ-ნელა ამკვიდრებს პოსტმოდერნიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობას და იზიარებს და შეამოაქვს ქართულ ლიტერატურაში ის თავისებურებები, რაც, მანამდე, რამდენიმე ათეული წლის წინ მსოფლიო ლიტერატურამ უკვე გამოავლინა. შეიძლება ითქვას, რომ ქართული პოსტმოდერნისტული ლიტერატურა ფეხდაფეხ მიყვება მსოფლიო პოსტსტრუქტურულ ეპოქას.

„უცნობი“ რთული სტრუქტურის ნაწარმოებია და აგერ უკვე 31 წელია განსჯის საგანს წარმოადგენს მისი ლიტერატურული ორიენტაცია. მას ტარიელ ჭანტურია „უცნაურ რომანს“ უწოდებს, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ განსაზღვრავს „უცნობის“ უანრობრივ თავისებურებას.

შეიძლება „უცნობი“ განიხილოს როგორც მემუარი, ეპიკური უანრის პუბლიცისტური ნაწარმოები, ვინაიდან მასში მოთხრობილია საერთო საზოგადოებრივ-კულტურული ამბავი მნიშვნელოვან მოღვაწეზე, რომლის უშუალო მონაწილე გახავთ თავად ავტორი და მეტად მნიშვნელოვანია მის მიერ მოწოდებული ამბები. ერთი გადაკითხვით ეს ასეცაა. მკითხველი კითხულობს გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერებზე დამყარებულ ამბებს, ისტორიას რჩეული წიგნის გამოცემისას. თუმცა, არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ეს წიგნი მხოლოდ გალაკტიონის არქივს არ ეყრდნობა.

თუმცა ყველაფერი ასე მარტივად გადასაწყვეტი როდია?!

ეს თითქოს მემუარული წიგნი, გამდიდრებულია ლირიკული ელემენტებით, თხრობის ორიგინალური სტილით, მრავალფეროვანი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით და სხვა ბევრი თავისებურებით, რომელიც გვეხმარება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ მხოლოდ ტიპურ მემუართან გვაქვს საქმე.

ვახტანგ ჯავახიძის „უცნობს“, აპოლოგიას გალაკტიონ ტაბიძის, გააჩნია პოსტმოდერნიზმის ნიშნები. უპირველეს ყოვლისა ეს არის ზოგადი, საერთო მახასიათებელი აზრის გაურკვევლობისა. ამ შემთხვევაში, არ ვგულისხმობ ცალკეული ფრაზებისა და ეპიზოდების ბუნდოვანებას, არამედ სტილურ მრავალფეროვნებასა და

ჟანრთაშორის შეუთანხმებლობას. ეს ჰგავს არამხატვრული რომანის დამკვიდრების მცდელობას, რომელიც, ასევე, პოსტმოდერნიზმის ნიშანია, თუმცა ამ შემთხვევაშიც ცალსახად იმის თქმა, რომ „უცნობი“ არ არის მხატვრული რომანია, რთულია, რადგან ტექსტი ზოგ ადგილას განებივრებულია მაღალი მხატვრული თავისებურებით, რასაც ემატება ავტორის ინდივიდუალისტური მეტყველება და საერთო ჯამში ქმნის არა არამხატვრულობას, არამედ მხატვრულობას: *„როგორც პატარა ბავშვი ვეებერთელა მონასტერს, ისე ვუვლიდი გარშემო, და რაკი მონასწერს კარი ვერ ვუპოვნე, ფეხისწვერებზე ვდგებოდი, რათა მაღალი სარკმლიდან მაინც მომეკრა თვალი, რა ხდებოდა იქით...“* [ვ.ჯავახიძე 2013:7]

ვინაიდან პოსტმოდერნისტულ რომანში დარღვეულია სიუჟეტის განვითარების საფეხურები და არ პასუხობს კლასიკური რომანის მოთხოვნებს, „უცნობისგანაც“ ვერ მოვიტოვებ ერთ სიუჟეტურ ქარგას. თუმცა უმაგისობაც არ არის. მოქმედება ვითარდება ერთი მიზნისკენ და შინაარსობრივი ბაღე ორიენტირებულია ერთ შედეგზე - გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსებისა და პოემების გამოცემა. თუმცა, ამის გარდა, ავტორი წარმოადგენს მთელ სპექტრს ამბებისას, წერილებისას, განცხადებებისას, გადმოცემებისას, მოგონებებისას თუ პირადი შთაბეჭდილებებისას, რაც თითქოს, ერთის მხრივ, არღვევს და აუფერულებს ერთი ამბის თხრობის განვითარების სწორხაზოვნებას.

საბოლოო ჯამში, ვახტანგ ჯავახიძის „უცნობს“ მოვიაზრებ, როგორც პოსტმოდერნისტული ლიტერატურული მიმდინარეობის რომანს, მემუარული და ლირიკული ელემენტებით. ეს გავს ახალი ჟანრის დაბადებას.

§2.3. კრებული „ვახტანგური“

ფუნდამენტური პოეტური კრებული ვახტანგ ჯავახიძის შემოქმედებაში, შეიძლება ითქვას, არის „ვახტანგური“. იგი 2012 წელს გამოიცა და ერთგვარად აჯამებს იმ მრავალფეროვან პოეზიას, რომელსაც წლების განმავლობაში ქმნიდა ვახტანგ ჯავახიძე. 480 გვერდიანი წიგნი მოიცავს წერილებს ვახტანგ ჯავახიძესა და მის შემომქმედებაზე, ლექსებს, მათ შორის პოლინდრომებს და ავტორის მხატვრულ „ანტიბიოგრაფიას“,

რომელიც ტიპური ბიოგრაფიის არაორდინალური გადაწყვეტა და გამოვილებაა და რომლითაც სრულდება წიგნი. „ვახტანგური“ ითვალისწინებს ლექსებს რამდენიმე კრებულიდან და თავს უყრის პოეტის შემოქმედების ძირითად ღირსებებს. „წინასიტყვაობის მაგიერ“ წიგნში დაბეჭდილია თანამედროვე და არა მხოლოდ თანამედროვე ლიტერატურის კრიტიკოსების შეფასებები. ეს სახელები და გვარებია: ანა კალანდაძე, მურმან ლებანიძე, გურამ ასათიანი, ტარიელ ჭანტურია, დავით წერედიანი, თეიმურაზ დოიაშვილი, როსტომ ჩხეიძე, ემზარ კვიციანი, ლევან ბრეგაძე, დავით მჭედლური და მიხეილ ქვლივიძე. რჩეულში შესულია 1969-2010, 1954-1975, 1984-1993, 1995-2011, 1976-2009, 1972-1978 და 2000-2008 წლებში დაწერილი ლექსები, აჯამებს რამდენიმე კრებულს. ვინაიდან „ვახტანგური“ ვ.ჯავახაძის პოეტური შემოქმედების ძირითადი, ოფიციალური წარმომადგენელია, ავტორის მხატვრული შემოქმედების თემატურ მრავალფეროვნებას განვიხილავ სწორედ ამ კრებულის მაგალითზე.

როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგ ჯავახაძის პოეტური შემოქმედება თემატურად მრავალფეროვანია. ნაციონალური თემატიკის ლექსებს ვახტანგ ჯავახაძე შემოქმედების პირველივე ეტაპიდან წერს. პოეტის ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისიდანვე მის შემოქმედებაში ჩნდება ეროვნულ მოტივებზე დაწერილი ლექსები. მოღვაწეობის განმავლობაში მისთვის აქტუალურია სამშობლოს თემა და პერიოდულად ახალ-ახალ ლექსებს გვთავაზობს, რომელთაგანაც ზოგი აშკარად გამოხატულ აზრს გადმოსცემს, ზოგიც ლექსს მიღმა წასაკითხია:

*ჩემო კარგო ქვეყანავ
„ერიჰა! შენმა მთებმა
საით გამტყორცნეს, ერიჰა!
რაც უფრო გული მიკვდება,
მით უფრო მშვენიერი ხარ!”*

1991წ.

[ვ.ჯავახაძე 2012:53]

სამშობლოს თემატიკაზე დაწერილ ლექსებს შორის, არის ისეთი ლექსებიც, რომელშიც ავტორის ღრმა წუხილია გამოხატული ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის

გამო. ლექსში „ერთი ნაბიჯი დამაკლდა“, რომელიც ვახტანგ ჯავახიძემ 2010 წელს დაწერა, მიმოხილული აქვს იმდროინდელი საქართველოს რეალური სიტუაცია, ის სირთულეები და პრობლემები, რომლებიც ხალხს ანუხებდა და ქვეყანას ასუსტებდა. ავტორი სწუხს სიმართლის ნაკლებობაზე, დოლარის გაუფასურებაზე, არეულ ქვეყანაზე და ნაკაცარი ადამიანების სიმრავლეზე. (ვ.ჯავახიძე 2012) ნელ-ნელა ჭარბობს კრიტიკულ-პოლემიკური პათოსი:

„შეხედავ - არაკაცია, არადა - ნაკაცარია.

ზოგი ლაქია-ბაქია და ზოგი ლაწირაკია,

მოდი და ერთად ვიყვიროთ:

- ქვეყანას კაცი აკლია! “

[ვ.ჯავახიძე 2012:78]

პოეტურ კრებულში „ვახტანგური“ ძირითადი ადგილი, მართალია არ უჭირავს ავტორისს პატრიოტულ ლექსებს, თუმცა ის რაოდენობა, რაც მოიპოვება, საკმარისია იმის დასადგენად, რომ ვახტანგ ჯავახიძისთვის სამშობლო მეტად მნიშვნელოვანია. იგი გამუდმებით ფიქრობს სამსობლოს ბედსა თუ უბედობაზე, ხვედრზე, ჭირსა თუ ლხინზე და ფიქრის პროლუქტებს საინტერესო ფორმებით წარმოადგენს თავის პოეზიაში. ამ თემატიკაზე დაწერილი ლექსებიდან იკვეთება, რომ ვახტანგ ჯავახიძე ძალიან განზოგადებულად განიხილავს რიგ სირთულეებს, რომლებიც იქმნება პოლიტიკის კვალდაკვალ, თუმცა, შეიძლება თქვას, რომ ამ განზოგადებულ მსჯელობაში და აზრების ქარცეცხლში, მას გამოსდის მოახდინოს პრობლემის იდენტიფიკაცია, დააკისროს მორალური პასუხისმგებლობა იმ პირებს, რომლებმაც, აქამდე, ნაკლები პასუხისმგებლობა გამოიჩინეს სამშობლოს სადარაჯოზე.

პოეტიერთგან ალუზიასაც მიმართავს და საქართველოს ისტორიიდან ერთ-ერთ ნათელ წერტილს იხსენებს, გამოთქვამს მწუხარებას, რომ შეუძლებელი გახდა უწინდელი ოქროს პერიოდის განმეორება:

„მონარქისტი არა ვარ,

არც მორწმუნე გლეხი ვარ

მავრამ თამარ მეორე

კი მინდოდა მეხილა”

1977წ.

[ვ.ჯავახაძე 2012:156]

სამშობლოს თემატიკაზე დაწერილ ლექსებს საუკეთესოდ შეაჯამებს ვახტანგ ჯავახაძის ერთსტროფიანი ლექსი-სადღევგრძელო, რომელშიც მოკლედ და ლაკონურად ჩაატია მან საკუთარი სათქმელი:

„ერთი სადღევგრძელო დამრჩა დასაზღვირებელი:

საქართველოს შემოევლოს ჩემი თავი ბებერი!

საქართველოს შემოევლოს ჩემი თავი ბებერი!

საქართველოს შემოევლოს ჩემი თავი ბებერი!”

1999წ.

[ვ.ჯავახაძე 2012:279]

ასევე, განსაკუთრებით საყურადღებოა ვახტანგ ჯავახაძის ომის თემატიკის ლექსები. ერთ-ერთია 1969 წელს დაწერილი ერთსტროფიანი მცირე ლექსი, რომელიც განცდის სიღრმით გამოირჩევა სხვა მსგავსი ლექსებიდან.

„ომი მკაცრია: ცა ბრიალებს, მიწა გრიალებს,

ელოდებიან, ეძახიან მაშველს და საშველს,

და იმეტებენ სასიკვდილოდ ადამიანებს -

ოდესღაც ჩვენი შვილებივით საყვარელ ბავშვებს”

[ვ.ჯავახაძე 2012:116]

შეიძლება ამ თემატიკასთან მივასადაგოთ მშობლიური ენისადმი სიყვარულის დამადასტურებელი პოეტური ქმნილებები, რომელიც ხმამაღლა ამბობენ ავტორის დამოკიდებულებას, შეიძლება ითქვას, ამხელენ ყოველივე მშობლიურის სიყვარულში:

„... მავრამ როცა იმ ლამაზთან ვცეკვავე დარდიმანდულად,

ანდა როცა იმ მდიდრების

ზმა მესმის და სხარტულა, -

მენატრები,

მენალდები,

მედარდები ქართულად!”

1080წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:182]

*„მასხოვს სხვა პარაკლისი,
და სხვა ამონაკვნესი...
ორ ზღვას შუა გადარჩა
ერთი გამონაკლისი”*

1991

[ვ.ჯავახიძე 2012:157]

ნაციონალური თემატიკის შემდეგ განვიხილავ ვახტანგ ჯავახიძის ლირიკულ გმირს და ლექსებს, რომლებშიც ავტორის მთელი ლირიზმი იყრის თავს და ვინაიდან პოეტი უფრო და უფრო ყურადღებას თავისი ლირიკულობით იქცევს და მისი მთავარი ღირსება, რომელიც მას ინდივიდუალიზმს ჩუქნის, არის ლირიკა, ვახტანგ ჯავახიძის ლირიკული ლექსებიც კვეთს ვახტანგ ჯავახიძეს, როგორც ინდივიდ პოეტს, თავისი სუბიექტური მახასიათებლებით, განცდებით, გრძნობებით, ფორმებით და ა.შ.

*„თუმცა დიდი იმედი მაქვს გულის - ნაამგარისა,
ხელი მაინც შემაშველე,
ხელი მაინც არ გამიშვა.”*

1972წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:11]

ლირიკული გმირის ლექსები ძირითადად სევდითა და პათოსით არის განმსჭვალული. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი თავისი ირონიულ-პაროდული სტილით ამ ყველაფერის შემსუბუქებას ცდილობს, განცდა მაინც არ იკარგება და, საბოლოო ჯამში, ლირიკული ლექსები განსხვავებული, ქართული პოეზიისთვის აქამდე უცნობი სტილით წარმოგვიდგება:

*„რაც არ უნდა იჩალიჩო,
რაც არ უნდა იბობოქრო,*

*მაინც იელვებს თმებში თითო-ოროლა ცერცხლი.
დაისადგურებს სულში სიცივე გამთოშავი,
შორს,
თანაგრძნობის ნიშნად
მთა გამოჩნდება თეთრი”*

1976წ

[ვ.ჯავახაძე 2012:24]

ვახტანგ ჯავახაძის ლირიკულ პოეზიაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს დედისადმი მიძღვნილ ლექსებს. ზოგან იგი ფრაგმენტულად წარმოგვიდგება, ზოგან კი განცდების აღწერითი ხასიათია. პირველად ჩემს ყურადღებას იქცევს 1965 წელს დაწერილი ლექსი, დედისადმი მიძღვნილი:

*„დედის თვალებით,
დედის ფიქრებით
გაზომილია ჩემი ცხოვრება,
მე უფრო მკაცრი კაცი ვიქნები,
როდესაც დედა არ მეყოლება”*

1965წ.

[ვ.ჯავახაძე 2012:99]

შემდეგ უკვე, 1999 წელს დაწერილი დედისადმი მიძღვნილი ლექსი მხვდება თვალში, რომელშიც ავტორი უკვე გარდაცვლილ დედას იგონებს, ყველა ნავარაუდევო განცდა მართლებულია. მასზე საუბრობს, მიმართავს. აქ დედის დავინწყება-არდავინწყების, დავინწყება-გახსენების განცდები ეჭიბრებიან ერთმანეთს და საბოლოოდ, ავტორის პოზიცია სულაც არ არის მოულოდნელი:

*„გამიადვილე დარდები, მომიგერიე სევდები,
როგორც კი დამავინყდები, მაშინვე გამახსენდები.
სადაც შენ დამავინყდები, მეორედ იქ არ გავივლი,
შენი ხმა წამომენევა გურული კილოკავივით.”*

1999წ

[ვ.ჯავახიძე 2012:59]

2002 წელს კი იგი ისევ იხსენებს დედას და ამ ლირიკულ ლექსში „ისევ დედა“ განახლებულია პოეტის სინანული დედის დაკარგვის, მის გარეშე ცხოვრების გამო:

*..ბოლოს, როცა დაულამდა და დაუდგა ღამის ხანა,
ერთხელ კიდევ გავატირე,
მავრამ აღარ წამიყვანა”*

2002წ

[ვ.ჯავახიძე 2012:62]

ლირიკული გმირის განცდებით დატვირთული ლექსებიდან გამორჩეულია: „არის საღამო ვალსებით სავსე“, „ვიცი, განგება ჩემზეც ზრუნავს“, „ვერ გავიხსენე, რიონო“ და სხვ.

ლირიკული ლექსების გარკვეული ნაწილი ბავშვობის მოგონებების გახსენებაა.

*„როცა პატარა ვიყავი,
უბეში ჩიტი ჩავისვი,
და აფრთხილდა გულივით ჩიორა შესაბრალისი...
მალე გაფრინდნენ ჩიტები,
დაცხრა შფოთი და ჭიდილი, -
ახლა უბეში დაღლილი გული მაფრთხილებს - ჩიტივით.”*

1973წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:132]

ბუნების თემატიკა XX საუკუნის პოეზიაში საკმაოდ აქტუალურია. ეს ერთგვარი გამოხატულებაა მოდერნისტული ტენდენციების, რადგან პოეტს ბუნება, როგორც ცალკე სივრცე ან სამყარო, განცდების გასაანალიზებლად, გადმოსაცემად და, თუნდაც განსაზოგადებლად, ძალიან ეხმარება. XX საუკუნის მეორე ნახევრის პოეზია ამ ტენდენციებს ინარჩუნებს. ამ ეპოქის პოეზიაში მრავლად შევხვდებით ბუნების კულტის გამოყენებას. ხშირად, ბუნება და ავტორის პირადი გრძნობები იკვეთება. აქ ეს ორი ნიუანსი ერწყმის ერთმანეთს და საბოლოო პროდუქტი, მკითხველისათვის განსაკუთრებით მიმზიდველია. მსგავსი ტიპის შტრიხები რმავლად მოიძებნება ანა კალანდაძის პოეზიაში:

„ასკილი, მოცხარი, მოცვი,

*გზადავგა კულელიც გვხვდება,
აღარ წვიმს, ლამაზი მხრები
გაშალეს ლამაზმა მთებმა.*

...

*მოვედით სამადლოს ხევთან,
ნისლებში დანთქმულა ისიც...
მე მინდა... სულ ვიყო შენტან,
როგორც ეს მთები და ნისლი...”*

[ა.კალანდაძე 24. „ბეთანიის გზაზე”]

ბუნებისა და ავტორის განცდების შერწყმის მაგალითებს ვხვდებით მურმან ლებანიძის პოეზიაშიც:

*„გაზაფხული შემოსულა, ლენ,
ბუდეები გაუნვიათ ჩიტებს,
მე ვიყიდი წითელ-ყვითელ ჩიტებს,
თეთრი ტილო მომიქარვე შენ”*

[მ.ლებანიძე 25. „გაზაფხული შემოსულა, ლენ”]

ვახტანგ ჯავახიძის შემოქმედებაშიც საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ბუნების კულტს. პოეტისთვის ბუნების წიაღი თავშესაფარია, გაქცევისას დასახული იმედია, უსათუო გამოსავალია. თითქოს ჩაკეტილი სულისთვის მაღალი მთები, ბარის ბალახი და ბუნების წიაღი ნამდვილი შვებაა:

*„უნდა გავეჩქე,
უნდა გავეჩქე,
მაღალი მთების ვინყო დერეფანს,
სივრცეს იპოვნის სული ვაკეზე
და თვალი ლაჟვარდ მიეთარება.
გულს გააზარებს ბარის ბალახი,
სადაც ლამაზი დუმილი მეფობს,
... თუ შეიძლება, ცა დამანახეთ,*

ძალიან მაღლა წასულო მთებო”

1959წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:85]

ვახტანგ ჯავახიძისათვის ბუნება, არამხოლოდ თავშესაფარი, არამედ, უბრალოდ , ფიქრის საგანიცაა, პოეტი ბუნებაში იმაზე მეტს ამჩნევს. მისთვის ბუნება ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც გრძობს, განიცდის, გამოხატავს. აქვე, შეიმჩნევა მრავალწერტილები, რომელსაც მეოცე საუკუნის პოეზიაში ძირითადად ანა კალანდაძე იყენებს:

*„ფოთოლი იგრძნობს ყველაზე ადრე,
დაეუფლება ტოტებს თანდათან,
ურუანტელივით დაუვლის ჭადრებს
და ფესვებამდე ცივად გაატანს.
დაუბრუნდება ისევ ქალბატონ
ჩინარებს , როგორც სიყრმის სათავეს,
და... როცა ქარი უნდა დახატონ,
ტოტებგადახრილ ხეებს ხატავენ.”*

1962წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:92-93]

ერთ-ერთი აქტუალური თემა ვახტანგ ჯავახიძის პოეზიაში ქალაქია. ქალაქის კულტი უცხო არ არის XX საუკუნის პოეზიისთვის. ის , ჯერ კიდევ, ცისფერყალწელთა პოეზიაში დომინირებდა და გადაკვეთა პოეტებს შორის კონკრეტულ ქალაქზეც მოდის:

*„ მე განახლებულს ვხედავ ქუთაისს,
ვუსჯერ ყველაფერს ახალი განცდით,
ნაცნობ მდინარეს, ქუჩას თუ დაისს,
ჩემთვის რომ იყო ნამდვილი განძი.
მოგონებები ტკბილი თუ მწუთხე,
მე თითქოს გზაზე გადამელობა,
და თითქოს ჩემთვის ნამდვილი კუთხე*

უდრის უეცრად ნახულ ემგობარს.”

1935წ.

ვალერიან გაფრინდაშვილი

ვახტანგ ჯავახაძის შემთხვევაში ყველა დეტალი პოსტმოდერნიზებულია და ისე გამოხატავს ქუთაისისადმი დამოკიდებულებას, რომ იყენებს სრულიად ახალ სტილს, თუმცა სათქმელი უფრო მარტივი და გასაგებია:

*„სადაც შემხვდება ქუთაისის მატარებელი,
როცა შემხვდება ქუთაისის მატარებელი,
თუკი შემხვდება ქუთაისის მატარებელი, -
ვერვინ გამასწრებს ქუთაისის მატარებლისკენ...”*

1972წ.

[*ვ.ჯავახაძე 2012:12*]

მშობლიური ქალაქისადმი სიყვარული ვახტანგ ჯავახაძის პოეზიაში მკვეთრად გამოვლენილ ლირიზმს ქმნის:

*„დიღუბე დაიხურა და დაგავვიანდა, ბებერო,
სხვა მეტი რა დავრძენია: ცას უნდა გამოეკერო.
მოითხოვს ამინისტიას და დაეძებს ციხის გასაღებს -
ქუთაისელი, რომელიც თბილისში გადაასახლეს.”*

2005წ.

[*ვ.ჯავახაძე 2012:67*]

როგორც ჩანს, ვახტანგ ჯავახაძისადმი უპირველესი ქალაქი ქუთაისია. მსგავსი პათოსი ცისფერყალწელთა პოეზიაში მრავლადაა, რამეთუ ქუთაისი სამშობლოა ცისფერყალწელების - სამშობლოა არაცისფერყალწელი , თუმცა „სამოციანელად” წოდებული პოეტისთვის. ეს გაუნელებელი სიყვარული ავტორის წერილებშიც კარგად ჩანს, თუმცა უფრო აშკარად ლექსებში იკითხება:

„FININA LA COMEDIA!

ჩემი ადგილის დედა - თეთრი ხიდი და რიო,

მამის საფლაფთან - მწვანე კიპაროსების ტრიო:

*როგორც კი მანიშნებენ, დასრულდა თეატრიო,
ამ ძეგლების არმატურა აქ უნდა მოვათრიო.”*

2010წ.

[ვ.ჯავახაძე 2012:79]

თუმცა, ვახტანგ ჯავახაძის შემოქმედებაში ქალაქის თემატიკის ქვეშ მხოლოდ ქუთაისისადმი მიძღვნილი ლექსები არ ერთიანდება:

*„დიდი ქალაქის ძველი უბანი
ასაკს ლამაზი ქალივით მალავს,
როგორც ერთგული ჭირისუფალი -
მხარში უღვას და ამხნევეს ქალაქს”*

1965წ.

[ვ.ჯავახაძე 2012:98]

*„მინას არიდებს თვალებს ცრემლიანს
და ემალება ქუჩებს ქარიანს,
ვარეუბანში უფრო ვრცელია
და ქალაქგარეთ უფრო წყნარია.”*

1965წ.

[ვ.ჯავახაძე 2012:99]

*„შემოდგომაა.
მიმსგავსებია
ვეებერთელა ბაზარს ქალაქი...”*

1969წ.

[ვ.ჯავახაძე 2012:114]

შეიძლება ითქვას, რომ პოეტისათვის ქალაქი , ხშირად, არც ისე კომფორტულის სადგომია. მიუხედავად სიმარტოვის სიყვარულისა და იმისა, რომ თბილისი მას ამ პირობებს სთავაზობს, ის ზოგჯერ ცდილობს გაერიდოს ქვის ქალაქის ქაოსს და თავი

შეათაროს დიდ და მწვანე სივრცეებს, რომლებიც მას აუცილებლად დაეხმარებიან, თუმცა როცა , საბოლოოდ, მაინც უწევს ქალაქის წიაღში დაბრუნება. პოეტი იაზრებს, რომ ქალაქი მისთვის, მიუხედავად ყველაფერისა, სტაბილური სამყოფელია:

*„ორი დღის შემდეგ დავენახვები
ორ დღეში ოდნავ შეცვლილ ნაცნობებს,
ორი დღის შემდეგ დავიკარგები
ვერტიკალურად გაზრდილ ქალაქში”*

1968წ.

[ვ.ჯავახაძე 2012:108]

*„ივლისში და აგვისტოში მე არ მიყვარს თბილისი,
ხალხს სახლიდან განვაშვივით ერეკება ივლისი.”*

1973წ.

[ვ.ჯავახაძე 2012:131]

ვ.ჯავახაძის პოეზიაში, ზოგჯერ, ბევრი ნიუანსი ერთდება. ამ ხერხს ავტორი მიმართავს სათქმელის გამარტივებისათვისაც და სიახლის დაბადებისთვისაც, საბოლოო ჯამში, თავისდა უნებურად, განსხვავებულ ემოციებს ქსოვს. საინტერესოდ მეჩვენება ლირიკული გმირის, ქალაქისა და ბუნების კულტების შერწყმის პროდუქტი ვ.ჯავახაძის პოეზიაში:

*„წვიმის ტოტებში ქალაქი მოჩანს,
როგორც ძალიან დიდი სოფელი,
მკვდარი ფოთლებით სავსეა ქუჩა,
მე ვარ ფოთლების ჭირისუფალი.
მინას დიდი ხნის სესხი და ვალი
ცამ დაუბრუნა ერთი ათასად,
ლამაში არი წვიმა და ქარი,
ფოთოლი კიდევ კვდება ლამაზად.
უკაკუნებენ სულის კარობჭეს
წვეთები,*

*როგორც ცრემლები ბავშვის...
მე ქედს მოვიხდი და შევაბიჯებ,
წვიმაში,
როგორც საკუთარ სახლში.”*

1961წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:88]

ნაციონალური თემატიკა, ქალაქი, ბუნება და მსგავნი, შეიძლება თქვას, უფრო ტრადიციული თემატიკაა და ნაკლებად წარმოადგენს სიახლეს. თუმცა ვახტანგ ჯავახიძის შემოქმედებას ახალი თემატიკებიც მოაქვს. ძირითადად ეს თემები ირონიულ-პაროდული სტილით არის გაშლილი და იშვიათად ვხვდებით ტრადიციულ ლექსს.

ახალი თემატიკის ლექსები ყოფითობიდან იბადება ვახტანგ ჯავახიძის პოეზიაში. მისი არჩევანი დეტალებიდან გამოდის და დეტალებისვე ხელოვნებას ქმნის. ეს თემები ადამიანთა ურთიერთობებიდან, გარესამყაროს შთაბეჭდილებებიდან, ახალი საუკუნის ღირებულებებიდან მოდის. ძირითადი გარდახება საუკუნეთა მიჯანზე ხდება. ალბათ, არცაა გასაკვირი, თუ საუკუნეთა მიჯნის პოეტი თავის შემოქმედებას თანამედროვეებს და ისეთი თემებითა და ფორმებით გვთავაზობს, რომლებიც ჯერ არ გამოკვეთილა ქართულ პოეზიაში.

ახალი თემატიკები ვ.ჯავახიძის პოეზიის ცალკე სპექტრს წარმოადგენს და ნაკარნახევია თავსუფალი აზროვნებიდან:

*„ველარ ვცნობ კარის მეზობელს,
ველარ ვერნდობი კარამდე,
იმედის ჭუჭრუტანები უეცრად დაჰატარავდნენ”*

1972

[ვ.ჯავახიძე 2012:11]

თავისუფალი ურთიერთობების თემა ვახტანგ ჯავახიძის შემოქმედების ერთ-ერთი დეტალია. ავტორი თამამად წარმოაჩენს ყოველდღიურ, შემთხვევითობის პრინციპით მომხდარ ცხოვრებისეულ დეტალებს, რომელიც ახალი სამყაროს დაბადებას ნააგავს:

„ძაღლი - გოგოს,

*გოგო -მამას,
მამაუცნობს შეჰყურებდა.
ამ მშენარაში იყო რაღაც უცნობი და აუხსნელი,
ტრიალებდა,
ტრიალებდა,
ტრიალებდა კარუსელი.”*

1970წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:10]

თაობათა დიალოგი თუ დიამეტრალური განსხვავებების გამოკვეთა, ჯერ კიდევ XX საუკუნის მეორე ნახევარში იწყება ვახტანგ ჯავახიძის პოეზიაში. 1971 წელს დაწერილი ორსტროფიანი ლექსი, განსხვავებული კუთხით წარმოაჩენს შვილებისა და მშობლების ურთიერთობას. აქ ბავშვობისა და ზრდასრულობის ასაკის თავისებურებებს ესმება ხაზი და ავტორის მიერ ორივე პერიოდი ხასიათდება სიღრმისეული რეალიზმით:

*„რა კარგები ხართ , ბავშვებო,
ვიდრე გაივლის ბავშვობა,
ვიდრე მზეს ეთამაშებით,
ვიდრე მზე გეთამაშებათ,
ვიდრე დაცხრებით კრავივით,
ვიდრე დაცხრებით საესებით,
ვიდრე ბავშვობა გაივლის
და ... მშობლებს დაემსგავსებით.”*

1971

[ვ.ჯავახიძე 2012:10]

ვახტანგ ჯავახიძის მხატვრული შემოქმედების გარკვეულ ნაწილს იკავებს ლექსი-მედიტაცია. ამ ტიპის ლექსებში გამოხატულია აღწერითი ხასიათები, მომენტალური გრძნობები და სურვილები. პოეტი აქ სიმშვიდისკენ ისწრაფვის. მეტ-ნაკლებად, ამ ტიპის ლექსებს შევვიძლია, ზოგადად, ლირიკული გმირის უამრავი ლექსი მივაკუთვნოთ, თუმცა ვ.ჯავახიძის პოეზიაში მოიძებნება საკუთრივ მედიტაციური ლექსები, რომელთა მთავარი

პლანი გამოკვეთილია და ასეთი ლექსები თავისუფლად გვახედებს პოეტის სულის სიღრმეში, რამდენადაც ეს შესაძლებელია:

*„განსაზღვრულია დასაბანიდან
ჩვენი გზები და ხასიათები...
ერთხელაც ბედის-წერა ამიტანს,
მოგზაურობით ავნრიალდები,
ზღვას მივენდობი, როგორც მეკობრე,
საკუთარ სულში წარსულს საყვარელს
დამმარხავ, როგორც ძვირფას მეკობრებს
მეზღაურები ზღვაში მარხავენ..’*

1962წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:92]

აქვე უნდა აღინიშნოს ვახტანგ ჯავახიძის გალაკტიონის მოტივებზე, და გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსები, რაც, გასაგებია, რომ მოულოდნელი სულაც არაა მისი შემოქმედებისათვის. ვახტანგ ჯავახიძის განსაკუთრებული ინტერესი გალაკტიონ ტაბიძისადმი ამ ემოციებისა და პოეტური სიტყვების მთავარი პირობაა. „ცალკე აღნიშვნის ღირსია ვახტანგ ჯავახიძის ლექსი „უცნობი“, ეს ლექსი, ჩვენი აზრით, გალაკტიონის პიროვნების, მისი შინაგანი ბუნებისა და ცხოვრების ასახვის ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანია. საკმაო დამაჯერებლობით იკვეთება ლექსში გალაკტიონის პიროვნული თვისებები: თავმდაბლობა, ახალგაზრდებთან თბილი ურთიერთობა, ბავშვური, თითქმის გულუბრყვილობამდე მისული აღტაცება და სიხარული მისადმი გამოხატული სიყვარულის სამაგიეროდ” [თ.პაიჭაძე 2008:79-80]

როგორც ვხედავთ, ვახტანგ ჯავახიძის პოეზიაში რამდენიმე თემატიკა იკვეთება. თითოეული მათგანი თავისუფალი სტილით არის გამოვლენილი და მკითხველისათვის თანაბრად საინტერესოა.

გარდა სრულიად ახალი თემებისა, ვახტანგ ჯავახიძის პოეზიაცა და პროზაც მკვეთრად გამოვლენილ ინდივიდუალისტურ სტილს გვთავაზობს, რომელზეც მესამე თავში ვისაუბრებ.

§2.4. ელეგია:ყელსაბამი - ახალი სიტყვა ქართულ პოეზიაში

გამომცემლობა „ინტელექტმა“ 2016 წელს დაბეჭდა ვახტანგ ჯავახიძის ლექსების ახალი კრებული „ელეგია და სხვა“. წიგნის სათაურიდანვე ჩანს, რომ ახალი ლიტერატურა ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში შედის "ელეგია: ყელსაბამი" და ორი წერილი მასზე, ხოლო მეორეში "სხვა ლექსები". ეს ორი ნაწილი ერთმანეთისგან არაა გამოყოფილი, ერთი შეხედვით, ერთმანეთის მიყოლებით ერთ საკითხავ მასალად აღიქმება, თუმცა, საბოლოო ჯამში, ამ ორი კომპონენტიდან თითოეული მაინც დამოუკიდებელად გასააზრებელი, აღსაქმელი და შესატყვისებელია. ისინი ურთიერთპერპენდიკულარულად არის დაბეჭდილი. "სხვა ლექსების" სტრიქონები, როგორც წესია, ვერტიკალურად, ზემოდან ქვემოთ მიუყვება ერთმანეთს, ოცმარცვლიანი, ცამეტგვერდიანი "ელეგიის" განიერი სტრიქონები კი თარაზულად, მარცხნიდან მარჯვნივ და მის წასაკითხად წიგნის 90 გრადუსით შემობრუნებაა საჭირო, რაც, ზოგ შემთხვევაში, კომფორტულიც კია. გარდა ამისა, "ელეგია: ყელსაბამი" მოქცეულია ორ სახობო წერილს შორის. ამ ეტაპზე, წიგნის პირველ ნაწილზე შევაჩერებ ჩემს ყურადღებას.

პირველად, ეს ვრცელი ლექსი (მინიპოემა), რომელიც ავტორმა გარდაცვლილ მეუღლეზე ფიქრების შთაგონებით დაწერა და, ფაქტიურად, მასვე ეძღვნება, „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა. სულ მალე ამ ტექსტს ფართო რეზონანსი მოყვა ქართველ მკითხველთა საზოგადოებაში: ელვის სისწრაფით გავრცელდა სოციალურ ქსელში, ამის შემდეგ კი დიდი ინტერესი გამოიჩინეს მის მიმართ, როგორც ლიტერატორებმა, ასევე რიგითმა მკითხველებმა.

თითქოს ლექსს ორი სათაური აქვს ან ერთი ძირითადი და მეორე ქვესათაური, რომელიც ერწყმის მთავარ სათაურს. გამომდინარე იქიდან, რომ ვახტანგ ჯავახიძემ ლექსის წერა დაიწყო და საბოლოო ჯამში ვეღარ გაჩერდა და მინიპოემა გამოუვიდა, ნაწარმოებს შერჩა ელეგიის სახელი. ლექსი, წოდებული და დაწყებული ელეგიად და დამთავრებული მინიპოემად, წარმოადგენს ორი ელემენტის შერწყმის შედეგს. როცა შედეგად საკუთრივ ელეგია აღარ გავს და უფრო ვრცელ ნაწარმოებს ქმნი, ერთი

შეხედვით ალოგიკურობის შთაბეჭდილებას ტოვებს მისი ორბუნებოვანი სათაური, რომელიც პოსტმოდერნის მახასიათებლად ჯამდება და მკითხველისთვისაც მისაღები ხდება.

კრებულის გარეკანი ღია ლურჯ ტონალობაში არის გადანწყვეტილი, რომელზეც გამოსახულია მარგალიტის კლასიკური და სადა მძივი, რომელიც ქმნის თავად ლექსის მთავარ გმირად წარმოდგენილი ღერძისა და საგნის, ყელსაბამის რეალურ ასოციაციას. (გარეკანის დიზაინი ეკუთვნის თეონა ჭენოშვილს). მკითხველები აღნიშნავენ გარეკანის მიმზიდველობას და ამიტომ ვაკეთებ აქცენტს, როგორც კარგად გათვლილ და დახვეწილ გარე-სახეზე, რომელმაც შეძლო და მიიზიდა მკითხველი.

წიგნი იწყება ზვიად კვარაცხელიას წერილით. ლიტერატურის კრიტიკოსი ძირითადად მომოიხილავს „ყელსაბამს“, რომელშიც სახოტბო შინაარსი აქვს ჩადებული. „ელეგია“: ყელსაბამი” თანამედროვე ქართული ლიტერატურისათვის უპრეცედენტოა - ერთ ლექსში თავმოყრილი დიდი, მრავალწლიანი პოეტური და ცხოვრებისეული გამოცდილება; კლასიკური და ექსპერიმენტული ფორმებით მოთხრობილი რეკვიემი” [ვ.ჯავახიძე 2016:6-7]

ზვიად კვარაცხელია გაეცნო თუ არა „ელეგიას“ „აფორიაქს“. „რატომ აგვაღელვია, აგვაფორიაქა და თითქოს გავგაერთიანა კიდევ ვახტანგ ჯავახიძის ამ ლექსმა?“ [ვ.ჯავახიძე 2016:3] ალბათ, სრულად გასაგებია რას გულისხმობს იგი ამ სიტყვებში. ამ ლექსმა თავისი შინაარსით საერთო მოაძებნინა ადამიანებს, შესაბამისად გააერთიანა, რადგან თითოეულ ჩვენგან გააჩნია კონკრეტული ემოციები, სევდანარევი განცდები ნივთებისადმი, განსაკუთრებით იმ ნივთებისადმი, რომელიც ჩვენთვის ძვირფას, უკვე გარდაცვლილ ადამიანს ეკუთვნოდა, ახლა კი ჩვენთანაა.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ნივთებისა და ადამიანების ისტორია, რომელიც ავტორმა ვრცელი სიტყვით მოგვითხრო. აქ არის პირადი ტრაგედია და ოჯახური ისტორიები, ჩვენთვის კარგად ნაცნობი, ან მეტ-ნაკლებად ნაცნობი ადამიანების სახელებითურთ. „ვახტანგ ჯავახიძემ „ელეგია: ყელსაბამში“ ტრაგედიის განზოგადება კი არა, სწორედ დეტალიზება სცადა და ამ ლექსით, შეიძლება ითქვას, რომანიც კი

დანერა”.[ვ.ჯავახაძე 2016:4] ვიტყვოდი, რომ ვახტანგ ჯავახაძემ ტრაგედიის დეტალზიებასა და განზოგადებას ერთდროულად, ერთ ლექსში შეძლო.

თემატურად ეს ნაწარმოები სიყვარულზეა, თუმცა ქვეთემატიკებად უამრავი ნიშა იკვეთება. ეს არის ადამიანთა ურთიერთობების სირთულე, მეგობრობა, ერთგულება, სიცოცხლე, სიკვდილი, რწმენა, წარმოდგენები, ვარაუდები, თეატრი, ბუნება, ისტორია და მრავალი სხვა.

ლექსის უნიკალურ მხარეთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს სწორედაც მრავალთემიანობა, მოკლედ, ლაკონურად გადმოცემული პოეტური სიტყვებითა და წინადადებებით აღწერილი უამრავი ღირებულება.

ზვიად კვარაცხელიას უყურადღებოდ არ დარჩენია ცნობილი თუ მეტ-ნაკლებად ცნობილი ადამიანების სახეები ლექსში. მას, იმის დასტურად, რომ ვახტანგ ჯავახაძე ისტორიების დანურვასა და რეალობის პოეტურ სინამდვილედ გადაქცევას ახერხებს, მოჰყავს ტექსტიდან მაგალითი: „*ვისსენებ, რათა წამოვაშველო ჩემს განბილებულ იმედს ამას - დოჩანაშვილის ნაჩუქარ ჯვარს და გურამის მიერ მოგვრილ მამას*”. [ვ.ჯავახაძე 2016:5]

ზვიად კვარაცხელიას საბოლოო შეფასება ასეთია: „*მე მგონი, „უცნობს” საკმაოდ სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა*”. [ვ.ჯავახაძე 2016:7]

რაც შეეხება მეორე წერილს, რომელიც გია არგანაშვილს ეკუთვნის, შედარებით ვრცელია და მრავალპლანიანი განხილვაა „ელეგისა”. კრიტიკოსი აღნიშნავს: „*ერთი სიტყვით, თითქოს ლექსი კი არ დაიწერა, არამედ აღიდებულმა მდინარემ ჩამოიარა და ისევ ორ ნაწილად გაკვეთ*” [ვ.ჯავახაძე 2016: 24] გია არგანაშვილი წერს, რომ ლექსმა პირველი წაკითხვისთანავე ბევრი აღაფრთოვანა, ზოგიერთი მეტისმეტად. მათმა აღფრთოვანებამ კი სხვა ბევრი გააღიზიანა, აქაც ზოგიერთი მეტისმეტად ყველას რომ მოსწონებოდა, ალბათ, საეჭვოც იქნებოდაი მისი მხატვრული ღირებულება. [ვ.ჯავახაძე 2016].

242 სტრიქონიდან გია არგანაშვილის აქცენტები ისევ და ისევ საგნების მეტყველებაზე გადადის. „*დაცარიელდა კაბა, საწოლი, სარკე, სათვალე, ქოლგა - მენები...*” [ვ.ჯავახაძე 2016:24] კრიტიკოსს ამ სტრიქონის საინტერესო ასოციაციად ვაჟა-

ფშველას ლექსი ახსენდება და პარალელად მოჰყავს. მისი აზრით, „ყელსაბამის“ პირველი სტრიქონიდან მიღებული ემოცია, შინაარი და თემა მსგავსია შემდეგისა : „იას ვუთხარი ტურფასა...“, რადგან ესეც ახლობელი ადამიანის დაკარგვით გამოწვეული ტკივილის აღწერაა და მარადიული სევდის ყველაზე ხატოვანი და ზუსტი გამოსახულება კლასიკურ პოეზიაში. მსგავსად ზვიად კვარაცხელიასი, გია არგანაშვილიც, ამ სევდის გამოხატველ ელევგიას ლექს-რომანს უწოდებს. ლექსო დორეული კი ამ ნაწარმოებს „რომანი-ტაძარი“ უწოდა.

დანამდვილებით მართლაც ვერავინ იტყვის, რომ პოეტმა ეს სპეციალურად მოიმოქმედა, თუმცა, საინტერესოა ის ფაქტი, რომელსაც გია არგანაშვილმა მიაგნო, რომ ლექსის გამოცემა იმ დროს დაემთხვა, როდესაც თბილისსა და მთელს საქართველოში (ტელევიზორში, სოციალურ ქსელებში, ოჯახებში, ქუჩებში) ადამიანები მეუღლეებისგან განსაკუთრებით სისასტიკით მოკლულ ქალებზე საუბრობდნენ.

მთავარი თემა ამ ლექსისა არის ქალის, როგორც მეუღლის, ცოლის განზოგადებული მხატვრული სახის წარმოდგენა. დავეთანხმები გია არგანაშვილს, რომელიც, საზოგადოდ, მეუღლის გაღმერთებისა და პატივისცემის ნაკლებობაზე საუბრობს ქართულ ლიტერატურაში. ეს მართლაც ფოლკლორის გავლენისაგან თავის დაუღწევლობაა, სადაც ქალი ყველა როლს ირგებს, გარდა იმ როლისა, რომელიც მას ვახტანგ ჯავახიძემ მოარგო - ნამდვილი, მარადიული სიყვარულის ანგელოზის როლი, რომელიც არასოდეს კვდება, მხოლოდ შეიძლება იცვალოს გამოხატვისა და თვითმყოფადობის ფორმა. **სიახლეა** ქართულ ლიტერატურაში მსგავსი სიღრმისა და მოცულობის ნაწარმოები, მიძღვნილი ქალისადმი, მეუღლისადმი. რა თქმა უნდა, თვალი რომ გადავავლოთ მეოცე საუკუნის პოეზიას, აუცილებლად ამოტივტივდება ლექსები, რომლებიც პოეტებმა მეუღლეებს მიუძღვნეს, მათ შორის, გალაკტიონ ტაბიძის „უკანასკნელი მატარებელი“, რომელიც საკმაოდ შთამბეჭდავია თავისი ტრაგიზმით:

„აჰა, დაიძრა რკინის ბორბლები,

მივდეგ ვავონებს. მახრჩობს გრძნობები.

გემშვიდობები სამარადისოდ,

სამარადისოდ გემშვიდობები!”

[გ.ტაბიძე 26. „უკანასკნელი მატარებელი“]

გალაკტიონ ტაბიძე ამ ლექსის ბოლო სტრიქონებში სვამს კითხვას, არის თუ არა სადმე სხვა პოეტი, ვინც მსგავსად თავისა, გამოსაღმების ხელოვნებას მიმართავს. ვფიქრობ, ვახტანგ ჯავახიძის „ყელსაბამი“ სწორედაც ეხმიანება ამ რიტორიკულ შეკითხვას, თუმცაღა, ვახტანგ ჯავახიძის შემთხვევაში, ეს არ არის ისეთი გამომშვიდობება, როგორც იყო გალაკტიონისა და ოლია ოკუჯავას შემთხვევაში. აქ ემოციურ გამომშვიდობებასთან ერთად იმედის მტრედის, მოგონებების სინათლისა და აშკარა, მკაფიო სიცოცხლესთან შერიგების, სატრფოს მიერ დატოვებული ნივთების ამეტყველების უპირატესობაა. *„ვახტანგ ჯავახიძის ეს ლექსი უდაოდ ძალზე მნიშვნელოვანია. ის არა მხოლოდ წინგადადგმული ნაბიჯია, არამედ ნახტომია კულტურისკენ, ქრისტიანული ფასეულობისკენ. მეუღლის, ცოლის სახე , ამ ლექსში სრულიად ახალ ესთეტიკურ ღირებულებებს ამკვიდრებს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში“* [ვ.ჯავახიძე 2016:28]

გია არგანაშვილ საუბრობს ლიტერატურულ პარალელზე, რომელიც „ყელსაბამსა“ და ივანე წიკლაურის „რამ დამაბერას“ შორის აღმოაჩინა. გასაგებია ის აზრი, რომ „ყელსაბამი“ თავისით ვერ აღმოცენდებოდა და მას აუცილებლად ეყოლებოდა წინამორბედები, თუნდაც ქართულ ლიტერატურაში, რაც შესაძლოა თვალსაჩინოა კიდევ, თუმცა გასული საუკუნის 80 - იანი წლების ივანე წიკლაურის ლექსში „რამ დამაბერა“, სიბერის ხანის სევდასა და ახალგაზრდობის დიადი დღეების გახსენებას შევხვდებით მხოლოდ. აქ ადგილი არ აქვს მეუღლისადმი სიღრმისეული, დიდი და ლამაზი სიყვარულის განცდის გადმოცემასა და ამ კულტის გაღმერთებას. იქიდან გამომდინარე, რომ „ყელსაბამის“ მთავარი ხაზი ხწორედ ესაა, გია არგანაშვილის ამ აზრის მოწინააღმდეგის პოზიციაში გადავინაცვლებ და ვერ დავეთანხმები, რომ ეს ლექსი არსებითი პარალელია „ყელსაბამისა“ და მით უმეტეს წყარო, რომელიც შეიძლება ვახტანგ ჯავახიძისათვის „ყელსაბამის“ პოეტურ სახელოსნოში გავლენის საგანი ყოფილიყო.

დომინანტი თემა, რაზეც „ელეგია: ყელსაბამი“ ჯერდება, მეუღლის განზოგადებული მხატვრული სახეა, სიყვარულია, რომელსაც დაემენა საგნები და ამეტყველდა იმდენად

საინტერესოდ, რომ მკითხველის თვალწინ საბოლოო ჯამში პოსტმოდერნისტული პოეზიის ტიპური ნიმუში, უნიკალური მოვლენა მიმდინარე ქართულ ლიტერატურაში წარსდგა, რომლის მსგავსი მოცულობის, განცდის სიღრმითა და გამოხატვის თავისებურებებით, ქართულ ლიტერატურაში ვერ მოიძებნება.

ამდენად, ვახტანგ ჯავახიძის ეს მინიპოემა არის რამდენიმე მიმართულებით სიახლის შემცველი, რომელმაც, წარმოუდგენელია გავლენა არ მოახდინოს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე.

III თავი

ვ. ჯავახაძის შემოქმედების მხატვრული თავისებურებანი

ვახტანგ ჯავახაძის მხატვრული შემოქმედების ანალიზი რამდენიმე საკითხის გამოყოფას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, ეს პოეზია არ არის ერთი ტიპის ნამუშევარი, ანუ საქმე გვაქვს მრავალფეროვან მასალათან. თუკი გვინდა, რომ ვ.ჯავახაძის შემოქმედებაში მოვძებნოთ განსხვავებული და ორიგინალური მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები, ეს, ალბათ, პოეტის მოღვაწეობის ბოლო პერიოდში უნდა ვეძებოთ, თუცა ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ პირველი პერიოდი დაცლილია ღირებული მხატვრული სიტყვისგან. რადგან ფორმატი კონკრეტული აქცენტების გაკეთებას მაიძულებს, ამ ეტაპზე ვ.ჯავახაძის ადრეული პოეზიის მხატვრული თავისებურებების განხილვისგან თავს შევიკავებ და ყურადღებას გავამახვილებ მის პროზასა და ბოლოდროინდელ პოეზიაზე.

„უცნობი“ მიეკუთვნება პოსტმოდერნისტულ პროზას. იგი უახლესი სტილის რომანია, სადაც დარღვეულია სიუჟეტის განვითარების საფეხურები და რომელიც დაირთავს ლირიკულ და ბიოგრაფიულ ელემენტებს. ასეთი მრავალპლანიანი ნაწარმოები იშვიათად თუ მოიძებნება ლიტერატურაში. შესაბამისად, განსაკუთრებით საინტერესოა ასეთი წიგნის მხატვრული ღირებულებები, რაც უშუალოდ ტექსტთან ურთიერთობის დროს ამოტივტივდება.

ამ რომანში ავტორი იყენებს საზოგადოდ მოდერნისტულ სტილს თხრობისას. ნაკლებად შევხვდებით ჭარბსიტყვაობასა და ერთი აზრის მრავალპლანიან აღწერას. ძირითადად თხრობა შედგება სახელდებითი წინადადებებისგან. ავტორი კონკრეტულ აზრს თითქმის ერთ წინადადებაში ასრულებს და გადადის მომდევნოზე, რომელიც ნაკლებად უაკვშირდება წინას. აქ აზრიც უფრო ნათელი და სათქმელიც უფრო მკაფიოა, ქვეტექსტებიც ნაკლებია, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, მსგავსი თხრობითი კონსტრუქცია მახსენებს ჯეიმს ჯოისის „ულისეს“.

სადაო სულაც არ არის ვ.ჯავახაძის სუბიექტივიზმი, როცა საქმე გალაკტიონ ტაბიძეს ეხება. ცხადია, ეს ყველაფერი გამოვლინდა რომანშიც. თითქმის ყოველი სტრიქონი

წიგნისა, გაჟღერებულია აშკარა სუბიექტური დამოკიდებულებით, რაც გამოვლინდება ისეთ სტრიქონებში, რომლებშიც ფაქტობრივი ინფორმაცია, რისი გადმოცემაც სურს მწერალს და აღფრთოვანება მწერლისა არის თანადროული და ერთნაირი დოზით წარმოდგენილი. ავტორის სუბიექტივში „უცნობის“ მეხუთე გამოცემის არაორდინალურ პოლოსიტყვაობაშიც ჩანს : „*ძნელია, გალაკტიონის არქივის ლაბირინთში გაიარო და თავი შეიკავო.*” [ვ.ჯავახიძე 2013:856]

ის, რომ გალაკტიონ ტაბიძე ქართლი პოეზიის მეტრია და რომ მას ქართული , და არამართო ქართული, პოეზიის მოდერნიზება საუკეთესოდ გამოუვიდა, საკამათო სულაც არაა, თუმცა ვახტანგ ჯავახიძის მიერ მხატვრულად გამოხატული ეს აზრი კიდევ უფრო საგულისხმოა: „*გალაკტიონ ტაბიძემ უმდიდრეს ცხრაკლიტულებს მოარგო გასაღები და პოეტური აზროვნების უმაღლეს ნეტარებას გვაზიარა. მან გვასწავლე, როგორ უნდა დავარღვიოთ პოეზიის კანონები - პოეზიის სასარგებლოდ! ალბათ - ცხოვრების კანონებიც! ბევრი საიდუმლო ამოგვიხსნა. კითხვის ნშნებიც ბლომად დაგვიტოვა. მისი მკითხველები ჯერ არ დაბადებულან.*” [ვ.ჯავახიძე 2013:854]

აქ არის უმცირესი ცხოვრებისეული, ყოველდღიური დეტალები, სხვადასხვა ხასიათის მილიმეტრული სიზუსტით გამოხატვა, რთული ან უბრალო მომენტების დეტალური აღწერა, უმარტივეს ქცევებში გამოვლენილი ადამიანური ღირებულებების მიგნება და მომენტალურად გაანალიზება, მხატვრული სიტყვის შეფასება და შეფასების შეფასება, რეჟიმის ტრაგედია და ამ ტრაგედიით გამოწვეული შედეგების მრავალმხრივი მიმოხილვა, პრობლემატურ საკითხებზე მსჯელობა და ვარაუდები.

„უცნობის“ ძირითადი მხატვრული თავისებურება არის ის, რომ მხატვრულად და არაორდინალურად დაწერილი ბიოგრაფიული ცნობები გამოყენებულია ახალი მხატვრული ტექსტის შესაქმნელად, რომელსაც ემატება ავტორის პირადი ემოციები და, საბოლოო ჯამში, ვიღებთ უცნაური მხატვრული თავისებურების ნაწარმოებს, რომლის ზუსტად განსაზღვრაც მომავლის საქმეა.

ლექსის წერის, პოეტური ურთიერთობებისა და მოგონებების სამზარეულოში კი ვახტანგ ჯავახიძე, ძირითადად, პუბლიცისტურ სტილს ირჩევს. („*ლექსიდან - ლექსამდე*”) ჩანანერებში, რომელიც ესეებისგან და წერილებისგან შედგება, პუბლიცისტური სტილური

თავისებურება იმჩნევა. ზოგი წერილი ტიპური პუბლიცისტური სტილისაა, როლის მსგავსიც აქამდეც წაგვიკითხავს და ახლაც ვკითხულობთ ქართულ პუბლიცისტურ ლიტერატურაში, მაგალითად: „ვან გოგის მეორე რეკორდი და ვან გოგი ციხეში“, (ამ წერილის შემთხვევებშიც შეიძლება კამათი) თუმცა, უმეტესად, აქ არის ისეთი წერილები, რომლებიც სცდებიან პუბლიცისტურ სტილს და იერთებენ მხატვრულს, საბოლოო ჯამში კი მხატვრული უფრო მეტი წილია, ვიდრე პუბლიცისტური. ის ემოცია, რომელიც უნდა მიიღო პუბლიცისტური წერილის წაკითვისას, აღარ ეუფლება მკითხველს. აქ უფრო მეტი რამ ხდება. ზოგ პატარა ჩანაწერში ინფორმაციასთან ერთად, რომელსაც ავტორის მსჯელობა და საბოლოო პოზიცია მოყვება, მკითხველი შეიგრძნობს ახალ მხატვრულ ფორმებს. მაგ: „იაპონური ლიტერატურის საძიებელი“, „შეხვედრა“, „ვან გოგის რეკორდი“, „იყო ასეთი დრო“ და სხვ.

მთავარი შტრიხი, რაც ესეებსა და პოეზიას გასდევს ვახტანგ ჯავახიძესთან, არის ირონიულ-პაროდული სტილი. შეიძლება ითქვას, რომ ვახტანგ ჯავახიძე ამ სტილის ფუძემდებელია ქართულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით პოეზიაში. ამასთან დაკავშირებით ტარიელ ჭანტურია აღნიშნავს: *„რაც შეეხება საკუთრივ ირონიულ-პაროდულ ნაკადს, ამ თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო და ჯეროვნად შეუსწავლელი პოეტი ერთია ჩვენში ამაჟამად: ვახტანგ ჯავახიძე.“* [ვ.ჯავახიძე 2012:4] ამ სტილს არ მიმართავდნენ XX საუკუნის პოეტები, განსაკუთრების XX საუკუნის მე-2 ნახევრის ავტორები. ირონიულ სტრიქონებს ვერ შევხვდებით ტარიელ ჭანტურიას, მურმან ლებანიძის, მუხრან მაჭავარიანის, გივი გვეგეჯკორისა და სხვათა ლექსებში. ვახტანგ ჯავახიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის მეორე ნახევარში უფრო აქტიურადაა გამოყენებული ირონიულ-პაროდული სტილი, თუმცა ასეთი ლექსები მისი პოეზიის ადრეულ პერიოდშიც შეიმჩნევა. საინტერესოა, რატომ აირჩია ავტორმა ეს სტილი. ამის შესახებ ვახტანგ ჯავახიძე ინტერვიუშიც საუბრობს: *„საერთოდ, ირონია და სარკაზმი ძალიან მომწონს ლიტერატურაში. სერვანტესიც ამ ხერხს მიმართავდა. ეგ შინაგანი მიდრეკილებაა. ირონიულ ლექსებს არასერიოზულ ლექსებს უწოდებდნენ და სერიოზულად არავინ არ წერდა მათ. ვალაკტიონსაც აქვს ირონიული ლექსი, თუმცა არ დაბეჭდა, იმიტომ, რომ ირონიული იყო. ეგონა, რომ ასეთი ლექსი არ უნდა*

დაბეჭდილიყო. მე და ტარიელმა დავბეჭდეთ ირონიული ლექსები ერთხელ. რომ დაიბეჭდა, დარეკეს საპატრიარქოდან და საყვედური უთხრეს მწერალთა კავშირს, ეს არ უნდა დაგვბეჭდათო. ამბზე მეტი კრიტიკა რა უნდა იყოს, მეც, რა თქმა უნდა, არ მესიამოვნა და ის ლექსები არ შემიტანია, არც გამომჩენია და არ ვიმეორებ არსად.”

ვახტანგ ჯავახიძე ამკვიდრებს მოდერნისტულ, შესაძლოა პუბლიცისტიკას, რომელიც ავტორთან ლირიკული, ირონიულ-პაროდული და საკუთრივ პუბლიცისტური ელემენტების შერწყმის შედეგად მუშავდება. ამდენად, ვახტანგ ჯავახიძის პუბლიცისტიკა, შესაძლოა მისი მხატვრული ლიტერატურის ნაწილადაც განვიხილოთ და არა მხოლოდ ცალკემდგომ ესეიდ.

ვფიქრობ, რომ ირონიულ-პაროდული სტილი კარგი მიგნებაა თანამედროვე პოეტისათვის. ეს განსხვავებული მეთოდია მკითხველის დასაინტერესებლად. თუკი ამ სტილის ლექსი მაღალ დონეზეა შესრულებული, ის კონკურენციას გაუწევს ნებისმიერ ლირიკულ თუ სხვა სტილის ლექსებს. ჩემი აზრით, ირონია სულაც არ არის დონის განმსაზღვრელი, რადგან პოეზიაში, და არამარტო პოეზიაში, ზოგადად, ყველაფერში, მთავარი ხარისხია, ფორმაა - შენ რა კუთხით დაინახავ და გამხოატავ. ვთვლი, რომ ვახტანგ ჯავახიძის ირონიული ლექსები მაღალ ხარისხობრივ დონეს აკმაყოფილებს, ეს პოეზია ნამდვილად არის ახალი სიტყვა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

ვახტანგ ჯავახიძე ირჩევს ირონიულ-პაროდულ სტილს და არგებს რამდენიმე თემატიკას. მის შემოქმედებაში ამ სტილის ლექსები გვხვდება პატრიოტულ თემატიკაზე, სიყვარულზე, ლირიკულ გმირზე და ა.შ. ავტორისთვის ეს ერთგვარი მიგნებაა, რომელსაც იყენებს დღემდე, როგორც მძლავრ იარაღს, გამოხატვის ფორმას, მხატვრულ თავისებურებას, რითაც ქმნის სრულიად ახალ პოეზიას. ამჯერადაც აქცენტს გავაკეთებ „ვახტანგურზე“.

ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინება ვახტანგ ჯავახიძის ირონიულ-პაროდული სტილის ლექსებში არის თვითირონია. ეს, ერთის მხრივ, ღიმილისმომგვრელია, თუმცა აზრობრივადაც დატვირთული:

„ბევრი გადიდგვარიანდა,
მე ვერ გავდიდგვარიანდი,

*მე ვარ ჩემი პაპისპაპის
უარესი ვარიანტი.”*

1985წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:48]

აქვე საყოველთაო კლასიფიკაცია:

*„ერთნაირად არ ანათებს
დიდი მზე და პატარა მზე,
უკვდავები ტახტზე სხედან,
მოკვდავები - ქანდარაზე.”*

1979წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:33]

ირონიული ლექსებიდან ზოგი ვრცელია, საშუალოდ ოთხი-ხუთი სტროფისგან შემდგარი, ზოგიც ერთსტროფიანია, თუმცა აზრი მკაფიოდ და ნათლად არის გამოხატული:

*„- რა იცვლება ქორწინების შემდეგ?
როგორია კომერსანტის აზრი?
-ჩვენ ვყიდულობთ რაფაელის შედევრს,
აღმოჩნდება რაფაელის ასლი.”*

1976წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:23]

ერთსტროფიანი ლექსები ვახტანგ ჯავახიძის შემოქმედებაში რმავლად დაიძებნება. ზოგიერთი მათგანი არ არის ირონიულ-პაროდული სტილით დაწერილი, ან ირონია მსუბუქია. ზოგჯერ ავტორი გაზვიადების ხერხის მოშველიებით ახერხებს სათქმელის ლაკონურად გამოხატვას:

*„აქვს ფანტაზია ბავშვის,
ცაში დაეძებს სოროს,
სამსართულიან სახლში
მეცხრე სართულზე ცხოვრობს”*

1973წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:13]

ირონიული ლექსებიდან ერთ-ერთი ფართოდ ცნობილი ლექსია „ნაცნობი“, რომელიც ერთ უწყინარ ამბავს ყვება ადამიანზე, რომელიც, სავარაუდოდ, ამაყობდა, საკუთარი თავით, თუმცა ავტორის შეფასება ცოტა სხვანაირია, სხვა კუთხით დაგვანახებს ამას:

*„არაფრის თავი არ ჰქონდა,
უყვარდა მხოლოდ ბანქო და
ყველგან, ყოველთვის გაჰქონდა,
თავი, რომელიც არ ჰქონდა.“*

1973წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:16]

ერთ-ერთი მხატვრული თავისებურება, რომელსაც ვახტანგ ჯავახიძე ლექსებში იყენებს, არის სიტყვების გათამამება:

*„უსიკვდილოდ, უეჭველად, უსათუოდ, უთუოდ,
კართან უნდა უდარაჯოთ,
ღამე უნდა უთითო.
უხმაუროდ, უსიმღეროდ, უხმოდ , უსამანდაროდ,
სულში უნდა ჩაიძვრინოთ,
ხელის გულზე ატაროთ.“*

1978წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:29]

ავტორის არაორდინალურ მიგნებას მიეწერება, ასევე, საპირისპირო მნიშვნელობის, ანტონიმური მოვლენების სტანდარტულად წარმოდგენა თხრობისას. საქმე გვაქვს არასტანდარტულობის გასტანდარტულებასთან. ეს ხერხი აქამდე არ იყო გამოყენებული ქართულ პოეზიაში. ზოგან საპირისპირო მოვლენების აღწერისათვის ვ.ჯავახიძე იყენებს ქართულ ხალხურ ანდაზებს:

*„ყველაფერი შეიცვალა,
შენ ხარ ჩემი ბატონი,*

*კოკამ წყალი მოიტანა,
ძაღლმა იცნო პატრონი.
წვიმამ ასი სალამურის ტევრი აანიკნიკა,
ვაზაფხული მოიყვანა
ერთი მერცხლის ჭიკჭიკმა.”*

1978წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:30]

ვახტანგ ჯავახიძეს მსგავსი სტილის უამრავი ლექსი აქვს. ზოგი უბრალო მოვლენების დეტალიზებით ფორმულირდება. თუკი „საზოგადოდ, ცა ლურჯია და მდელი მწვანე, ვახტანგ ჯავახიძესთან ეს მახასიათებლები ფუნქციურად შებრუნებული სახითაა წარმოდგენილი. ამ ტიპის ლექსთაგან ურმაველესობა ერთ პერიოდშია დაწერილია:

*„ეს რა ხდება,
ღმერთო ჩემო, ცეცხლში ყრიან გვირგვინებს,
ჭირისუფალს ეცინება და ხუმარა ევითინებს.”*

1978წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:31]

გარდა ირონიისა, ზოგი ლექსი იუმორისტული ელფერიტაც არის დატვირთული. ამ ტიპის ლექსთაგან უმრავლესობა მცირე ზომისაა:

*„გრძელი თითებით მარცვლავდა თუთას,
თუთა ვთხოვე და წარბი ასწია,
მიჩვენა სამი,
ლამაზი თითის,
ულამაზესი კომბინაცია.”*

1978წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:32]

ერთ-ერთი საინტერესო ვარიაცია მსგავს სიტყვათა გართმვაა, რომლებიც სტიქონების ბოლოში ისე ჩამწკრივებულად, სრულიადაც არ ელის მკითხველი. ცხადია, აქ დარღვეულია კლასიკური რითმის ნიშადა იბადება რითმის ახალი ვარიაცია, თუმცა ეს

ახალი ფორმა, რომელსაც ვ.ჯავახიძე წარმოგვიდგენს, ფრიად საინტერესოა, რამეთუ მაღალი ინტელექტის პროდუქტია:

*„აჟღერტულდა, აჟღერტულდა ბ ე ლ უ რ ა ,
ნამოინყო ძველი ხასანბეგურა,
გაიხსენა ძველი ხასანბეგურა,
დაივიწყა ვალები და ბეგარა.
დაივიწყა ვალები და ბეგარა,
დაივიწყა ბანარი და ბავირი,
მოითხოვა ცხენი და უნავირი.
მოუყვანეს ცხენი და უნავირი,
დაპატიჟა რამდენიმე ნადირი.
დაპატიჟა რამდენიმე ნადირი,
ლომს და მელას გაუმართა ნადიმი...”*

1976წ.

[ვ.ჯავახიძე 2013:23]

ვახტანგ ჯავახიძის პოეზიაში ვხვდებით ისეთ ლექსსაც, სადაც ავტორის პოეტური აზროვნება თვალსაჩინოდ სცდება სტანდარტის მიჯნებს. მკითხველი მოელის ლოგიკურ სიტყვებს და ამ ლოგიკურობის მაგივრად, ხვდება არალოგიკური, საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები. კონტექსტი მოითხოვს ერთს, პოეტი წერს მეორეს:

*„რაც უნდა იჩაღიჩო,
რაც უნდა იბობოქრო,
მანც იელეებს თმებში თითო-ოროლა ვერცხლი;”*

[ვ.ჯავახიძე 2013:24]

დაკვირვებელი მკითხველი იმწამსვე მიხვდება, რომ რითმა გკარნახობს ოქროს და წარმოდგენილია ვერცხლი:

*„მოვლენ,
ვისაც კი შენი ამბავი შეუტყვია,
რომ მოგახლონ ერთად*

ათი ათასი ვარდი...”

1976.

[ვ.ჯავახიძე 2013:24]

აქ კი ტყვია და ვარდი ენაცვლება ერთმანეთს. ლექსს პოზიტიური ელფერი აქვს და მკითხველიც უცნაურ მოვლენას ხვდება. ამგვარი უკუგდება და სიტყვათა გადათამაშება, ცხალია, ვ.ჯავახიძის პოემის უახლეს ფორმებში შემავალი ერთ-ერთი ორიგინალური ელემენტია.

1976 წელს ვახტანგ ჯავახიძემ დაწერა ალუბიური ლექსი, რომელის სტრიქონებშიც ქეთევან წამებულის შეუდრეკელ გადანყვეტილებას იხსენებს. ლექსი კითხვა-პასუხის პრინციპით გადმოგვცემს შინაარსს. აქაც დარღვეულია ლოგიკური ხაზი და სადაც რითმული მოლოდინია პასუხისა „დიახ”, პასუხი ჩნდება „არა”:

„ - დიდსულოვნება ჩვენი დიდი და დიადია,

ოღონდ დასტური მოგვეც, დასტური სიტყვა!

-არა!

-რაც ქვეყნად გაბადია, და რაც არ გაბადია,

გიბოძებთ ყოველივე, ოღონდ ინებე!

-არა!”

[ვ.ჯავახიძე 2013:25]

ხოლო ბოლო სტრიქონებში ყველაფერი იცვლება, პირიქითაა:

„-მაშასადამე, რჩევამ ამოდ ჩაიარა,

აღარც მუდარამ გასჭრა, აღარც მუქარამ...

-დიალ!”

[ვ.ჯავახიძე 2013:25]

არც ისე მარტივია ქართული ენის სიტყვათა მარაგში მოძებნო ისეთი სიტყვები, რომლებშიც ხმოვნები ბუნებრივად არის გაგრძელებული და ეს სიტყვები ერთმანეთს ისე დაუკავშირო, რომ შექმენა არამართოს საინტერესო ვარიაციები, არამედ მუსიკალური პოეზიაც. ამ ლექსისთვის ავტორი ჯერ ირჩევს სიტყვებს, რომლებშიც ორი „ა” არის, შემდეგ კი ერთ-ერთ სახელს და გვარს - პაატა ცაავა:

*„აწყო პაატა ცაავამ ებანი:
„სათაბავოთა ვაბასებანი”,
ადიდა მარო, ადიდა საადი,
დახარჯა ცხრაასი კილოვატ-საათი.
რეესტრში ჩარიცხა უდროო დროები:
ქნანანელები, ვატერლოოები,
საკაშვილები, სააკაძეები,
ლაოკოონივით დათვლილი დღეები.”*

[ვ.ჯავახაძე 2013:69]

თუმცა, უკვე ვიცით, რომ ვახტანგ ჯავახაძე ლექსის ბოლოს სიურპრიზებს გვთავაზობს. ამ შემთხვევაშიც, ხმოვანი „ა” ხელოვნურად გრძელდება და წინამორბედი სტროფების მუსიკას აჰყოლია:

*„ვერ შევლის, შორსაა კუნძული ტაიტი,
ამშვიდებს ვეება ვეერის ტაატი.
უარყოფაა და უარყობაა და
ლოცავენ: გაამოს, გაამოს, პაატა!
პაატა ცაავა - ცააში წაავა!”*

[ვ.ჯავახაძე 2013:69]

პოეტთა მასა, ძირითადად, ტრაფარეტულ და მასიურ ლექსებს წერს. ვახტანგ ჯავახაძე, როგორც ჩანს, გამონაკლისია, რადგან მის პოეზიაში განსხვავებულ ად ერთობ უცნაურ მოვლენებთან გვაქვს საქმე. ზოგადად, გალაკტიონის გავლენებიდან გამოსვლა დღემდე უჭირს ქართულ პოეზიას და ეს გასაგებიცაა. რთულია მის სივრცეში იმოძრაო და თან ახალი სიტყვა თქვა. ვახტანგ ჯავახაძის შემთხვევაში არჩეულია ლექსწყობის სრულიად ახალი გზა, რომელიც ამსხვრევს გალაკტიონისეულ მარწუხებს თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

აქვია „უკუღმართი რითმები”, რომლის თავისებურებაც სათაურშივე ვლინდება. რითმები ერთმანეთს შებრუნებული სახით ხვდებიან:

„ვერ ვახლავართ გულადი და გოლიათი,

*მაინც უნდა გავიტანო ათი ვოლი.
რაკი აღარ იშოვება მუზარადი,
საკუთარი მიცავს მეორედი მუზა.
თუმცა აღარ მანებივრებს ზოლიაქო,
ზოგიერთმა მაინც ჩემი აქო ზოლი,
მე მყავს ჩემი ავთანდილის ტარიელი,
მე მყავს რამდენიმე ელიტარი.”*

20086.

[ვ.ჯავახიძე 2012:71]

ჯერ კიდევ 1984 წელს ვახტანგ ჯავახიძე წერს „კლასიკოსობანას“. ეს ფრაზების ერთგვარი თამაშია. ეს მეთოდი, ცენტონი, როგორც თავად ავტორი მიუთითებს ლექსს ეპიგრაფად, ლირიკული თამაშის ნაირსახეობაა, რომელშიც სხვადასხვა დროისა და ქვეყნის პოეტები (და არამართო პოეტები) მონაწილეობენ. „კლასიკოსობანაშიც“ ჩართულია ანდაზები, ქართველთა და უცხოელ პოეტთა და მწერალთა ციტატები და სხვა. მსგავსი რამ ჯერ არ დანერგულა ქართულ პოეზიაში და ვახტანგ ჯავახიძის ეს მცდელობა, როგორც წარმატებული ექსპერიმენტი ერთ-ერთი სიახლეთაგანია. გარდა შინაარსობრივი თვასლსაზრისისა, აქვეა საუცხოო ალიტერაციაც:

*„ აბა, კარვად დააკვირდით, ძმებო, სანატრელებო,
იცინიან პოეტები და დამტვრეულ ტელეფონს
თამაშობენ: პლუტონი და პლოტინი და პლატონი,
ატენი და ადენი და ათენი და ათონი.
შინდისი და შირვანი და შირაქი და შირაზი,
ნანვიმარი სილაუჯვარდე, ანუ ვარდი სილაში.
პოეზია - პოეზია, რენიე და შანიე,
სიყვარული აგვამალლებს: ივი ვარდობს, შენ ისე.”*

აქვეა მცხეთის გათხრებში აღმჩენილი წარწერის, პოეტის გვარის შემცველი სიტყვის მიმართების გათამაშებაც:

„- ჯავახ, ჩემო სიკოცხლო! –

კვლავ ვიხმობენ, ჯავახო,

მინდა გული დ არიალის კარებივით გავადო.”

ამავე ლექსში შევხვდებით ალიო მირცხულავას, ვაჟა-ფშაველას, გიორგი ლენინისა და გრიგოლ ორბელიანის პოეზიის გახსენებას:

„ჩრდილოზე ფეხს რომ დამადგამენ, ტანში გამაჭრიალებს,

თვალს ვარიდებ ფარდებს, შტორებს, დარაბებს და ვისოსებს,

ერთხელ კიდევ გამიღიმე, ღმერთი დედას ვიცოცხლებს.

გაზაფხულზე მენატრები, თოვლში მეიმედები,

ეს თოვლია თუ მიმინომ დააფეთა მტრედები?

გამავონე ეგ ხმა ტკბილი, დაჰკრა ვრძნობით დაირას,

ორთაჭალის ბაღში მნახე, - აი, რას ვთხოვ, აი, რას.”

[ვ.ჯავახაძე 2012:368]

აქვეა დოსტოევსკის, ედგარ პოს, მაიაკოვსკის და სხვათა ლექსების ჩართვაც.

გარდა ალიტერაციისა, აქაა სიტყვების სრულიად გამეორების ეფექტით მიღწეული შთაბეჭდილებაც, რომელიც ასოციაციურად თავად მოცემული სიტყვის სემანტიკურ მხარეს აღწერს, ანუ, შეიძლება ითქვას, რომ სიტყვების ტივტივია:

„ზოგიერთი ისე მიყვარს, ზოგი მიყვარს ნივთივით,

მტკვარზე - ტივი. ტივი. ტივი.

მტკვარზე ტივის ტივტივი.

... ქარი ქრის და ქარი ქრის და

ქარი ქრის და ქარი ქრის.”

[ვ.ჯავახაძე 2012:368-369]

მსგავსი სიტყვების ურთიერთშეთანხმებაა ლექსში „დაბზარული ფირფიტები”, რომელიც პეოეტმა 1977-2007 წლებში დაწერა. ლექსი საკმაოდ ვრცელია და მასში ბლომადაც მოიპოვება ზემოთაღნიშნული ფორმები:

„არც მთვარე ჩანს, არც ლამპარი, არც კოცონი ვიზვიზა,

და სიჩუმემ გადაიკის- კის-კის-კის-კის-კის-კისა.

და დუმილი ახარ-ხარ-ხარ- ხარ-ხარ-ხარ-ხარ-ხარ-ხარდა,

ხან მამალთან გათამამდა , ხან ძაღლთან და ხან ხართან.”

[ვ.ჯავახიძე 2012:377]

თვალშიმოსახვედრია რიცხვებით დანერვილი ლექსი „მ7 ღმ1”, რომელიც სხვა ლექსებთან შედარებით ნელა იკითხება, რადგან სიტყვების ამოსაკითხად საჭიროა შიგ ჩართული ციფრების სიტყვიერი გათვალისწინება. შეიძლება ითქვას, რომ ეს ლექსი ვახტანგ ჯავახიძის უცნაური და ორიგინალური პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია:

*„და9 ღმ1, გ100ნჯა შარბ 10 და თ 100,
მ20 ქულებს უსუ8 ბრძ0 8100-10,
და 100ა პარნ100ს იშოვი 10 და 100,
და 1008მრა სამ4ს შ2 10610.
მ2დებით გ10შა ამბ20 და ჳ2,
გამ2ცხა 3წე წი8-პანა7,
მაგ2ყა მხუ8ლოე 8ლის კ2დ2
და მწვე8ლოებს მ20ლდა დამ9ლი და მ7.”*

[ვ.ჯავახიძე 2012:421]

ვახტანგ ჯავახიძეს მაქვემდებარებელ კავშირთა ტავტოლოგია მსტვრულ თავისებურებად აქვს წარმოდგენილი:

*„როგორც ვიცით,
როგორც იცით, ანდა როგორც იციან,
როგორც ხშირად მიგვანიშნებს მკაცრი ინტუიცია;
როგორც აღრეც მოგახსენეთ,
როგორც ბრძენი გვასწავლის,
როგორც კარი გვიდასტურებს სამოთხის და აღსავლის;
როგორც გვირჩევს შედარება ძველისა და ახლისა,
როგორც ზემოთ აღვნიშნეთ და
როგორც ქვემოთ აღვნიშნავთ.”*

1981წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:36]

შეთამაშების, ანტონიმური ელფერის სიტყვების მოძიებისა და დაკონკრეტების მსდელლობები, აზრობრივად გამართულ და მრავალწახნაგოვან წინადადებებს გვაძლევს:

*„მწვანე(არა, ხაკისფერი) ტოტი (არა, ტოტემი)
ილო (ენყო, როგორც კერპი(არა, როგორც ტოტემი).
შემობრძანდა (შემოიჭრა) ბალში (ტრაგედიაში)
ქალი (არა, დედაკაცი, უფრო ზუსტად - დიაცი).”*

19816.

[ვ.ჯავახაძე 2012:37]

ერთ-ერთი საინტერესო ნიუანსი მის პოეზიაში არის გრამატიკული ტერმინოლოგიით მეტყველება, სადაც გრამატიკული ელემენტი, განზოგადებულია და საკუთარ თავს ეძებს და პოულობს დიდ სამყაროში, ბევრი ქვეყნის იქით. ამ ფორმებს ავტორი მკვეთრად გამოვლენილ ინდივიდუალისტურ სტილამდე კიდევ ერთხელ მიჰყავს. ერთ-ერთია „რომ“ კავშირის გადათამაშება მნიშვნელობათა ასპექტში:

*„რომის წინ მძიმე ინერება... არ ინერება
ყოველთვის მძიმე რომის წინ და ხანდახან მძიმე
რომის შემდეგაც ინერება... ხოლო რომის წინ
ძველი ათენი არსებობდა...
... აღარ მიდის ყველა გზა რომში!”*

19836.

[ვ.ჯავახაძე 2012:43]

აქვე:

*„ვერა, ვერ გავცვლი ბრუნვას ბრუნვაში,
შეუვალია შვიდი ნიშანი.”*

20126.

[ვ.ჯავახაძე 2012:345]

ასევე, საინტერესოა „და“ კავშირის გამოყენების შემთხვევა. განსაკუთრებით ბოლოდროინდელ პოეზიაში, ვახტანგ ჯავახაძე აქტიურად გამოიყენებს მას, თუმცა არა სტანდარტული დანიშნულებისამებრ, არამედ ზედმეტ ელემენტად ლექსში, რომელიც

თავისებურ ელფერს სძენს სათქმელს... მე ერთი ლექსი სრულიად და კავშირებით მაქვს შედგენილი. ფორმაა ჩვეულებრივი. ახალი მუსიკაა. სიახლე რომ იყოს. და გრამატიკული ფორმები შეგნებულად დარღვეული. ” [ინტერვიუდან] გარდა უბრალოდ ახალი სტილური ფუნქციისა, აქ მუსიკაც იბადება. ეს არის მუსიკა პოეზიაში. ვახტანგ ჯავახაძის ეს ლექსი კარგი მაგალითია ერთობ მუსიკალური ლექსისა, რომელიც რიტმულ მელოდიას გამოსცემს და აკუსტიკურ-ფონეტიკური თვალსაზრისით მკვეთრად გამოვლინდება:

*„ატმებთან და ნუშებთან და
წყაროსთან და ნაკადულთან -
გათენდა და გაბრწყინდა და
გამწვანდა და გაზაფხულდა.”*

1973წ.

[ვ.ჯავახაძე 2012:13]

ზოგადად, პოეზიაში ხშირია შემთხვევა, როცა უმარტივეს გრამატიკულ წესებს ავტორები შეგნებულად არღვევენ. ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზი აქვს. პასუხი ერთია, რომ ეს პოეტებს განცდის გასაძლიერებლად და ლექსის მოდერნიზაციისთვის სჭირდებათ. ზოგმა შეიძლება რითმის გამართვისთვისაც გამოიყენოს. გრამატიკული წესების დარღვევის ფაქტებს XX საუკუნის ქართველ პოეტებთან საკმაო რაოდენობით ვხვდებით, მათ შორის გალაკტიონთან. იგი ლექსში „კარალეთის დღეები” , იყენებს შემდეგ ფრაზას „უცხო სამოთხეები”, მაშინ, როდესაც „საზოგადოდ, სამოთხეს მრავლობითი რიცხვი არ გააჩნია. ვახტანგ ჯავახაძის შემთხვევაში , შეიმჩნევა საკუთარ სახელთა მრავლობითი რიცხვი, რომელიც გრამატიკულად შეცდომაა, თუმცა პოეტური თვალსაზრისით საკმაოდ მიმზიდველი აღმოჩნდა: „ჩემს ქუჩაზე დადიან მხოლოდ მარიამები.” 1997წ. [ვ.ჯავახაძე 2012:37] ასევე, ვ.ჯავახაძე იყენებს შემდეგ ფორმებს: „აკაკიები”, „ვაჟაები”, „ილიაები”... ასევე: „ვინები” „ ისინები” და „ივინივე ივინები”.

ერთ-ერთი ახალი და საინტერესო ფორმაა ნეოლოგიზმებისა და უცხო სიტყვების გამოყენება, უარგონული მეტყველება, რომელსაც სხვა თანამედროვე პოეტების მეტყველებაშიც შევხვდებით, თუმცა, ასეთი ძლიერი ტალღით ნაკლებად. ინტერვიუს

დროს ვახტანგ ჯავახიძეს ვკითხე, თუ რატომ აირჩია ასეთი მეტყველება ლექსისთვის: „ 50-იან წლებში გამოვიდა ქართული ენის ლექსიკონის 8 ტომი, არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით. ახლა გამოდის ისევ რვატომეული. ისევ დაიწყო.ჯერ გამოსულია 3 ტომი. მესამე ტომი სამჯერ მეტია, ვიდრე მაშინდელი პირველი ტომი. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ენის ლექსიკა გამდიდრდა. აქ შევიდა ნეოლოგიზმები, არქაიზმები, კუთხური გამოთქმები, უარგონი, რომელიც აკრძალულივით იყო. რა თქმა უნდა, ამათ გამოყენებას პოეზიაში მივესალმები. თანამედროვე პოეტს სიტყვის დიდი მარაგი აქვს. ენა გამდიდრდა...”

*„ქუთაისი მამღვრევს, როგორც სტიქია,
ქუთაისი - ჩემი ნარკოტიკა,
სადაც მიდის ალი-კვალი „არგოსი”,
იქ მამშვიდებს ერთადერთი ნარკოზი.
მედეა და არა - ანასტასია -
მანანავენს, როგორც ანესთეზია.
რეფრენები მესმის კაი-კაები,
ღვინოსავით მეკიდება კაიფი,
და თუ აყალ-მაყალები ავტეხო,
მაპატიეთ, არგო-ნარკო-ნავტებო!”*

20046.

[ვ.ჯავახიძე 2012:76]

2011 წელს დაწერილ ლექსში, სადაც ვახტანგ ჯავახიძე თანამედროვე ტექნოლოგიების უარყოფით მხარეებს უსვამს ხაზს, გამოყენებულია უარგონული მეტყველება: „ასწორებს”, „ეჩალიჩება”. ნეოლოგიზმები: „საიტი”, „ემესიჯება”, „ინტერნეტი” და „განგსტერი”.

მკითხველთა და მწერალთა ერთი კატეგორიისთვის მსგავსი მეტყველება პოეზიაში მიუღებელია. მათი პოზიცია გამყარებულია არგუმენტით, რომ პოეზია ადამიანისთვის სიმშვიდისა და მშვენიერების მომტანი უნდა იყოს და დაუშვებელია ისეთი სიტყვების გამოყენება, რომლებიც ლექსში დაძაბულობასა და სიუხემეს შეიმოტანენ. მკითხველთა

და მწერალთა მეორე კატეგორია კი თვლის, რომ ვულგარიზმების, უარგონებისა და ნეოლოგიზმების შემოტანა პოეზიაში, დასაშვები და სასურველიცაა, რათა ასე წარმოჩინდეს ქართული ენის სიტყვათა დიდი მარაგი, ცნებათა მრავალფეროვნება და ეს ყველაფერი გამოყენებულ იქნეს განცდის გასაძლიერებლად, რაც საბოლოო ჯამში, მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენადაა საჭირო. როგორც ჩანს, მკითხველთა და მწერალთა მეორე კატეგორიას მიეკუთვნება პოეტი ვ.ჯავახიძე.

მინდა ამ თავში შევეხო ერთ-ერთ გახმაურებულ ლექსს „ქუთაისის მატარებელი“. ეს ლექსი, რომელიც ურითმო ლექსთა ჯგუფს მიეკუთვნება, რომელშიც რეფრენის სახით ავტორი რამდენჯერმე იმეორებს ერთსა და იმავეს, საზოგადოების დაბნევის მიზეზი გახდა. გასაგებია, რომ ამ ლექსში ერთი მარტივი აზრი, პოეტის მშობლიური ქალაქისკენ, ქუთაისისკენ სწრაფვა ღვეს. განცდის გაძლიერება ავტორს სწორედ გამეორების ეფექტით გამოსდის. ეს ახალი ფორმა, რომელიც მოსასმენადაც ცოტა უცნაური და აღსაქმელადაც რთულია, ვ.ჯავახიძის პოსტმოდერნისტული ლექსის ნაწილია, რომელშიც ავტორი სათქმელთან ერთად პოეტური სიტყვის თავისუფლებას გამოხატავს.

ვახტანგ ჯავახიძის უცნაურ პოეზიაში თითქოს თავის გასასამართლებელ საბუთად ამოდის ერთი ლექსი, რომელშიც ავტორი საკუთარ თავს ამხელს ლექსის საწინააღმდეგო მოვლენის ჩამოყალიბებაში:

*„ლექსი აღარ მენერება, მომენატრა ანტილექსი:
...აქეთ იღვა ამირანი,
იქით იღვა აქილევსი,
და მათ შორის მთვარესავით ამოვიდა ანტილექსი.“*

1990წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:51]

ვახტანგ ჯავახიძისათვის არც საკუთარი თავის გალექსვა არის შეუძლებელი. როცა იგი თავის ცხოვრებას შესაჯამებლად უფიქრდება, ასეთ სტრიქონსაც ჰბადებს:

*„წუთისოფლის ნახევარი კითხვის ნიშნებს დავახარჯე:
აღაგ-აღაგ ვახტანგი ვარ, აღაგ-აღაგ ჯავახიძე.“*

1993წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:53]

ვახტანგ ჯავახიძის შემოქმედება დატვირთულია მრავალფეროვანი მხატვრული შედარებებით: „სახურავებზე ხმაურობს წვიმა: თითქოს ბავშვები გაყარეს გარეთ. 1961წ. [ვ.ჯავახიძე 2012:88] „წვიმის ტოტებში ქალაქი მოჩანს, როგორც ძალიან დიდი სოფელი.” 1961წ. [ვ.ჯავახიძე 2012:88] , „მძიმე ანძები დაბლა დახრილან, ხელისგულივით ცაა ღარიბი.” 1961წ. [ვ.ჯავახიძე 2012:89]

როგორც ვახტანგ ჯავახიძე აღნიშნავს, გრამატიკული წესების სპეციალურად დარღვევა, ლექსს უფრო საინტერესოს ხდის. მას სურს ამ ფორმების დამკვიდრებით თქვას, რომ სთქმელის უკეთ გადმოსაცემად, პოეტს ლეგიტიმური უფლება აქვს წესები დაარღვიოს. ეს, ალბათ, მხოლოდ ხელოვნებას ეპატიება. ლექსში „იყიდება საქართველო” სწორედაც კალკირება აძლევს სათქმელს სიზუსტესა და ექსპრესიულობას:

*„საქართველო , დებო და
ძმებო , მალავს ხვაშიადს,
წინათ - იყიდებოდა
ახლა - გაყიდვაშია!”*

2008წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:354]

თუმცა, ამ შემთხვევაში ერთგვარ ორაზროვნებასთანაც გვაქვს საქმე. ამ ერთი სტროფის პირველ ორ სტრიქონში, განხილული და წამოწყებულია მომღვერო სტრიქონებში ნათქვამი აზრი, თუმცა ის, რომ საქართველო წინათ იყიდებოდა და ახლა გაყიდვაშია, გულისხმობს ავტორის ორ სათქმელს. პირველი ის, რომ „სამწუხაროდ, საქართველო , ისევე როგორც უწინ, ახლაც იყიდება, და ავტორი ამ ფაქტის გამო სწუხს და მეორე , ის, რომ კალკირებით გადმოცემული საქართველოს გაყიდვის აზრი, გრამატიკული წესების დარღვევითაა წარმოდგენილი, ესე იგი, ავტორი, შესაძლოა, სწუხდეს ენის გადაგვარების გამო, თუმცა ეს ნაკლებად შეეხებოდეს პოეზიის ენის მოდერნიზებას. გამოდის, რომ ორ ურთიერთსაპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე.

გურამ ასათიანი მიუთითებს: „აქ მიღწეული სისადავე ერთდროულად ზღაპრისა და პროზის უბრალოებით საზრდოობს. უბრალოდ, უხმაუროდ, გედმეტი გართულებების გარეშე მიღწეულია ის, რასაც პოეზიაში უკიდურესი ნოვაციების მომხრენი თხოულობენ.“
[ვ.ჯავახიძე 2012:4]

მურმან ლებანიძეს რომ დავესესხო, ვახტანგ ჯავახიძის პოეზია პოეზიაა აზრისა და განსჯის, ინტელექტით, სიბრძნითა და სულგრძელობით ნაკარნახევი:

„წუთისოფელი ისეა, -
როგორც ილია ფიქრობდა,
როგორც ფიქრობდა დანტე და
როგორც ფიქრობდა დიდრო და
...როგორც ნატრობდა სპარტაკი,
როგორც ხატავდა ვოია,
როგორც ამირანს ეგონა
და როგორც პელეს ჰგონია“

1980წ.

[ვ.ჯავახიძე 2012:35]

როგორც ჩანს, ირონიულ-პაროდული სტილი ავტორის უკომპრომისო გადაწყვეტილებაა. დღემდე იგი ამ სტილის ერთგულია. ცდილობს გაახლოს მხატვრული ფორმები და შემოქმედება დატვირთოს ახალი შინაარსებით. თუმცა, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მას ამ სტილზეც აქვს დანერგილი ლექსი, რომელის სათაურიც „ირონიულ-პაროდულია“ და რომელიც აკონკრეტეს მიზეზს, თუ რატომ აირჩია ეს სტილი:

„უკვდავების გარანტია:
მაჟორს მოსდევს მინორი!
პაროდია პარადია,
ირონია მინორი.
...ეს სიცილი გადაარჩენს,
ჩვენს ცოდვიან გვარ-ჯილაგს,
თუკი სილამაზემაც

ველარ გადაგვარჩინა.”

19876.

[ვ.ჯავახაძე 2012:241]

რაც შეეხება ფიგურულ ლექსებს, ეს არის სრულიად ახალი ფორმა ქართული ლიტერატურისათვის. ვახტანგ ჯავახაძემდე იგი, პრაქტიკულად, არავის გამოუყენებია. ესეც მოდერნიზაციისთვის არის გაკეთებული. ფიგურული ლექსების ფორმები და შინაარსები თანხვედრაშია ერთმანეთთან. საფუძვლიანი ეჭვი მქონდა, რომ ვახტანგ ჯავახაძეს მხატვრობისკენ ჰქონდა მიდრეკილება, რაც ინტერვიუში მან დაადასტურა: „ მე ვიდრე ლექსებს დავწერდი, ვხატავდი , პატარა რომ ვიყავი. მაშინ პიონერთა სასახლეში სამხატვრო წრე რომ ყოფილიყო და მე იქ მივსულიყავი, შეიძლებოდა ჩემგან მხატვარი გამოსულიყო, მაგრამ იქ პოეტების წრე იყო. ამიტომ მერე დავინწყე ლექსებსი წერა. არ ვიცოდი, როგორ იქნებოდა.“ ლექსს, რომელსაც საფეხური ჰქვია, ვიზუალურად კიბეს ჰგავს, ლექსს, რომელსაც შადრევანი ჰქვია -შადრევანს, კატასტროფა - ამოტრიალებულ მატარებელს, რაკეტა -რაკეტას და ა.შ.

საფეხურები

„ამ

სტრი-

ქონებზე -

როგოც კიბის

სა-ფე-ხუ-რებ-ზე -

ისე ჩამოდის ახლა

შენი თვალი კეთილი,

ფრთხილად! აქ მერვე

სა-ფე-ხუ-რი ჩა-ტე-ხი-ლი-ა!

დაგ-მო-ა-ბი-ჯე , ნუ-გე-ში-ნი-ა!

ძირს გელოდები, ვით ამ ლექსის ბოლოწერილი.”

[ვ.ჯავახაძე 2012:414]

კიდევ უფრო უცნაურობა ნახატი-პოლინდრომებია, რომლებიც კონკრეტულ ფრაზებს განასახიერებენ. ეს კიდევ უფრო ნოვატორული ნაბიჯია ქართულ პოეზიაში, იმდენად უცნაური, რომ დიდი დრო დამჭირდა გავრკვეულიყავი, თუ რაში იყო საქმე და რაში დაწვრილმანებაც, თავისთავად, მომავლის საქმე უფროა.

„ელეგია: ყელსაბაში” იამპრესიონისტული ნაკადისგან შედგება. მისი ნივთებით მეტყველება შთაბეჭდილების გადმოცემის ხერხით არის წარმოდგენილი. „ჩვენ ყოველთვის ვიყავით ნერვის, გრძნობის და აღქმის შემოქმედნი. ჩვენი რეაქცია იყო მყისიერი, ემოციური, ყურადსაღები. ჩვენ ვიყავით, ასევე, საუკეთესო დამფასებლები შემუშრეველი შეგრძნებებისა - ყოველთვის შეგვეძლო აღმოგვეჩინა უფაქიზესი და უღრმესი სული საგნებისა, მათგან გამომდინარე მსუბუქი სურნელი - წერდა იმპრესიონიზმის მკვლევარი რიჰარდ გამანი(236).” [თ.პაიჭაძე 2018:260] „იმპრესიონისტული რაკურსი ფრიად ორიგინალურია. ამასთან ერთად, გარკვეულწილად, ანტაგონისტური, უნიფიცირებული და მხატვრულად პროდუცირებული - ასეთად წარმოაჩენდნენ ამ მხატვრულ ემთოდებსა და მის ანტურაუს იმპრესიონისტები საზოგადოების წინაშე და ფორმების ძიების პროცესში ცდილობდნენ, საკუთარი განსხვავებულობის და ინდივიდუალიზმისათვის განსაკუთრებით გაესვათ ხაზი.” [თ.პაიჭაძე 2018:260]

ლექსს ეპიგრაფად აქვს მურმან ლებანიძის სიტყვები „ვეჩვევი შენობას”, რომელიც შინაარსობრივად ლექსთან თანხვედრაშია. რაც ლექსში ხდება, სწორედ შეჩვევის პროცესია. ავტორი ერთი გარემოებიდან მეორეში გადასვლის პროცესს აღწერს და ამ პროცესში შინაგანი განწყობის, გრძნობებისა და მდგომარეობის აღწერას ცდილობს.

სწორედ იმპრესიონიზმის მძლავრ ნაკადს ვხედავ ვ.ჯავახაძის ბოლო პერიოდის ლიტერატურულ ძეგლში. საგნების მეტყველება აქ უპირველესია. ყოველდღიურობიდან გამოდის პოეზია. პოეტის შთაბეჭდილებები გულწრფელად იწერება ლექსის სახით და , კითხვაზე, რამ მიიზიდა მკითხველი, ავტორი პასუხობს, რომ ამის მიზეზი, გულწრფელობა უნდა იყოს. გამოხატვის იმპრესიონისტულ ვერსიას ლექსის პირველი სტრიქონებშივე ვხვდებით: „დაცარიელდა კაბა, საწოლი, სარკე, სათვალე, ქოლგა - შენები” [ვ.ჯავახაძე

2016:8] თითოეულ ნივთში ჩადებული საკუთარი ემოცია, უკიდურესად ლაკონურად გამოხატულ აზრებს დიდ შინაარსებს სძენს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ლექსი მეუღლის ხსოვნას ეძღვნება. საკუთრივ მეუღლის კულტის მხატვრულად განზოგადებული სახე, მთელ ლექსს ლაიტმოტივად გასდევთ, თუმცა არის დეტალები რომელთა ჩასაწვდომადაც ავტორი მოვიშველიე. აქ ყელსაბამი, როგორც სიმბოლო, წარმოდგენილია ლექსის ნივთიერი გმირი, რომელიც ხელშესახებია ავტორისთვის და რომელსაც იყენებს მოგონებების მოსაკრებად და გამოსახატად. „ყველაზე მეტად ყელსაბამს უჭირს, მაგრამ მე ველარ შევეშველები“ [ვ.ჯავახაძე 2016:8] „ ყელსაბამს აქვს ხრახნიანი შეაკრავი. თითონ ჩემი მეუღლე ვერ იკეთებდა, მე მთხოვდა გამიკეთო და გავუკეთებდი. ამას უკავშირდება ეს სტრიქონი.“

იმპრესიონისტული კვალი ზოგან პირდაპირაა გაშითრული : „ყველა ნივთი და ყველა საგანი - შენ მიიზიდე, შენ მიითვისე.“ [ვ.ჯავახაძე 2016:8] იმ განცდის გადმოსაცემად, რასაც ადამიანის არყოფა ჰქვია, ვახტანგ ჯავახაძე შემდეგ სტრიქონებს აყალიბებს: „გირეკავენ და სახლში არა ხარ, და არამართო სახლში არა ხარ.“ [ვ.ჯავახაძე 2016:8] ეს სტრიქონი რეფრენის სახით მეორდება რამდენჯერმე და გამეორების ეფექტით განცდას აძლიერებს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ელემენტია, რომელმაც ლექსს შესძინა მკვეთრი ინდივიდუალიზმი. 2018 წელს, ვ.ჯავახაძე აქვეყნებს ლექსს, რომელიც სწორედ ყელსაბამის სარეფრენო ფრაზით მთავრდება:

დამირეკეს და დავწერე

„ თუმცა არ მაკლა ფულები

და ბევრჯერ ვიყავ მთვრალი,

არცერთი მიამართულებით

არ გამეცეცია თვალი.

ეს იყო დიდი თამაში,

რომელსაც აკლდა თასი,

ჩემი ყველაზე ლამაზი

სახლში მელოდა მაშინ.

დღეს თითქოს პიტიახში ვარ,

თბილისის პიტიახში:
მირეკავენ და სახლში ვარ
და არამართო სახლში.”

[ვ.ჯავახიძე 23. ლიტერატურული გაზეტი]

დავინტერესდი, რა იყო ამ ლექსის დაწერის მიზეზი: „დამირეკეს უნივერსიტეტიდან. მთხოვეს შეხვედრა. ამაზე დავწერე ის ლექსი და გამოვიყენე ამის ასოციაცია. ეს ლექსიც წავიკითხე იქ.” [ინტერვიუდან] მიუხედავად იმისა, რომ ლექსი უდაოდ ლირიკულია, წინა პლანზე საგნები და ადამიანები, მესამე პირის წარმომადგენლები არიან და არა უშუალოდ ავტორი, ლირიკული მე. ლირიკული მეს განცდები ერწყმის საგნებსა და ადამიანებს და საბოლოო ჯამში ლირიკულ ასპექტს ქმნიან, რომელიც მთავარი მამოძრავებელი ღერძი პირველი პირი სულად არ არის:

„ბედმა ქვრივობა არ გაღირსა და შენი ვარსკვლავი აღარ აანთო,
გადაგავიწყდა ტკბილი სიტყვა და სიტყვები, ჩემო ოთარაანთო.”

[ვ.ჯავახიძე 2016:12]

ლევან ბრეგაძე „ელეგის” პარალელად გურამ რჩეულიშვილის „სიკვდილი მთებში” ასახელებს, უფრო სწორად კი, ეთანხმება ამ პარალელს, თუმცა მიუთითებს, რომ აქ საერთო მხოლოდ გარდაცვლილ ადამიანთან დაკავშირებული ნივთებით გამოწვეული იმპრესიონისტულად გამოხატული განცდებია და არა მასშტაბები და განცდის სიღრმე. დავეთანხმები და დავამატებ, რომ „სიკვდილი მთებში” ნაწილობრივ ეხმაურება „ელეგიას”, ნაწარმოების მხოლოდ უკანასკნელი სიუჟეტი ამხელს ნივთიერების მეტყველებასა და საკუთრივ მეუღლის კულტის დეფინიციას. საზოგადოდ, საგნები, მეტ გასაქანს აძლევს ფანტაზიას, რომ გრძნობა გამოიხატოს. ნაირა გელაშვილი „ჩვენება ანაბეჭდებში” ამბობს, რომ საგნებზე ჩვენი ანაბეჭდებია და რომ ისინი უნდა გავაცოცხლოთ. ეს მისტიური კოდები, რომლებითაც განსაკუთრებით დაინტერესებულან პოსტმოდერნი მწერლები, ნაკარნახევი უნდა იყოს აზრის გამარტივებითა და ფილოსოფიით. ეს ერთგვარი სიმბოლიზმიცაა, ანუ მიმდინარეობის ფარგლებში ერთიანდება რამდენიმე მიმართულება, რომელიც ახალი ლიტერატურული პროდუქტის შედეგს განაპირობებს. „ის საგნები, ყოველდღიური, შეიძლება თავის დროზე ჩვენს

ყურადღებას მოკლებულნი, არაფრისმთქმელნი უეცრად უზარმაზარ დატვირთვას იძენენ. ისინი ისე უდრტვინველად სუფევენ, თითქოს მათი პატრონი აქვე იყოს, მეორე ოთახში გასული. ეს შეუსაბამობა კი მართლაც საშინლად მძიმე სასტანია, რადგან ცხოვრების ჩვეული რიტმია დარღვეული, დარღვეულია უკვე სამუდამოდ. იგივე ემართება ადამიანს ბინაზე, სახლზე, სადაც ან უკვე გარდაცვლილთან ერთად ცხოვრობდა, მისთვის ეს გარდაცვალება ბევრად უფრო მძიმე ასატანია, ვიდრე თუნდაც ძალიან მოსიყვარულე სხვა ადამიანებისთვის, რადგან სახლიც ხომ ამ საგანთა ერთობლიობაა, დაობლებული სივრცე, სადაც თვალი ნაცნობ მოძრაობებს ისაკლისებს (დოდო ყვავილაშვილი).” „აქამდე არასოდეს მიფიქრია, ბატონო ლევან, - რატომ მგვრის ესეიდან ღრმა სევდას 23 წლის წინ გარდაცვლილი დედის ხელჯობის ყოველი დანახვა (ივანე აფრიდონიძე). “მეც ხშირად ვფიქრობ მაგაზე. როცა ბებიჩემის მართოდ დატოვებულ ხელჯობს ვუყურებ, ვხვდები რატომ მეტირება. საგნები გვეცოდება, პატრონის გარეშე დარჩენილი... მათ არ შეუძლიათ ტირილი, ვერ ყვირიან, ვერ ითხოვენ შევლას... ამიტომაც ხშირად გარდაცვლილზე მეტად მათი მართოდ დარჩენილი ძაღლები რომ გვეცოდება” (ნატალი ბარვენაშვილი); [ვ. ბრეგაძე 22. ლიტერატურული წერილი „სხვანაირი ლექსი”]

აქ საგნები პერსონაჟების როლს ასრულებენ. ურთიერთობები, დამოკიდებულებები და განცდები საგნების ამეტყველებით გადმოიცემა მინიპოემაში. ზვიად კვარაცხელია, გია არგანაშვილი და ლექსო დორეული, ეს სამი ავტორი ამ ლექსით გამოწვეულ ინტერესზე საუბრობენ. სოციალურ ქსელში ლექსის გამოჩენისთანავე აღძრულმა ინტერესმა, კიდევ უფრო პოპულარული გახადა პოეტური ტექსტი. შეიძლება ითქვას, რომ პოეტის სახელოსნოში აღმოჩენილი მთელი რიგი მოდერნიზაცია, ამ შთაბეჭდილებების გამოწვევის რეალისტური პასუხია.

ავტორთან სტუმრობა საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. გარდა შეკითხვებზე საინტერესო პასუხებისა, მე მოვიპოვე ექსკლუზიური მასალა - ჩამატებული სტრიქონები „ელეგია: ყელსაბამში”, რომელიც ჯერ არსად დაბეჭდილა. ვახტანგ ჯავახიძემ რამდენიმე სტრიქონს ამატებს ლექსს და, ფაქტიურად, მეორე გამოცემაში ლექსი განსხვავებული ვარიანტით იქნება წარმოდგენილი. სტილი შენარჩუნებულია, თავს აქაც იჩენენ ნეოლოგიზმები. ზოგ ადგილას ვხვდებით სიტყვების თამაშს, რომელიც ქმნის ნაცნობ

მელოდიურობას, რომელიც არ აკლია ლექსის სხვა ნაწილებსაც. აქვე ხაზი ესმება მეუღლის კულტის გააქტიურებასაც. მინიპოემაში შესული ცვლილებები, კერძოდ, ჩამატებული სტრიქონებია:

*„- ქება ცოლისა აუგიაო! - მესმის მურმანის ავე არია
და ამ სალონის დემონები და ანგელოზები აქვე არიან.
-ქება ცოლისა აუგიაო! - მაგრამ შენ შენი აბესალომი
არ გაგანზილებს კაფე-სალონის ახირებულთა აბეზარობით.
რას დააკლებენ ბოლოს და ბოლოს აუგიანს და აუგიანებს,
თუ რამდენიმე ნათესავი და ნაცნობი სალამს დაუგვიანებს?!
მე კი კუნძული აღმოვაჩინე და ჩემთან ერთად ცხოვრობს მეზობლად,
დაქვრივებული მამაკაცების უმცირესობის უმრავლესობა.
მეპატიება, მაგრამ ვერა და ვერ შევუსრულე თხოვნა ქალიშვილს,
რადგან წივნებმა არ გამიშვეს და, რაც თავარია, შენ არ გამიშვი.
დამესიზმრა და მალე გათენდა, რაკი გათენდა უკვე აქ აღარ
დაგვედგომება, თუმცა, როდესაც სახლში არა ხარ, მაინც აქა ხარ
და ვინაიდან ამოიწურა მინიმალური ჩვენი შანსები,
ორკარიან და ოროთახიან დამალობანას გეთამაშები.
მოდი, ერთხელაც მიპასუხე და ჩამონათვალით გამინახევრე,
სად მოგუპოვო ჩემი ნამუსის უღვაშს ახალი პარიკმახერი?“*

გარდა ამ საკმაოდ ვრცელი ლირიკული ნაკადისა, ლექსში ჩასამატებლად გამზადებული შემდეგი ორი სტრიქონი, რომელიც, შეიძლება თქვას, აჯამებს ვ.ჯავახიძის პოზიციას მეუღლის მიმართ, იგი თითქოს ამ ყველაფრისთვის თავის გასასამართლებელ საბუთს ამაოდ დაეძებს, ეს მონაკვეთი კი მკითხველს ეხმარება ლექსში გაშლილი ურთიერთობის გაანალიზებაში:

*„ისიც მასწავლე, უკანასკნელი განკითხვისათვის როცა წარვდგები,
რით გავამართლო ჩემი უშენოდ გატარებული წელიწადები?“*

უჩვეულოდ გამოხატული ურთიერთობების მთელი პლანი ბიბლიური პასაჟით გვირგვინდება. ლექსის ბოლოში დართული სიუჟეტი, ცისფერი მტრედის ისტორია თავის სათქმელს ამბობს.

„გასრულდა ესე ელეგია და ტრიალი ცალოფა რითმის ჯარასი,
და, როცა ბოლო წერტილი დავსვი, მოულოდნელად შენს ფანჯარაში
ცისფერი მტრედი გამომეცხადა, ლულუნა მარცვლებს ანამცეცაბდა
და ამ სტრიქონებს ისე დახედა, თითქოს საკუთარ სახელს ეძებდა.

...

ჩამოიმარცვლა წელიწადების კრიალოსანი ანუ ქარასტა,
ეს ნახევარი საუკუნეა, მტრედი არ მახსოვს ამ ფანჯარასთან,
დღეს კი ცა უფრო მტრედისფერია და ჩიორების კოსმოდრომიდან
კვლავ - არა მარტო მოფრინდება და კვლავ - არა მარტო ამბავს მომიტანს.”

[ვ.ჯავახიძე 2016:20]

რა თქმა უნდა, საინტერესოა, ეს პასაჟი პოეტის ფანტაზიის ნაყოფია თუ რეალური ამბავი უდევს საფუძვლად: „ნამდვილი ამბავია. ნანა ვარდაიცივალა მამისში. წერა დავინწყე ივნისში, ფანჯარასთან ვიდექი და ვწერდი მაგ ლექსს. უცებ მტრედი დაჯდა ფანჯარაზე. იჯდა. გავხედე. იჯდა. ვავრძელებ წერას. გავხედე, ისევ იჯდა. ეს მტრედი იყო ტყვიისფერი, როგორებიცაა ცნობილი მტრედები.გამორჩეული ფერის, შავი ან თეთრი არ იყო. არ გაფრინდა. დიდი ხნის მერე გაფრინდა და პირდაპირ ხეზე დაჯდა. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ განმეორდა ამ მტრედის ამბავი. ოღონდ მერე სარეცხის თოკზე იჯდა და მე ჩავთვალე, რომ ნანას სულია. კი, უცნაური დამთხვევაა.”

ლევან ბრეგაძე თავის სტატიაში საინტერესოდ საუბრობს „ფაქტების ლიტერატურასა“ და პოსტმოდერნიზმის მიმართებაზე ვ.ჯავახიძის პოეზიასთან: „აქ შეიძლება გავგახსენდეს რამდენიმე ლიტერატურული ცნება – “სინამდვილის პოეზია”, “დოკუმენტური პოეზია”, “ფაქტის ლიტერატურა”, რომლებიც ასი წლის წინ, მე-20 საუკუნის დამდეგს გაჩნდა. ამჟამად ამათ სინონიმად აქტიურად გამოიყენება “ნონფიქშენი” (არაგამონაგონი, ნამდვილი, დოკუმენტური). მეოცე საუკუნის დამდეგს “სინამდვილის პოეზიამ” ვერ გაუძლო მოდერნიზმის შემოტევას და მალე მიეცა დავინწყებას. მოდერნიზმს ბუნებრივად მოჰყვა მისი ანტიპოდი პოსტმოდერნიზმი, რომლის მანერითაც უამრავი შედეგური შექმნა ვახტანგ ჯავახიძემ. “ელეგია: ყელსაბმის” სახით კი რაღაც განსხვავებულთან გვაქვს საქმე. აქ კვლავ იჩინა თავი “სინამდვილის პოეზიის”, “ფაქტის

ლიტერატურის” მივიწყებულმა ესთეტიკამ.” [ლ.ბრეგაძე 22. ლიტერატურული წერილი „სხვანაირი ლექსი”]

გია არგანაშვილის აზრით, ასეთი ლექსები სხვადასხვა ლიტერატურულ ეტაპს მიჯნავენ ერთმანეთისგან, რომ მათით რაღაც მთავრდება და რაღაც ახალი იწყება. ეს აზრი, ვფიქრობ, გასათვალისწინებელია, რადგან ჩვენ მიერ წარმოდგენილი არგუმენტები საკმარისზე მეტია „ყელსაბამის” უნიკალურობის დასადასტურებლად. პოსტმოდერნიზმის ეპოქაში, ესე იგი, ხდება რაღაც კიდევ უფრო ახალი, რომელიც, შესაძლოა, მარტივად ამთავრებდეს ამ მიმდინარეობას და ბადებდეს რაღაც ახალს. ეს პოსტმოდერნიზმებულ ნატურალიზმს უფრო ჰგავს თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

პოეტმოდერნისტული მანერა „ყელსაბამში” ძალიან ხშირად გვხვდება. აქ აღამიანებისა და მათი ქმნილებების შერწყმა ხდება მკვეთრი, მომენტალური თხრობის მანევრით: „აქეთ - ბრინჯაოს ორი მხედარი - ვახტანგ (ელგუჯა) - დავით (მერაბი)”. აქ საუბარი უნდა იყოს ვახტანგ გორგასლის ძეგლისა, რომლის ავტორია ელგუჯა ამაშუკელი და დავით აღმაშენებლის ძეგლისა, რომლის ავტორია მერაბ ბერძენიშვილი. იგივე ვარიანტი გვხვდება თარგმანეთან: „თავს არც იოჰან (დავით) გოეთე(წერედიანი შეიკავებდა” - ალბათ გაგვახსენდა, რომ დავით წერედიანმა თარგმნა გოეთეს „ფაუსტი”. [ლ.ბრეგაძე 22. ლიტერატურული წერილი „სხვანაირი ლექსი”]

იქიდან გამომდინარე, რომ ლექსი დატვირთულია იმ მხატვრული თავისებურებებით, რომლებიც სრულიად ახალი სიტყვაა ქართულ პოეზიაში, თავს შევიკავებ ლექსთან ორგანული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების დასახელებისგან, რომლებსაც ფარავს ახალი ნაკადი.

კიდევ ერთი უჩვეულო რამ, რასაც ტექსტი გვთავაზობს, არის ის, რომ ლექსი მკითხველისთვის მარტივად აღსაქმელია. ავტორის აზრით, ეს გულწრფელობამ გამოიწვია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ზოგ ადგილას ბუნდოვანებას შეინიშნება, აზრის ამგვარი ბუნდოვანება კი ხელოვანის საუდულოს ეხმიანება. ლექსის თითოეული სტრიქონი ცალკე ანალიზს მოითხოვს, რაც ძალიან შორს წაგვიყვანს. ეს ექსპერიმენტული პოეზია შედგება ნატურალიზმის, სიმბოლიზმის, იმპრესიონიზმის, რეალიზმისა, რომანტიზმისა და რაღაც კიდევ უფრო ახლისგან. ელემენტები თანაბრად ნაწილდება

ლექსზე და მასშტაბს განსაზღვრავს ავტორის გულწრფელობა. გამოდის, რომ ვ.ჯავახაძის ექსპერიმენტულმა პოეზიამ „ყელსაბამში“ ისე გაამართლა, რომ ეპოქალური ლიტერატურული მოვლენა მივიღეთ. როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, ეს ნამდვილად უნიკალური მოვლენაა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, რომლის განსაზღვრის ჯერ კიდევ პროცესში ვართ.

„ელეგია და სხვა“ , როგორც აღვნიშნე, ორი ნაწილისაგან შედგება. მეორე ნაწილში წარმოდგენილი ლექსები დათარიღებული არ არის, თუმცა , როგორც გამოირკვა, ბოლოდროინდელია. ეს ლექსები, მართალია მნიშვნელობითა და ლიტერატურული ღირებულებით „ყელსაბამს“ ვერ შეეჭიდება, თუმცა გასათვალისწინებელი და საინტერესოა იმიტომ, რომ აქ ვახტანგ ჯავახაძის პოეტური სიტყვა მცირე ზომის ლექსში ისეთი თავისუფალია, როგორც არასდროს. ცხადია, ნებისმიერი პოეტი ევოლუციას უნდა განიცდიდეს. ამ კრებულში წარმოდგენილი ლექსები კი ვახტანგ ჯავახაძის ევოლუციის მწვერვალს წარმოადგენს. შენარჩუნებული და გამძაფრებულია ირონიულ-პაროდული სტილი, სიტყვიერი გამოხატვა კი კიდევ უფრო ფლობადია ავტორის მიერ:

*„როგორ დაუნეროთ კარგი ლექსები,
გვასწავლის კაკო განერელია,
მაგრამ ყველაზე კარგი ლექსები
უკვე კარგახნის დაწერილია.
...არ არსებობს ვარიანტი,
არ არსებობს გარანტია,
რომ ოდესმე დაეწევა კალანდაძეს კალანდია”*

[ვ.ჯავახაძე 2016:51]

*„რომელიმეს რომელიმემ
რომელილაც რომელსამე
ჰკითხა: რად არ მომელი მე
ანდა რად არ მომესალმე?”*

[ვ.ჯავახაძე 2016:75]

ზოგჯერ ავტორები ანგარიშს უწევენ ლიტერატურულ მიმდინარეობებს, ჯერ შეისწავლიან, მერე მოსწონთ, გადანყვეტენ, მისდიონ და გაითვალისწინონ მახასიათებლები, ვთქვათ, პოსტმოდერნიზმის, თუმცა როგორც ინტერვიუდან გამოირკვა ვახტანგ ჯავახაძის ახალი ფორმების მიზეზი არანაირი მოტივით არ ყოფილა ნაკარნახევი. როგორც ჩანს, ფორმები აქ გამიზნულად არ შემოდის. არც ახალი თემები შემოდის დაგეგმილად და მიზანმიმართულად. ერთადერი მიზეზი, რატომაც იგი ამას აკეთებს, არის სიახლის და ორიგინალურობის მოთხოვნილება. სწორედ ამიტომ არღვევს ამდენ ჩარჩოს და სიტყვებით სხვადასხვა თამაშს ამიტომ იგონებს: „*მე არაფითარ მიმდინარეობებს არ ვუნვე ანგარიშს. ვცდილობ დავწერო უკეთესი ლექსი, ვიდრე დამიწერია ადრე. დავწერო ისეთი ლექსი, როგორიც სხვას არ დაუწერია და რაღაც ახალი ფორმები მოვწახო. მე მაქვს ისეთი ლექსები, რომელთა აზრებიც არას მოითხოვს და კი მაქვს შერჩეული, სიტყვების თამაში მაქვს, ლექსების გათამაშება, გრაფიკული, ფიგურული ლექსები, და ამას სახელს რას დაარქმევენ, ეგ უკვე აღარ ვიცი. ეს არ არის გათვლილი. დრო რასაც ვკარნახოვს, იმას ვწერ. თავისუფლები ვართ, თავისუფლად ვაზროვნებთ...*”

დასკვნა

ამდენად, კვლევის საფუძველზე აშკარა გახდა, რომ ვახტანგ ჯავახაძის მხატვრული შემოქმედება მკვეთრად გამოვლენილი ინდივიდუალისტური ნაკადით ხასიათდება და მას გააჩნია მაღალი ლიტერატურული ღირებულება.

გამოიკვეთა პოეტის შემოქმედების რამდენიმე მიმართულება. უანრობრივი თვალსაზრისით ავტორის სახელზეა პოსტმოდერნისტული რომანი, ესეისტიკა, პოეზია და მინიპოემა. უფრო ვრცლად ვახტანგ ჯავახაძე, როგორც ავტორი, გამოხატულია პოეზიაში.

თემატური თვალსაზრისით ვახტანგ ჯავახაძის შემოქმედება აღმოჩნდა მრავალფეროვანი. აქ არის ბუნების, ქალაქის, სამშობლოს, სიყვარულის, ტრადიციული და ახალი თემატიკები. ლირიკული მეს მედიტაცია ერთ-ერთ უმთავრეს ადგილს იკავებს ვახტანგ ჯავახაძის პოეზიაში.

ლიტერატურული ღირებულების თვალსაზრისით უმთავრესია კრებული „ვახტანგური“, სადაც შესულია ვახტანგ ჯავახაძის რჩეული ლექსები და ყველაზე თვალსაჩინოდ სწორედ აქ იკვეთება ქართული პოეზიისთვის აქამდე უცნობი ფორმები ლექსისა, ფიგურული ლექსები და ნახატი-პოლინდრომები.

ვახტანგ ჯავახაძის, როგორც ესეისტის გასაცნობად, რეკომენდირებულია წიგნი „ლექსიდან - ლექსამდე“, სადაც შესულია პოეტის წერილები, ესეები, მოგონებები და მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალა, რომელიც საყურადღებოა XX საუკუნის ქართული პოეზიის ზოგი საკითხის შესასწავლად. იგი გვახედებს ვახტანგ ჯავახაძისა და თანადროული პოეტების შემოქმედების შიდასამზარეულოში, გვიზიარებს უამრავ მოგონებას და ნათლად წარმოგვიდგენს XX საუკუნის ქართული პოეტური ურთიერთობების პლანს.

„უცნობი“, აპოლოგია გალაკტიონ ტაბიძისა, ცალსახად სიახლეა ქართული ლიტერატურისთვის, როგორც ბიოგრაფიული ელემენტებით შექმნილი მემუარულ-ლირიკული რომანი, რომლის უანრობრივი სირთულე დღემდე არსებობს, თუმცა, შესაძლოა მას ვუნოდოთ მრავალუანრობრივი პოსტმოდერნული რომანი, რომელიც ფუნდამენტია გალაკტიონოლოგიისთვის.

როგორც გამოიკვეთა, 2016 წელს დაწერილი და გამოცემული მინიპოემა „ელეგია და სხვა“, უმნიშვნელოვანესი წიგნია ავტორის პოეტური შესაძლებლობების განსაზღვრისთვის. კვლევის კვალდაკვალ აშკარა გახდა ამ კრებულის პირველი ნაწილის უპირატესობა მეორესთან შედარებით და არგუმენტირებული მსჯელობით მივიჩნიე, რომ „ელეგია: ყელსაბამი“ უნიკალური და უკონკურენტო მოვლენაა ქართულ, მით უმეტეს უახლეს ქართულ ლიტერატურაში, რამეთუ, გარდა შესრულების მაღალი დონისა, მასში განზოგადებული მხატვრული სახითაა წარმოდგენილი აქამდე პასიტური ქალის, როგორც მეუღლის, კულტი და ლიტერატურულად გააქტიურებულია იგი.

ვახტანგ ჯავახიძეს, ქართული ენის ლექსიკის გამდიდრებისა და პოეტური სიტყვის მოდერნიზაციის გათვალისწინებით, სრულიად ახალი ფორმები შემოაქვს ქართულ პოეზიაში. პოეტური სიტყვის თავისუფლება ავტორს ბიძგს აძლევს აქამდე წარმოუდგენელი ვარიაციებით გაამდიდროს ქართული პოეზია, სწორედაც, ფიგურული ლექსები და ნახატი-პოლინდრომები ამის კარგი მაგალითია.

ფორმობრივი თვალსაზრისით პოეტი ამკვიდრებს ანტონიმურ აზროვნებას ლექსში და შემოაქვს რითმის სრულიად ახალი სახეობები, რომლებიც ნაკარნახევია წარმოდგენილი ტექსტის სემანტიკიდან, საბოლოო ჯამში კი მის პოეზიაში დარღვეულია აქამდე მიჩნეული სტანდარტები და აღმოცენებულია სრულიად ახალი, თავისუფალ პოეტურ აზროვნებაზე დამყარებული, ჯერ კიდევ უცნაური ლექსები.

ერთ-ერთი თავარი ნიშა, რომელიც მას შემოაქვს ქართულ ლიტერატურაში, არის ირონიულ-პაროდული სტილი. იგი ამ სტილს იყენებს როგორც პოეზიაში, ასევე პროზაში. ვახტანგ ჯავახიძე ამსხვრებს სტერეოტიპს, რომელიც უკავშირდება ირონიული ლექსების დაბალ ლიტერატურულ ღირებულებას და ამ სტილს იყენებს, როგორც მძლავრ იარაღს პოეტური სიტყვის სრულყოფისათვის. იგი არის შემოქმედებითი სიტყვის თავისუფლების დამცველი პოტი, რომელმაც ქართული ლექსი უახლესი რადიუსით მომართა და რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალობას.

რადგან ნაშრომი ჩემ მიერ შერჩეული პოეტის შემოქმედების პირველი მიმოხილვაა, იგი წარმოადგენს კომპეტენტურ საინფორმაციო წყაროს ვახტანგ ჯავახიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის სამომავლო მკვლევარებისთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნიკოლეიშვილი ა. „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ტომი VI, ქუთაისი, ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, გვ.359
2. ნიკოლეიშვილი ა. „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ტომი VII”, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი”, 2007, გვ.326
3. პაიჭაძე თ. „ლიტერატურული წერილები”, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, გვ.255
4. პაიჭაძე თ. „მოდერნიზმი და ქართული ლიტერატურა”, თბილისი, „უნივერსიტეტის გამომცემლობა”, 2018, გვ.458
5. ჯავახაძე ვ. „ათასი მზე”, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1963, გვ.79
6. ჯავახაძე ვ. „ერთომეული”, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1987, გვ.383
7. ჯავახაძე ვ. „ვახტანგური”, თბილისი, გამომცემლობა „საარი”, 2012, გვ.480
8. ჯავახაძე ვ. „ლექსიდან - ლექსამდე - ჩანაწერები”, თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი”, 2011, გვ.259
9. ჯავახაძე ვ. „100 ლექსი”, თბილისი, 2008, გვ.135
10. ჯავახაძე ვ. „მარტი, აპრილი, მაისი”, თბილისი, გამომცემლობა „მერანი”, 1977, გვ.93
11. ჯავახაძე ვ. „რჩეული”, თბილისი, გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება”, 1967, გვ.41
12. ჯავახაძე ვ. „სამხრეთი”, თბილისი, გამომცემლობა „მერანი”, 1970, გვ.90
13. ჯავახაძე ვ. „უცნობი”, თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი”, 2013, გვ.860
14. ჯავახაძე ვ. „უცნობი”, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული”, 1988, გვ.254
15. ჯავახაძე ვ. „უცნობი”, თბილისი, გამომცემლობა „საქართველო”, 1996, გვ.595
16. ჯავახაძე ვ. „2002 სტრიქონი” თბილისი, გამომცემლობა „მერანი”, 2002, გვ. 9514.
17. ჯავახაძე ვ. „ფერადი ჩრდილები”, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, 1964, გვ.88

18. http://mastsavlebeli.ge/?p=19170&fbclid=IwAR24RirGr5ybiPaH1xoiY4IuhLmniDS0hYY3K olHeMfJRarISV7fJEFFM_g
19. <https://www.radiotavisupleba.ge/a/vakhtang-javajhadzis-elegia/28301642.html?fbclid=IwAR0KLtpzalv8fGWuXRpVS1nU6OwsBbDyg0ITp2GRQPaf Y2XN2F8zHmvK0m4>
20. https://www.intelekti.ge/author_ge.php?id=95
21. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=6446>
22. https://textualscholarship.blogspot.com/2019/05/blog-post_24.html?fbclid=IwAR2zDkQddDZAz54 Cla3OYaygFpXVEOIKxXB0z2Zs-DcR_x_9Q_nwCrf7IA
23. http://mcs.gov.ge/getattachment/7c28dd75-7791-46cf-81ef-54e40dca29fa/N_232.pdf.aspx
24. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92_%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94
25. <https://poetry.ge/poets/ana-kalandadze/poems/642.betaniis-gzaze.htm>
26. <https://poetry.ge/poets/galaktion-tabidze/poems/4168.ukanaskneli-matarebeli.htm>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of humanities

Master's programme: Georgian literature

Ghvinpadze Elene

Main directions of Vakhtang Javakhadze Literary heritage

The work is represented for the MA degree of Georgian literature

Supervisor: Tamar Paichadze

Associated Professor of humanitarian science faculty of

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Doctor of Philology

Tbilisi

2019